პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 ნოემბერი **სამშაბათი** 2010

№270 (13258) ფასი 60 თეთრი



## მეორე ადგილი არც ჩელენჯზე

ელისონ რიდისა და ოთარ ჯაფარიძის წარმატება ავსტრიაში

გვ. 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ნაკრები სლოვენიას გაემგზავრა

## ვნახავთ? ვერ ვნახავთ? საკითხავი აი, ეს არის...



გვ. 2

სლოვენიაში გამგზავრებამდე თემურ ქეცბაიამ მეხუთე თბილისური ვარჯიში ჩაატარა



### გურამ კაშია:

## ცენტრში თამაში არ დამვიწყებია

...საკლუბო საქმეები კარგად ამეწყო და ამას ქეცბაიას ნდობა დაემატა...

გვ. 3



### ჯაბა კანკავა

## იმედები უნდა გავამართლო

ბედნიერი ვიქნები, თუ სლოვენიაში თამაში მომიწევს

ინტერვიუ გვ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. სლოვენია-საქართველო

# სლოვენიაში 21 ფეხბურთელით

## ვიხილავთ მატჩის რეპორტაჟს?

11 ნოემბერს თბილისში დაწყებული შეკრების შედეგები, **თემურ ქეცბაიამ** 14 ნოემბერს გამართული ტესტმატჩით შეაჯამა და გუშინ ის 21 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ხვალ, 16 ნოემბერს სლოვენიის ქალაქ კოპერში გაემგზავრება.

მეკარეები: **გიორგი ლორია** (თბილისის „დინამო"), **როინ კვასხვაძე** („ზესტაფონი");

მცველები: **კახა კალაძე** („ჯენოა", იტალია), **ზურაბ ხიზანიშვილი** („რედინგი", ინგლისი), **გურამ კაშია** („ვიტესი„, ჰოლანდია), **ლევან კაკუბავა** (დინამო„ თბილისი), **დავით კვირკველია** („რუბინი", რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** („გაზ მეთანი", რუმინეთი), **გიორგი ხიდეშელი**, **გიორგი ონიანი** (ორივე – „ზესტაფონი„);

ნახევარმცველები: **ჯანო ანანიძე** („სპარტაკი", მოსკოვი, რუსეთი), **ჯაბა კანკავა** („დნიპრო", უკრაინა), **სანდრო გურული** („კარპატი„, ლვოვი), **გოჩა ხოჯავა** („ვოლგა", რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი** („შახტარი", უკრაინა), **ალექსანდრე კოშკაძე** („დინამო"), **კახაბერ ალადაშვილი** ('ზესტაფონი"), **ირაკლი კლიმიაშვილი** („ვიტ ჯორჯია");

თავდამსხმელები: **ირაკლი მოდებაძე** („ოლიმპი"), **მათე ვაწაძე** („დინამო"), **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი").

ამგვარად, სლოვენიაში ვერ წავიდნენ **გიორგი ძაძამია, გურამ გურეშიძე, ჯაბა ლიპარტია** (სამივე – „ვიტ ჯორჯია"), **ზაალ ელიავა, ბუბა დაუშვილი** (ორივე – „ზესტაფონი"), **გიორგი რეხვიაშვილი** („ოლიმპი"), **თენგო ჩიკვილაძე** („ტორპედო"), **ნიკა კვეკვესკირი** („ბაია") და **ოთარ მარცვალაძე** („ვოლგა", რუსეთი). დაუშვილმა და მარცვალაძემ ვარჯიშზე კუნთი გაიჭიმეს და წასვლა ველარ მოახერხეს. სამწუხაროა, რომ მარცვალაძე ნაკრებს ამჯერადაც ვერ დაეხმარება, არადა, „ვოლგას" ფორვარდი და რუსეთის პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი მშვენიერ ფორმაში იყო. სამაგიეროდ, კუნთის ტკივილის მიუხედავად, ქეცბაიამ სლოვენიაში მარცვალაძის თანაგუნდელი **გოჩა ხოჯავა** წაიყვანა.

სლოვენიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის მატჩი 17 ნოემბერს თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება. დღეს ან ხვალ გვეცოდინება, გადასცემს თუ არა მატჩის რეპორტაჟს „პირველი არხი". როგორც გვითხრეს, მოლაპარაკება მიმდინარეობს და არის შანსი, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის ინტერესი დააკმაყოფილოს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხუბუტიამ ივარჯიშა, ანანიძე და გურული ჩამოვიდნენ

სლოვენიასთან 17 ნოემბრის მატჩისთვის, საქართველოს ნაკრებს, გუშინ თბილისში მზადების ბოლო დღე ჰქონდა. ეროვნულის მთავარმა მწვრთნელმა 11 ნოემბერს შეკრიბა გუნდი და გუშინ მეხუთედ ჩაატარა ვარჯიში. წვრთნას, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყო, გულშემატკივართა და მასმედიელთა გარდა ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელები, **ასლან ბალაძე, გელა შეყილაძე** და **ლევან ხომერიკი** ადევნებდნენ თვალს.

შეგახსენებთ, რომ **თემურ ქეცბაიამ** გუშინ დილით დაასახელა იმ 21 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც სლოვენიის ნაკრებთან მატჩისთვის მოემზადებიან. შესაბამისად, გუშინდელ ვარჯიშშიც უკვე დაზუსტებული შემადგენლობის ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. წინა ვარჯიშისგან განსხვავებით, გუნდს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, რუმინული „გაზ მეთანის" მცველი **აკაკი ხუბუტია** დაემატა.

**გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, დავით კვირკველია, აკაკი ხუბუტია, გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ლევან კაკუბავა, ჯაბა კანკავა, გოჩა ხოჯავა, თორნიკე ოქრიაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, კახა ალადაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ირაკლი მოდებაძე, მათე ვაწაძე, ნიკოლოზ გელაშვილი** – აი, ის 16 ფეხბურთელი, რომლებიც თემურ ქეცბაიამ და მისმა თანაშემწეებმა, **სოსო ჭედიამ, დავით გვარამაძემ** და **მიხალის მიხალისმა** ავარჯიშეს.

75-წუთიანი წვრთნა ორკარა თამაშით დასრულდა.

„წითლები": **კვასხვაძე, ონიანი, ხიდეშელი, კვირკველია, კლიმიაშვილი, კანკავა, გელაშვილი, ვაწაძე.**

„მწვანეები": **ლორია, ხუბუტია, კაკუბავა, ალადაშვილი, კოშკაძე, ოქრიაშვილი, ხოჯავა, მოდებაძე.**

პირობითად დაყოფილმა გუნდებმა ოციოდე წუთი ითამაშეს. „მწვანეებმა" 2:1 მოიგეს. ორივე ბურთი ირაკლი მოდებაძემ გაიტანა. ერთი დავით კვირკველიამ გაქვითა.

შემდეგ „სტანდარტულის" ჯერი დადგა - ერთი გუნდი უტევდა, მეორე თავს იცავდა, კუთხურს კი მარჯვენა ფრთიდან კახა ალადაშვილი, ხოლო მარცხნიდან დავით კვირკველია აწვდიდა. აშკარად ჩანდა, რომ ფეხბურთელებს მონდომება არ აკლიათ. რაც ყველაზე მთავარია, საბოლოო 21-კაციანი შემადგენლობიდან ყველა მწყობრშია.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ **ლაშა დვალიშვილმა** გვითხრა, რომ ნაკრების კიდევ ორი წევრი ჩამოვიდა თბილისში - მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** და ლვოვის „კარპატის" თავდამსხმელი **სანდრო გურული.** ისინი გუნდს წუხელ სასტუმროში შეუერთდნენ.

სლოვენიაში გუნდს **კახა კალაძე** („ჯენოა"), **ზურაბ ხიზანიშვილი** („რიდინგი") და მცველი **გურამ კაშია** („ვიტესი") შეუერთდებიან.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი. ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

# იმედები უნდა გავამართლო

*„აი, ჯაბა კანკავა და ლევან ყენია გამოჯანმრთელდებიან და ნაკრების ნახევარდაცვა უკეთ ათამაშდება"* - ალნიშნა ეროვნული გუნდის მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე და... ეს დღეც დადგა: დიდი პაუზის შემდეგ ჯაბა კანკავა გამოჯანმრთელდა, „დნიპროს" დუბლებში თამაშიც მოასწრო, გოლიც გაიტანა და მთავარი გუნდის განაცხადშიც მოხვდა, მაგრამ ჯერჯერობით უკრაინულ ვიშა ლიგაში თამაშმა არ მოუწია.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც კანკავა ეროვნულ გუნდში ვარჯიშობს და სლოვენიასთან მატჩისთვის ემზადება. იგი ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებში პირველადაა. დიდი პაუზის შემდეგ ეროვნულში დაბრუნებულ ჯაბას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ჯაბა, საქართველოს ნაკრებში დიდი ხანია აღარ გითამაშიათ...**

- ძალიან გახარებული ვარ. ამ დღეს დიდხანს ველოდი. სამწუხაროდ, ტრავმების გამო საკმაო პერიოდი გამიცდა. თუმცა ეს უკვე წარსულია და მთავარია, რომ ცუდი პერიოდი უკან მოვიტოვე.

**- დიდი ხანი არ არის, რაც ვარჯიში განაახლეთ. როგორ ფორმაში ხართ?**

- ვარჯიში თვენახევრის წინ დავიწყე. რა თქმა უნდა, ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, რადგან საამისოდ დრო არ მეყო, თუმცა მოუმზადებელიც არ გახლავართ. „დნიპროს" დუბლებში რამდენიმე მატჩი ჩავატარე, მთავარი გუნდის 18-კაციან შემადგენლობაშიც ვიყავი, მაგრამ პაუზის შემდეგ ჯერ თამაშმა არ მომიწია. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, სანაკრებო დონეზე თამაში შემიძლია და თუ მოედანზე შემიშვებენ, ყველაფერს გავაკეთებ ნაკრების წარმატებისთვის.

**- ეროვნული გუნდის თავკაცმა სლოვენიაში წამსვლელთა 21-კაციან სიაში დაგასახელათ...**

- დიახ ასეა და ძალიან გამეხარდა. უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ სლოვენიაში თამაში მომიწევს.

**- როგორც ვიცი, ნაკრების თავკაცი გესაუბრათ...**

- თემურ ქეცბაიამ მომიკითხა, დაინტერესდა ჩემი ამბით. მკითხა, თუ როდის განვაახლე წვრთნა, რა ინტენსივობით ვვარჯიშობდი, რამდენ შეხვედრაში ვითამაშე და ა. შ. ერთი სიტყვით, საქმიანი საუბარი გვქონდა.

**- ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ქეცბაიამ თქვა - კანკავა და ყენია გამოჯანმრთელდებიან და ნაკრების ნახევარდაცვაც უკეთ ათამაშდებაო. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ნაკრების მწვრთნელი თქვენზე დიდ იმედს ამყარებს...**

- ეს ძალიან მახარებს. ფეხბურთელისთვის მწვრთნელის ნდობა ბევრს ნიშნავს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს იმედები გავამართლო.

**- სლოვენიაზე რა წარმოდგენის ხართ?**

- მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდია და რთული მატჩი გველის. „ლელოში" წავიკითხე, სლოვენიელები ძლიერი შემადგენლობით ემზადებიანო. წლეულს ჩვენს ნაკრებს თამაში არ წაუგია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა წელინადი დაუმარცხებლად ჩავამთავროთ. სლოვენიაში მოედანზე მოსაგებად უნდა გავიდეთ და სასურველი შედეგისთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ.



ჯაბა კანკავა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- თემურ ქეცბაიას ფორმაციის ნაკრებში პირველად ხართ გამოძახებული. ვარჯიშები როგორ მოგწონთ?**

- შინაარსიანი და მიზანმიმართული ვარჯიშებია. მწვრთნელის ყველა დავალებას გარკვეული დანიშნულება აქვს.

**- ახლა საკლუბო თემაზეც გკითხავთ. „დნიპროს" მთავარ მწვრთნელად ესპანელი ხუანდე რამოსი გასულ თვეში დაინიშნა. თქვენზე რა წარმოდგენის არის?**

- იცის, რომ ტრავმების გამო გარკვეული პერიოდი გამიცდა. მწვრთნელი დუბლების მატჩებსაც ესწრება ხოლმე, ჩემი თამაშიც ნახა და შემდეგ მთავარ გუნდში გადამიყვანა. თუ ნაკრებში თამაში მომიწევს, ეს ჩემს საკლუბო კარიერასაც დიდად წაადგება.

**- „დნიპროდან" ნაკრებში თქვენი თანაკლუბელი უჩა ლობჟანიძეც იყო გამოძახებული, მაგრამ გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა. რამდენად სერიოზულია უჩას ტრავმა?**

- მას მუცლის კუნთი აქვს დაზიანებული. თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაშიც აწუხებდა, მაგრამ თამაშის დროს გახურებული იყო და იმდენად არ ემჩნეოდა. იმ შეხვედრაში უჩამ გადამწყვეტი პენალტი გაიტანა და ნახევარფინალში გავედით. ვფიქრობ, ლობჟანიძის მდგომარეობა საგანგაშო არ არის, მაგრამ ექიმებმა დროებით დასვენება და სპეციალური მკურნალობა დაუნიშნეს.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი



## გურამ კაშია: ცენტრში თამაში არ დამვიწყებია

**გურამ კაშია** საქართველოს ნაკრებს მშვენიერ გუნებაზე შეუერთდება: ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მისმა „ვიტესმა“ გასვლით შეხვედრაში „ვენლო“ 5:1 დაამარცხა, აუტსაიდერებს დაშორდა და მე-14 ადგილზე წლეულს პირველად გადავიდა.

არნემული კლუბის 23 წლის ქართველი მცველი, რომელიც ნაკრებს პირდაპირ სლოვენიაში შეუერთდება, ეროვნულის მთავარი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** ნდობამ გაახარა.

„ეროვნულში გამოძახება ჩემთვის ბევრს ნიშნავს. საბედნიეროდ, საკლუბო საქმეები კარგად ამეწყო და ამას ქეცბაიას ნდობა დაემატა. თუკი სლოვენიაში მათამაშებს, შევეცდები შანსი გამოვიყენო და თავი გამოვიჩინო“, - ამბობს კაშია.

გურამ კაშიას მიმართ ეროვნული ნაკრების თავკაცის ინტერესი გასაგებია – ქეცბაიას ფეხბურთელის გასინჯვა დაცვის ცენტრში სურს. ისედაც, ყველას აინტერესებს, როგორ ფორმაშია და გაიზარდა თუ არა ჰოლანდიაში ფეხბურთელი, რომელმაც ნიჭიერი ცენტრალური მცველის სახელი დაიმკვიდრა.

მეორეს მხრივ, კაშიას „ვიტესში“ თვენახევარია მარჯვენა მცველის ადგილზე ათამაშებენ (სულ ცხრა შეხვედრა) და საინტერესოა, პოზიციაშეცვლილი ცენტრში საიმედოდ თამაშს მოახერხებს?

„არა, ცენტრში თამაშსაც არ გადავჩვეულვარ, რადგან ვარჯიშებზე ჩვეულ პოზიციაზე მაყენებენ. მარჯვენა მცველობა არ მიზიდავს და საბოლოოდ, მაინც ჩემს ადგილზე მინდა ვითამაშო. ორი კვირის წინ, „ვიტესის“ მთავარ მწვრთნელად „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ალბერტ ფერერი დანიშნეს. ფერერი მუშაობას ხვალ იწყებს და ჯერ მასთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე. თუმცა, იმედია, ჩვეულ პოზიციაზე დამაბრუნებს“, - იმედოვნებს არნემული კლუბის ქართველი წევრი.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. ბაია

## ელგუჯა ქომეთიანი: ბაიაში იმედს არ კარგავენ

**ზუგდიდის „ბაია“ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი იმ ბინადართაგანია, რომელსაც სეზონის მსვლელობისას ფინანსურად გაუჭირდა. შედეგად, გუნდიდან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ ზუგდიდელები მაინც აგრძელებენ სტაბილურად ასპარეზობას და უმაღლესი ლიგის ცხრილში დღეისათვის მეექვსე ადგილზე იმყოფებიან.**

**სამწუხაროდ, „ბაიას“ კრიზისი კვლავ გრძელდება და ჯერ არავინ იცის, როდის გამოსწორდება მდგომარეობა. თამაშებზე „ბაია“ კვლავაც ნასესხები ფულით დადის, გაუცემელია ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და პერსონალის დავალიანებები... სიახლეების გასაგებად და გუნდში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად „ბაიას“ მთავარ მწვრთნელ ელგუჯა ქომეთიანს მივმართეთ.**

**- რაიმე დამაიმედებელი სიახლე ხომ არ გაქვთ?**

- სამწუხაროდ, კვლავ ძველებურ მდგომარეობაში ვართ. იმდენჯერ ვახსენე ნასესხები ფული, ეს სიტყვები უკვე მეჯავრება, მაგრამ რა ვქნა, ასეთია რეალობა – გზისა თუ სასტუმროს ხარჯების გასტუმრებასა და ფეხბურთელების კვებას სწორედ ამ გზით ვახერხებთ. ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება...

**- კონკრეტულად რომ ვთქვათ, რამდენი თვეა, გუნდის წევრებს გასამრჯელო არ მიუღიათ?**

- დეკემბერში სამი თვე შესრულდება, რაც ხელფასები არ დარიგებულა, პრემიებზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. ნამდვილად ვერ გავამტყუნებ იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც უფულობის გამო გუნდი სეზონის მსვლელობისას დატოვეს, ხოლო იმ ბიჭების მიმართ, რომლებიც „ბაიას“ ღირსებას დღემდე უსასყიდლოდ იცავენ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. თუმცა მათაც ჰყავთ ოჯახები, მათაც სჭირდებათ საარსებო წყარო და თუ უახლოეს პერიოდში არაფერი შეიცვალა, გუნდს აუცილებლად დატოვებენ. მით უფრო, რომ ბევრმა მათგანმა უკვე მიიღო ხელსაყრელი შეთავაზება. არადა, წასვლა არ სურთ. უფულობის გამო ასეთი ბრძოლისუნარიანი და მეგობრული გუნდის დაშლა დიდი საცოდაობა იქნება.

**- სახელფასო დავალიანების გასტუმრებას არ გპირდებიან?**

- ამას თვის ბოლოსთვის ადგილობრივი გამგეობა შეგვპირდა. რაღა თქმა უნდა, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ ეს პრობლემებს მხოლოდ დროებით მოგვიგვარებს. „ბაიას“ სამომავლო არსებობა კი მაინც ეჭვქვეშ დარჩება.

**- სპონსორის პოვნის იმედი თუ გაქვთ?**

- უპირველესად, სწორედ ამ იმედის გამო ვაგრძელებთ საწვრთნელ პროცესს. ასეთი გაჭირვების მიუხედავად, გუნდს ერთი ვარჯიშიც კი არ გასცდენია. კლუბის დაფინანსების თაობაზე კონკრეტული მოლაპარაკება არავისთან მიმდინარეობს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ „ბაიას“ ინვესტორი გამოუჩნდება. ყველაფერი ალბათ, მიმდინარე წლის ბოლომდე გაირკვევა. სეზონის პირველ ნახევარს ავად თუ კარგად, ჩავამთავრებთ, შემდეგ კი ღმერთმა ქნას, გვეშველოს...

**- თუ ელოდით, რომ გამოცდილი ფეხბურთელების წასვლისა და უსახსრობის მიუხედავად, „ბაია“ მეტოქეებისთვის კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად დარჩებოდა?**

- ეს ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან კარგად ვიცოდი, რომ დუბლშემადგენლობაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავდა, რომელთაც უმაღლეს ლიგაშიც შეეძლოთ თავის გამოჩენა. მათ თამამად ვენდეთ და არც შევმცდარვართ – ამ ბიჭებმა ჩინებულად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები და „ბაიას“ მნიშვნელოვანი ქულების მოპოვებაში დაეხმარნენ. ხელშეწყობის შემთხვევაში, მათ დიდი მომავალი აქვთ. ცალკე მადლობის ღირსნი არიან ის გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებმაც გუნდი არ მიატოვეს და ახალგაზრდებს მაღალ დონეზე თამაშის მაგალითს აძლევენ.

**- განვლილი მატჩებიდან თამაშის ხარისხით ყველაზე მეტად რომელმა დაგაკმაყოფილათ?**

- ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან კარგი შედეგი იყო თბილისის „დინამოსთან“ სტუმრად მიღწეული ფრე, მაგრამ ამაზე არანაკლებად ვითამაშეთ „სიონისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ. „დინამოსთან“ მატჩი ვახსენე და არ შემიძლია გულისტკივილი არ გამოვთქვა ტოტალიზატორებთან დაკავშირებული ჭორების გამო. მჯერა, ეს ჭორები ბევრმა არ დაიჯერა, მაგრამ მაინც ძალიან საწყენია, ჩვენ მიერ დიდი ბრძოლითა და შრომით მიღწეულ შედეგს ეჭვქვეშ რომ აყენებენ. საუკეთესო შეხვედრად კი ქუთაისის „ტორპედოსთან“ ჩატარებულ სათასო დაპირისპირებას დავასახელებდი. ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით. თასიდან გამოვარდნამ გული ძალიან დაგვწყვიტა, მაგრამ ჩვენი უმთავრესი საზრუნავი მაინც ჩემპიონატში წარმატებული ასპარეზობაა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, „ბაია“ ევროთასების საგზურისთვის იბრძოლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლეგიონის უქმეები

## უმრავლესობა უქმად არ იყო...

ქართველი ლეგიონერების საუიქენდო მონაგარის შესახებ სანახევროდ გუშინ გიამბეთ, ახლა კი მეორე ნახევრის თამაში მიმოვიხილოთ.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მოიკ-ის ქართველ მეკარე **ამირან გვენცაძეს** 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გვენცაძემ, რომელიც თავისი გუნდის ერთადერთი ლეგიონერია, ასეთი მკაცრი სასჯელი იმიტომ მიიღო, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატის გასული ტურის მატჩისას აზალ-ის ნიგერიელი თავდამსხმელის, **ვიქტორ იბეკოიას** სიმულაცია ვერ მოითმინა და მას ხელი დაარტყა, რისთვისაც გაძევება, მოგვიანებით კი ზემოთ ნახსენები სანქცია დაიმსახურა. ამას გარდა, გვენცაძის საქციელისთვის მისი კლუბი 4 ათასი მანათით დააჯარიმეს. გვენცაძე მე-60 წუთზე გააძევეს, აზალელი **ნუგზარ კვირტია** კი სათადარიგო იყო.

„მუღანი“, რომლის ღირსებასაც **დავით სვანიძე** იცავს, შინ 0:3 განადგურდა „ნეფთჩისთან“. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა. **რევაზ ძოძუაშვილის** „თურანმა“ საკუთარ მოედანზე 2:1 სძლია „განჯას“. მასპინძელთა რიგებში ითამაშეს **შალვა ფირცხალავამ** და **გიორგი ჭედიამ**, სტუმართა შორის კი **ზურაბ ძამსაშვილი** და **გიორგი სეთურიძე** გამოჩდნენ. **გიორგი ადამიას** „ყარაბახი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „ბაქოსთან“, ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად ითამაშა. **კახა ცხადაძის** „ინტერი“ შინ „გაბალასთან“ უგოლო ფრეს დასჯერდა. ბაქოელთა ძირითადში იყვნენ **ილია კანდელაკი** და **ვალერი აბრამიძე**, მეორე ტაიმში კი **დავით ოდიკაძე** **კახაბერ მჟავანაძემ** შეცვალა.

სომხეთში „ულისემ“ შინ „მიკას“ 3:2 სძლია, რაშიც გოლით წვლილი **გაგა თიბილაშვილმა** შეიტანა.




ლევან კობიაშვილი (№3) და ჰერტა კვლავ პირველ ადგილზე არიან

ეს სამეზობლოს ამბები იყო, ისრაელში კი ჰაიფას „მაქაბიმ“ გასვლაზე რამათ განის „ჰაპოელს“ 3:1 მოუგო, მაგრამ **ვლადიმერ დვალიშვილმა**, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, მოედანი უგოლოდ დატოვა. ნათანიის „მაქაბის“ რიგებში 13 წუთი (შეცვლაზე) ითამაშა **გაგა ჩხეტიანმა**, **ზურაბ მენთეშაშვილი** კი აშქელონის „ჰაპოელს“ დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარა. გასულ უქმეებზე ისრაელში ქართველთაგან ყველაზე შედეგიანად **კოკა მიკუჩაძემ** ითამაშა, რომელიც ბნეი ლოდის „ჰაპოელს“ რამათ განის „მაქაბისთან“ გამარჯვებაში (2:1) გოლით დაეხმარა. მანაც და **გიორგი გაბიდაურმაც** ძირითადში ითამაშეს.

სერბეთის ჩემპიონატის გასულმა ტურმა **გიორგი მერებაშვილის** გარეშე ჩაიარა. ქართველმა ნახევარმცველმა „სპარტაკისა“ და „ვოივოდინას“ მთელი შეხვედრა სტუმართა სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

შვეიცარიის ჩელენჯლიგაში ითამაშა **გიორგი ივანიშვილმა**, „ლოკარნოს“ წინააღმდეგ 1:3 წაგებულ მატჩში იგი „შაფჰაუზენის“ შემადგენლობაში ბოლო 20 წუთი ათამაშეს. პოლონეთის პირველ ლიგაში „ოდრამ“ „პოგონს“ 2:0 სძლია. **კობა შალამბერიძე** „ოდრას“ სასტარტოში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. დანიის პირველ დივიზიონში **გიორგი დევდარიანის** „ორჰუსმა“ **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი“ 1:0 დაამარცხა. დევდარიანმა შეუცვლელად ითამაშა, ფოფხაძე კი განაცხადშიც არ ყოფილა.

გუშინ, გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში თავისი შეხვედრა ჩაატარა ბერლინის „ჰერტამ“, რომელმაც „ბოხუმს“ უმასპინძლა, 2:0 მოუგო და გათამაშების ცხრილს კვლავ სათავეში მოექცა. ბერლინელთა ქართველმა ლეგიონერმა **ლევან კობიაშვილმა** 90 წუთი ითამაშა

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ვინ არის ყველაზე სასურველი ლეგიონერი?

### აზერბაიჯანელები ადამიას ნაკრებში თამაშს მოითხოვენ

„აზერიფუტბოლის“ გამოკითხვაში მონაწილე გულშემატკივრების მეოთხედზე მეტს, აზერბაიჯანის ნაკრებში აგდამის „კარაბახის“ ქართველი თავდამსხმელის **გიორგი ადამიას** ხილვა სურს.

ჩვენს მეზობელ ქვეყანაში პოპულარული ინტერნეტ-გაზეთი გამოკითხვას მთელი კვირის განმავლობაში ატარებდა - მკითხველს ნატურალიზაციისთვის სასურველი ლეგიონერი უნდა შეერჩია. ცხადია, სიაში მხოლოდ ის ლეგიონერები მოხვდნენ, რომელთაც თავისი ქვეყნის ეროვნულში არ უთამაშიათ და შესაბამისად, აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშის თეორიული უფლება გააჩნიათ.

ადამიამ „აზერიფუტბოლის“ წინა გამოკითხვაშიც გაიმარჯვა, როდესაც პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამჯერად, ქართველ თავდამსხმელს გამოკითხულთა 27-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. მეორეზე „ნეფთჩის“ ბრაზილიელი ახალწვეული **ფლავიო** (15 %) გავიდა, მესამეზე კი აზალ-ის ნიგერიელი მცველი **უსიმა ნდუკი** (8%).

აზერბაიჯანში უკვირთ, მშვენიერი გამოსვლის მიუხედავად, გიორგი საქართველოს ნაკრებში ერთხელაც რომ არ მიუწვევიათ.

ამ გამოკითხულთა 35 პროცენტი აზერბაიჯანის ნაკრებში ლეგიონერების მიწვევას ეწინააღმდეგება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ლეგიონერები

# უზბეკური სატყუარა: 60 ათასი ლეგიონერებს!

## ალავიძე საუკეთესო მეკარეების სამეულში დაასახელეს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის „ოლიმპის" ყოფილი მეკარე მიხეილ ალავიძე ერთი წელია უზბეკეთში თამაშობს და მცირე აღიარებაც მოიპოვა – წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ, 23 წლის ქართველი უზბეკეთის პირველობის სამ საუკეთესო მეკარეს შორის დაასახელეს.

ალავიძეს საქართველოში გასაქანი იმიტომ არ მისცეს, რომ ტანდაბლად (185 სმ) თვლიდნენ. ამის გამო, „ოლიმპის" პირველ ნომერს (მაშინ ცხრა მატჩში გოლი არ ჰქონდა გაშვებული) ახალგაზრდულ ნაკრებში არ იწვევდნენ.

ამ დროს, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დასახელებული იკერ კასილიასი 182 სანტიმეტრია, საქართველოს საუკეთესო მეკარე ოთარ გაბელია 177 სმ და ა.შ. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. მეკარესთვის მთავარია არა სიმაღლე, არამედ კლასი, თორემ ესპანელების კარს კასილიასს ნამდვილად არ ანდობდნენ.

ალავიძეს, უზბეკეთის მდიდარ ლიგაში საინტერესო ფინანსური წინადადება შესთავაზეს და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მეკარე იანვარში კარშის „შორტანში" გადავიდა...

**- როგორც შევიტყვეთ, „შორტანი" ახალ კონტრაქტს გთავაზობს.**

- წამოსვლამდე ვილაპარაკეთ, გუნდი ჩემი დარჩენით დაინტერესებულია და ახალ ხელშეკრულებას გაუმჯობესებული პირობებით მთავაზობს. პრეზიდენტს უკვე შევუთანხმდით და დეკემბერში დეტალებზე დავილაპარაკებთ. სავარაუდოდ, ახალი კონტრაქტი ერთწლიანი იქნება, შეიძლება ორიანიც.

**- სხვის ჯიბეში ხელების ფათური არ გვსურს, მაგრამ საინტერესოა, ასეთი რა პირობებია უზბეკურ კლუბებში, ქართველები სიხარულით რომ მიდიხართ?**

- ვერ ვიტყვი, რომ უზბეკეთში სიხარულით წავედი. უბრალოდ, გადავედი იქ, სადაც მიმიწვიეს. რა თქმა უნდა, ფინანსურ მხარეს ყურადღებას ვაქცევ, რადგან ქართულ კლუბებს ფინანსურად უჭირთ, უზბეკეთში კი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არიან. გარდა ამისა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, უზბეკეთში წინსვლის იმედად წავედი. ამ კუთხით უზბეკეთი ბევრად გვჯობია, ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა და პირობები გააჩნიათ.

ხელფასები გაინტერესებდათ და გეტყვით: ლეგიონერის მინიმალური წლიური შემოსავალი 60 ათასი დოლარიდან იწყება, „ბუნედკორის" ბრაზილიელ ვარსკვლავ რივალდოს კი, როგორც ვიცი, წელიწადში 6 მილიონ ევროს უხდიდნენ. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი სკოლარი მუშაობდა და მას რივალდოზე ოდნავ მეტი ხელფასი ჰქონდა. მილიონებს თავი დავანებოთ, საქართველოში რომელ ფეხბურთელს უხდიან 60 ათას დოლარს?

**- უხდიან, მაგრამ ორ-სამ ფეხბურთელს.**

- განსხვავებაც ესაა, ორ-სამ კაცს, იქ კი ეს მინიმალური ზღვარია.

**- რივალდომ და სკოლარიმ „ბუნედკორი" რატომ დატოვეს?**

- გუნდის პრეზიდენტს ფინანსური პრობლემები შეექმნა, მაგრამ მოაგვარა და ახლა ისევ გაძლიერებაზე ფიქრობს. როგორც ვიცით, რივალდოს ნაცვლად, ახლა რუმინელი ადრიან მუტუს ჩაყვანას აპირებს.

**- ბირმაშიც რომ წავიდეს, უცხოეთში წასული ქართველი იქაურ ჩემპიონატს მაინც აქებს. იმედია, შენ მაინც იტყვი ალალად, უზბეკეთში რა დონეა?**

- ჩვენზე ოდნავ უკეთესი ლიგა აქვთ, რადგან ბევრად მეტი ფულით კარგი ფეხბურთელები ჩაჰყავთ. თანაც, უზბეკეთში ცხოვრება საქართველოზე გაცილებით იაფია. თუნდაც გულშემატკივრობა ავიღოთ: ჩვენს საშინაო შეხვედრებს ხშირად 10-15 ათასი მაყურებელი ესწრება. ნაღდად არ მეგონა, უზბეკეთში ფეხბურთი საქართველოზე მეტად თუ ეყვარებოდათ..

**- ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გკითხავ – საქართველოში დაბრუნებაზე, ან უკეთეს ლიგაში გადასვლაზე არ ფიქრობ?**

- ასეთი რამ ადრე მოხდა, როდესაც აზერბაიჯანიდან დაბრუნებული რუსთავის „ოლიმპში" დავბრუნდი. თუმცა, ახლა ჩემით არავინ დაინტერესებულა, უზბეკეთში ურიგოდ არ ვარ და სად დავბრუნდე? რა თქმა უნდა, სახლთან ახლოს ყოფნა მირჩევნია, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა.



**- სხვა გუნდში არ გიწვევენ?**

- თავად უზბეკეთში მეორე და მესამე ადგილოსანი გუნდები, ტაშკენტის „ფახტაქორი" და „ნასაფი" მიწვევენ. ამ უკანასკნელს კიევის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო ავარჯიშებს.

ალბათ, ურიგო სეზონი არ ჩამიტარებია. ტურის სიმბოლურ ნაკრებში, თუ არ მეშლება, ექვსჯერ დამასახელეს. ჩემპიონატის ბოლოს კი, ერთ-ერთმა გაზეთმა... სახელს ვერ ვიხსენებ, სამ საუკეთესო მეკარეს შორის მომახსენიეს. უზბეკურის არაფერი გამეგება, ესეც თანაგუნდელებისგან შევიტყვე. ყოველი ტურის შემდეგ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი სახელდება – მე ეს პრიზი სამჯერ მივიღე.

**- უზბეკეთში კვლავ ბევრი ქართველი თამაშობს?**

- წლეულს ყველა წავიდა და მხოლოდ მე და ტაშკენტის „ლოკომოტივის" ნახევარმცველი კახა მახარაძე დავრჩით. კახას გუნდი გავარდა, მაგრამ თავად უზბეკეთში რჩება. რამდენიმე საინტერესო შეთავაზება მიიღო, მათ შორის "შორტანიდანაც".

**- უზბეკეთში საკმაოდ დიდი ფული და მდიდარი კლუბებია, სელექციის დიდი საშუალებაც გააჩნიათ, მაგრამ საფეხბურთო ქვეყანაა?**

- ევროპა არაა, მაგრამ ფეხბურთი ძალიან უყვართ და მის განვითარებას ცდილობენ.

**- და მათ ჩემპიონატში ფეხბურთელი გაიზრდება?**

- ჩემს მაგალითზე გეტყვით – არც უკან წავსულვარ და არც ერთ ადგილზე გავჩერებულვარ. ვფიქრობ, სისტემატურმა თამაშებმა კარგად იმოქმედა და გავიზარდე.

**მერაბ მამულაშვილი**

# უეფა: პერტიას დაუგავა ლატვიური სეზონის სიურპრიზია

## მამუკა ლონლაძე: ჩვენ წელს ყველა რეკორდი მოვხსენით

ლატვიაში სეზონი დასრულდა და უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე „წინილები დაითვალეს" – ჩემპიონატის შემაჯამებელ სტატიაში, პირველობის სიურპრიზად ქართველების გუნდად მონათლული "დაუგავა" დაასახელეს. დაუგავასპილსელთა მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტიაა**, გუნდში კი **გიორგი ჩიხრაძე, ჯემალ ჯალიაშვილი, მამუკა ლონლაძე, დათო ფაილოძე** და **გიორგი წაქაძე** თამაშობენ.

*"თამაზ პერტიას გუნდმა მშვენიერი სეზონი ჩაატარა. თუმცა, ჩემპიონატის დასაწყისში ყველა ფიქრობდა, რომ "დაუგავა" მორიგ უფერულ სეზონს იწყებდა და სატურნირო ცხრილის შუაგულში თუ მოხვდებოდა. თუმცა, სტარტის ჩაგდების შემდეგ, გუნდმა შესანიშნავი შეხვედრების მთელი სერიალი აჩვენა, ზედიზედ ოთხი თვე არ წაუგია და კინაღამ სამეულში მოხვდა. ტურნირის მსვლელობისას, "დაუგავამ" ყველა ლატვიური გრანდი დაამარცხა, მათ შორის, სტუმრად "სკონტო". არსებობის ისტორიაში, "დაუგავამ" რეკორდული რაოდენობის ქულა (56) დააგროვა, "სკონტოს" მსგავსად, ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა (16) და სულ სამჯერ დამარცხდა", - იუწყება უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი.*

*თბილისში დაბრუნდა "დაუგავას" თავდამსხმელი **მამუკა ლონლაძე**, რომელიც თავისი გუნდის გამოსვლით კმაყოფილია: "დაუგავამ" სტარტი ჩააგდო და დისკვალიფიკაციის გამო, პერტიას გუნდი აპრილში ჩააბარეს. სამეულში ამის გამო ვერ მოვხვდით. პერტიას მოსვლის შემდეგ, გუნდის აღმასვლა დაიწყო".*

*ლონლაძე საკუთარი გამოსვლითაც კმაყოფილია: "გუნდს მხოლოდ მეორე წრის დასასრულს შევუერთდი და ფეხბურთელებთან შესაგუებლად მცირე დრო მქონდა. მხოლოდ 12 შეხვედრა გავმართე, აქედან 10 ჩემპიონატში და ორიც თასზე. ამის მიუხედავად, ორივე ტურნირში ცხრა გოლი გავიტანე და ვფიქრობ, ეს ახალწვეულისთვის ურიგო შედეგი არ არის".*

*ლონლაძე პერტიას თაობაზეც გველაპარაკება: "მწვრთნელის ქება არ მახასიათებს, მაგრამ ძალიან მეამაყება, ლატვიელები საუკეთესო მწვრთნელად ქართველს რომ აღიარებენ. შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, "დაუგავა" ლატვიის უმდიდრესი კლუბების კონკურენტი მისი წყალობით გახდა. სხვა თუ არაფერი, გასვლაზე ჩემპიონ "სკონტოს" მოვუგეთ, რაც პატარა ამბავი არ იყო. თამაზი ორი სხვადასხვა ადამიანია მოედანზე და მის მიღმა. არ არსებობს, ვარჯიშს შორიდან უყუროს, მუდამ პროცესშია ჩართული და ყველა წვრილმანს გვასწავლის, რაც შემდეგ თამაშებში გვეხმარება.*

*"დაუგავამ" რეკორდული რაოდენობის ქულები დააგროვა, მეხუთეზე გასული "იურმალა" 28 (?!) ქულით ჩამოვიტოვეთ, და თასზე პირველი ლიგის გუნდს სარეკორდო ანგარიშით 10:0 მოვუგეთ. ჩვენგან ასეთ შედეგს ყველაზე დიდი ოპტიმისტიც ვერ წარმოიდგენდა.*

*პერტიას ძალიან აფასებენ და ლიეპაიას "მეტალურგში" იწვევენ. ერთი ხანობა, წასვლა გადაწყვეტილიც ჰქონდა, მაგრამ "დაუგავას" მეპატრონეები ახალ სეზონში დაფინანსების გაზრდას შეგვპირდნენ. პერტია "დაუგავაში" მხოლოდ ჩემპიონობისთვის ბრძოლის იმედად დარჩება. სეზონის დასრულების შემდეგ კრებაზე გვითხრა კიდეც – მომავალ სეზონში ჩვენი მიზანი ოქროს მედლების მოპოვება იქნებაო. სხვათა შორის, ოთხეულის გუნდების ურთიერთშეხვედრებში "დაუგავა" პირველ ადგილზეა, რადგან ყველასთან დადებითი ბალანსი გაგვაჩნია".*

*მამუკა ლატვია-საქართველოს მატჩის შემდგომ რეაქციებს იხსენებს და ამბობს, რომ ბალტიისპირელებს ფრეზე გული დაწყდათ: "ლატვიელთა მთავარი მწვრთნელი სტარკოვი ამბობდა, რომ მოგებაც შეეძლოთ, ვერპაკოვსკისის არყოფნაზეც დაიწუწუნა და ა.შ. თუმცა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქულის მოპოვებითაც კმაყოფილი იყო. თამაშს ლატვიაში მცხოვრები ქართველები დავესწარით და გაოცებული დავრჩით. ყველას გვახსოვს, რა ნაკრებიც გვყავდა, რიგაში კი ძლიერი და ორგანიზებული გუნდი ვიხილეთ, რომელიც მოგებას იმსახურებდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

### პირველი ლიგა. XIII ტური

**მარტვილი-ბაგრა 1:0**

1:0 გ. ამბროლაძე (84)

მარტვილი: ჯ. შეროზია, გ. ჟვანია, ვ. იობაშვილი, თ. კაკუშაძე, ა. სუხიაშვილი, ჯ. იატრო, დ. ბერუაშვილი, გ. წოწორია, ლ. კუჭუხიძე (90+2. ა. კუჭუხიძე), გ. ამბროლაძე (87. ი. ხვადაგიანი), ო. ტორაძე (61. მ. ტაპე).

სათადარიგოები: ი. შარანგია, ო. გიორგობიანი, ი. ფაცაცია, ა. ბილიხოძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ბაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი (14. დ. გიგაური), თ. მოსიაშვილი (86. გ. ნათენაძე), მ. ნაკონეჩნი, ნ. ჯიშკარიანი, ლ. შარიქაძე, ზვ. ჩხეტიანი, ი. ოვონიკოკო (80. შ. კვანტალიანი), ი. ხუციძე, ვ. ორდინსკი.

სათადარიგოები: კ. სეფიაშვილი, ლ. ცხადაძე, ლ. კალანდაძე, გ. ყურულაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი.

გაფრთხილება: ვ. იობაშვილი, დ. ბერუაშვილი, ლ. კუჭუხიძე, თ. მოსიაშვილი.

არბიტრი: თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**გურია-კოლხეთი (ხ) 4:1**

1:0 იაგო დეისაძე (37), 2:0 იაგო დეისაძე (56), 3:0 ნ. ტოროტაძე (62), 3:1 მ. ჭკადუა (69), 4:1 იაგო დეისაძე (81).

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგობერიძე, რ. კუკულაძე, თ. ქურიძე (46. გ. თოლორდავა, 73. მ. აბაშიძე), ი. კილაძე, ლ. რუსიეშვილი (58. ნ. ტოროტაძე), კ. ძაგანია, ს. ფირცხალაიშვილი, გ. შენირული, ტ. კუკულაძე, იაგო დეისაძე.

სათადარიგოები: ლ. ეზიეშვილი, ბ. შენირული, გ. კუკულაძე, თ. ლომაძე.

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე

კოლხეთი (ხ): ზ. გელაშვილი, ბ. ბუკია (65. გ. ლომაია), გ. ფარფალია, ლ. გოგენია (7. ვ. ფირცხალავა), ლ. ჩაჩიბაია, გ. გოგენია, კ. გოგენია (46. თ. ღლონტი), ო. ფიფია, ი. კუტალია, მ. ბესარაშვილი, მ. ჭკადუა.

სათადარიგოები: დ. ხარძეიშვილი, ლ. ლეფსაია, რ. ჩიტაია, დ. ქირია.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: იაგო დეისაძე, ტ. კუკულაძე, ს. ფირცხალაიშვილი, მ. ბესარაშვილი, ბ. ბუკია, მ. ჭკადუა.

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**ბათუმი-აღელი 4:0**

1:0 ა. ბაციკაძე (19), 2:0 დ. სამსეიშვილი (34), 3:0 ე. გრიგალაშვილი (36), 4:0 ე. გრიგალაშვილი (60).

ბათუმი: შ. მამინაშვილი, ზვ. ლობჟანიძე, ნ. ხუხია, გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. რამიშვილი, ა. ბაჯელიძე (46. ბ. დემურაძე), გ. მანწკავა (65. მ. ჯორბენაძე), ე. გრიგალაშვილი, ნ. დისამიძე, დ. სამსეიშვილი (46. დ. მალაზონია), ა. ბაციკაძე.

სათადარიგოები: გ გოგიტიძე, გ. ბოხუა, მ. ჟვანია, თ. კაკალაძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

აღელი: ლ. ბეკტაშევი, ლ. კვანტალიანი (34. ზ. მჟავანაძე), ლ. მახარაძე, ვ. ხიდეშელი, ნ. გოგუაძე, ი. ცანავა (51. ფ. მოროტიე), გ. ფალავანდიშვილი, დ. ჯალაღონია (46. ა. ლორია), ნ. ნასუაშვილი. ვ. დარჩიძე, ლ. მამეიშვილი.

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ზ. გობეჯიშვილი, ა. აბუსელიძე, ნ. წულუკიძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

გაფრთხილება: ლ. მახარაძე, ი. ცანავა

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

**სქური-გორი 2:3**

0:1 გ. სამადაშვილი (30), 0:2 ნ. ნოდარის -ძე ნოზაძე (54), 1:2 გ ჭკუასელი (61), 2:2 ე. ფარცვანია (66), 2:3 კ. ხანიშვილი (79).

სქური: ტ. ხარჩილავა, ლ. სვირავა, ე. ფარცვანია, ა. ყველაშვილი (85. ჯ. ყურუა), ლ. არდაშელია, ბ. გუჯეჯიანი, დ. რაფავა, გ. ქირია, ნ. შონია, ლ. გაბუნია (14. თ. გერგედავა), გ. ჭკუასელი.

სათადარიგოები: ა. მაქაცარია, ბ. სვანიძე, ა. მიქენაია, დ. ჩახაია, დ. თოდუა.

გორი: ბ. კეჩხუაშვილი, გ. ქარჩუზაშვილი, თ. შათირიშვილი, დ. ტლაშაძე (87. ბ. რომელაშვილი), ნ. ნოდარის-ძე ნოზაძე, ვ. რუსიშვილი, ი. ლომიძე, გ. მიხანაშვილი, კ. ხანიაშვილი, გ. სამადაშვილი (78. ა სირბილაძე), რ. გოგინაშვილი (90. ნ. ნიკოლოზის-ძე ნოზაძე).

სათადარიგოები: გ. ბასილიძე

მთავარი მწვრთნელი: რეზო ხაჭაპურიძე

გაფრთხილება: ნ. შონია

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**იმერეთი-სამგურალი 0:1**

0:1 ნ. უგრეხელიძე (85)

იმერეთი: ი. შენგელია, თ. ხარებავა, რ. კაშია, ბ. ხაჭიბერაძე, ვ. ბრეგაძე, გ. უგლავა (34. რ. გვანცელაძე), ა. მეტონიძე, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი (62. გ. ქობალა), გია ლიპარტელიანი (46. დ. სულაბერიძე), გ. ცაგარეიშვილი.

სათადარიგოები: ს. მეძველია, ი. ასათიანი, დ. ხაბურძანია, გ. ფაჩუაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: დათო ჭელიძე

სამგურალი: დ. ხურცილავა, ზ. რაზმაძე, გ. ჩიხლაძე (75. გოჩა ლიპარტელიანი), ზვ. ჩიხლაძე, კ. ხუჯაძე, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე (85. მ. მესხი), გ. იმედაძე, გ. უგულავა, ზვ. ქუთათელაძე, პ. მიქაძე (49. ზვ. კუხალაშვილი).

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, გ. ბუხაიძე, ზვ. დანგაძე, ზ. სალინაძე.

მთავარი მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: გ. გოდერიძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**ჭიათურა-ლოკომოტივი 2:0**

1:0 გ. ბრეგვაძე (19), 2:0 ზ. ნოზაძე (33).

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე, ნ. გაფრინდაშვილი, თემირი მიშველიძე (70. დ. ტაბატაძე), გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. ბრეგვაძე, გ. ზაბახიძე (67. ვ. ჯელაძე), ზ. ნოზაძე, დ. სევასტოპულო, ჯ. ლაშხი (85. თემური მიშველიძე).

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, დ. რობაქიძე, თ. კურტანიძე. ი. კახნიაშვილი.

მწვრთნელი: ამირან გაჩეჩილაძე

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი (22. ლ. ჩაგელიშვილი), ზ. ქაჯაია, ზ. გვაძაბია, გ. ხატიაშვილი, ბ. მახარაძე, გ. შარანგია (46. დ. ჩაგელიშვილი), თ. ჩარგეიშვილი, მ. მაკარაშვილი (34. მ. ხოკერაშვილი), ნ. შერაზადიშვილი, დ. ბაქრაძე.

სათადარიგოები: თ. ნიორაძე, დ. მიქავა, ნ. დავლაშელიძე, ა. გუგუშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: გ. ზაბახიძე, მ. ხოკერაშვილი.

გაძევება: ბ. მახარაძე.

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**ჩიხურა-მერცხალი 2:1**

1:0 დ. ქამუშაძე (8-პენ), 2:0 ა. ალავიძე (27), 2:1 თ. ცეცხლაძე (29).

ჩიხურა: ზ. მწყერაშვილი, დ. ქამუშაძე (71. ა. ივანიშვილი), ი. გვეტაძე, გ. ცარციძე, ა. ალავიძე (66. თ. მეტრეველი), ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა (70. ე. ზივზივაძე), ნ. სტეფანიშვილი, ლ. ჩიკვაიძე, ნ. მაჭარაშვილი, თ. მუმლაძე.

სათადარიგოები: შ. დოლაძე, ი. ჭილაძე, ბ. პეტრიაშვილი, მ. მიქაძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

მერცხალი: გ. გოგუა, გ. აკობია, ვ. რამიშვილი, გ. ხამაშურიძე, ს.ვ. ჩიგოგიძე, ნ. ხინთიბიძე (46. ნ. მაჭავარიანი), ნ. ჭკუასელი, რ. ჭეიშვილი, ლ. ჩხაიძე, თ. ცეცხლაძე (56. ს. გ. ჩიგოგიძე), ლ. ათუაშვილი (46. ი. ბაჯელიძე).

სათადარიგოები: ს. ვერულიძე

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: გ. აკობია, ნ. ხინთიბიძე, ი. ტყებუჩავა.

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

**ნ/ დინამოელი-ჩხერიმელა 1:2**

0:1 ლ. მაჩალაძე (2), 1:1 ბ. ახალბედაშვილი (36), 1:2 ვ. ჭაჭიაშვილი (76).

ნ/ დინამოელი: დ. გლოველი, ზ. გელაშვილი, გ. ლომიძე, ვ. კაკაშვილი, ზვ. კვარაცხელია, ა. შენგელია (54. ლ. ელიზბარაშვილი), ს. ჭელიძე (65. თ. ტაბატაძე), ა. ხვთისავრიშვილი, ბ. ახალბედაშვილი (75. გ. ჯელაძე), ი. ქავთარაძე, ლ. ლაბარტყავა.

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, გ. თანიაშვილი, ლ. თვალავაძე, ო. გაგნიძე.

მთავარი მწვრთნელი: ვალერიან გაგუა

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, გ. ზაქარაშვილი, ნ. ხარაბაძე, ც. ნანიტაშვილი (24. გ. მეტრეველი), ვ. თაბუკაშვილი, ი. ლიბრაძე (90+3. გ. ხეცურიანი), ბ. კეპულაძე (71. ზ. კაპანაძე), ლ. მაჩალაძე, ვ. ჭაჭიაშვილი, ჯ. ავალიშვილი, დ. კოსტავა.

სათადარიგოები: მ. ლომსაძე.

მთავარი მწვრთნელი: ლევან ჭყოიძე

გაფრთხილება: ლ. მაჩალაძე, ნ. ხარაბაძე, ლ. ლაბარტყავა

არბიტრი: ჯ. ხორავა (ხობი)

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარტვილი | 13 | 9 | 3 | 1 | 29 | 8 | 30 |
| 2 | ბაგრა | 12 | 8 | 3 | 1 | 28 | 9 | 27 |
| 3 | გურია | 13 | 8 | 1 | 4 | 30 | 24 | 25 |
| 4 | ბათუმი | 12 | 7 | 3 | 2 | 30 | 5 | 24 |
| 5 | გორი | 13 | 6 | 5 | 2 | 20 | 14 | 23 |
| 6 | ჩიხურა | 12 | 6 | 3 | 3 | 20 | 14 | 21 |
| 7 | მეშახტე | 12 | 5 | 2 | 5 | 19 | 20 | 17 |
| 8 | სამგურალი | 12 | 5 | 2 | 5 | 13 | 20 | 17 |
| 9 | იმერეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 14 | 18 | 13 |
| 10 | ნ/დინამო | 12 | 4 | 1 | 7 | 18 | 25 | 13 |
| 11 | ჩხერიმელა | 12 | 2 | 7 | 3 | 16 | 22 | 13 |
| 12 | ლოკომოტივი | 12 | 3 | 3 | 6 | 13 | 20 | 12 |
| 13 | მერცხალი | 13 | 3 | 3 | 7 | 21 | 35 | 12 |
| 14 | სქური | 12 | 3 | 2 | 7 | 13 | 19 | 11 |
| 15 | ჭიათურა | 12 | 3 | 2 | 7 | 12 | 26 | 11 |
| 16 | კოლხეთი (ხ) | 12 | 1 | 8 | 3 | 9 | 13 | 11 |
| 17 | აღელი | 12 | 2 | 1 | 9 | 10 | 23 | 7 |

### II ლიგა

#### აღმოსავლეთი. X ტური

| | |
|---|---|
| სასკო-ბაგრა 2 | 2:1 |
| დუშეთი-გოლიადორი | 2:2 |
| ერთობა-ზოოვეტი | 1:5 |
| იმედი-მერანი | 2:1 |
| ალგეთი-35 სკოლა | 3:2 |
| აბული-სამცხე | 2:0 |

*ივერია ისვენებს.*

თიანეთი-ავაზა *29 ნოემბერს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 10 | 7 | 2 | 1 | 29-13 | 23 |
| 2. ზოოვეტი | 9 | 6 | 2 | 1 | 20-6 | 20 |
| 3. ავაზა | 8 | 6 | 0 | 2 | 27-11 | 18 |
| 4. ბაგრა-2 | 9 | 6 | 0 | 3 | 20-7 | 18 |
| 5. გოლიადორი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-13 | 17 |
| 6. აბული | 9 | 5 | 1 | 3 | 10-9 | 16 |
| 7. ივერია | 9 | 5 | 1 | 3 | 9-8 | 16 |
| 8. დუშეთი | 9 | 2 | 6 | 1 | 11-10 | 12 |
| 9. იმედი | 10 | 3 | 2 | 5 | 22-20 | 11 |
| 10. თიანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 11. ალგეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-13 | 10 |
| 12. მერანი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-16 | 10 |
| 13. 35 სკოლა | 10 | 1 | 5 | 4 | 12-16 | 8 |
| 14. სამცხე | 10 | 2 | 0 | 8 | 6-41 | 6 |
| 15. ერთობა | 9 | 0 | 0 | 9 | 6-35 | 0 |

#### დასავლეთი. I ზონა. V ტური

| | |
|---|---|
| დინამო 2-ქუთაისი | 1:1 |
| ჩიხურა 2-ფაზისი | 7:2 |
| მერანი 2-მერცხალი 2 | 1:1 |
| მარგვეთი-ბახმარო | 1:0 |
| მართვე-საირმე | 0:2 |
| ბეთლემი-გურია | 1:2 |

*სულორი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა 2 | 10 | 9 | 1 | 0 | 48-6 | 28 |
| 2. სულორი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-13 | 22 |
| 3. დინამო 2 | 11 | 6 | 4 | 1 | 25-13 | 22 |
| 4. მარგვეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 19-17 | 16 |
| 5. მერანი 2 | 10 | 4 | 3 | 3 | 14-9 | 15 |
| 6. ბახმარო | 10 | 4 | 3 | 3 | 12-17 | 15 |
| 7. ბეთლემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| 8. ფაზისი | 10 | 4 | 1 | 5 | 21-20 | 13 |
| 9. ქუთაისი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-21 | 11 |
| 10. გურია 2 | 11 | 2 | 3 | 6 | 15-26 | 9 |
| 11. საირმე | 10 | 1 | 4 | 5 | 7-15 | 7 |
| 12. მერცხალი 2 | 10 | 1 | 3 | 6 | 12-30 | 6 |
| 13. მართვე | 10 | 1 | 2 | 7 | 9-26 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავური ომები



# რონალდო vs მესი

ბავშვობაში ასეთი ტიპის თემებს გვაწერინებდნენ: „ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათება ვეფხისტყაოსნის მიხედვით“. აი, დაახლოებით ასეთი ტიპის „თემის“ დაწერას ვაპირებ: **კრიშტიანო რონალდოსა** და **ლეო მესის** შედარებით დახასიათებას ლა ლიგის მიხედვით, „ჰედ თუ ჰედ“, როგორც ინგლისელები იტყვიან. ამაში კი goal.com-ის შესაბამისი რუბრიკა დაგვეხმარება...

თავიდანვე ხომ ცხადი იყო, რომ ლა ლიგა ორი ბედაურის დოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სხვა კლუბებმა დასაწყისში შეძლეს „ბარსელონასთან“ და „რეალთან“ ტოლსწორად ბრძოლა, მაგრამ ახლა გრანდების უპირატესობა უკვე გამოიკვეთა - 11 ტურია გასული და „რეალი“ 29 ქულით ლიდერობს, „ბარსელონას“ ქულით ნაკლები აქვს. „ბლაუგრანა“ მესამეადგილოსან „ვილიარეალს“ უკვე 5 ქულით უსწრებს. ამ ორ გრანდში კი, ისევე როგორც შარშან, ორი ფეხბურთელია გამორჩეული: კრიშტიანო რონალდო და ლეო მესი.

## როგორ ითამაშეს ბოლო ტურში

რომელმა იყოჩაღა ბოლო ტურში? ლეო მესი („ბარსელონა“-„ვილიარეალი“ - 3:1): მესიმ დუბლი შეასრულა და ლა ლიგის ბოლო 4 მატჩში გოლების რიცხვი 7-მდე გაზარდა. პირველი გოლი (გუნდის მეორე) ასე გაიტანა - „ბარსელონამ“ უმალ გაითამაშა საჯარიმო, მესიმ და **პედრომ** მეტოქის საჯარიმოში ორჯერ გაითამაშეს კედელი, რასაც არგენტინელის აუღებელი დარტყმა მოჰყვა. მეორე გოლი კვლავ პედროს აქტიურობის შედეგი იყო, რომლის ჩაწოდებას თუ დარტყმას რიკოშეტი მოჰყვა, ბურთი არგენტინელმა ჩაიგდო და ნამდვილი ფორვარდის კლასი გამოავლინა. ამ მატჩში მსაჯებმა მას ნაღდი „საგოლე პასი“ მოპარეს, როცა პედროზე თამაშგარე დააფიქსირეს.

რონალდო („სპორტინგი“-“რეალი“ - 0:1): ზედიზედ მეორე ტურში რონალდომ გოლი ვერ გაიტანა, მან ვერც „ატლეტიკო“ დაამწუხრა და ვერც „სპორტინგი“. მეტიც, კრიშტიანოს ასტურიაში კარში ზუსტად ერთხელაც არ დაურტყამს! პორტუგალიელმა ორჯერ ბრწყინვალე პასით დასარტყამ პოზიციაზე **იგუაინი** და **ბენზემა** გაიყვანა, მაგრამ ფორვარდებმა ვერ ივარგეს. მიუხედავად შედარებით „მშვიდი“ თამაშისა, ხიხონში რონალდომ რამდენჯერმე შეძლო ტექნიკის დემონსტრირება. ერთხელ მის განავარდებას ფლანგზე **ალბერტო ბოტიას** უხეშობა და წითელი ბარათი მოჰყვა.

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლი | 2 | 0 |
| დარტყმა | 6 (4) | 1 (0) |
| პასი | 0 | 0 |
| დაკარგვა | 11 | 9 |
| მოპოვება | 2 | 2 |
| მასზე დაჯ. | 1 | 7 |
| GOAL.COM-ის შეფასება | 8 | 6 |

## სიმბოლურ ნაკრებში

11 ტურია გასული და მესი სიმბოლურ ნაკრებში 5-ჯერ მოხვდა. შედარებით არადამაჯერებელი სტარტის შემდეგ პირველად არგენტინელი სიმბოლურში მე-3 ტურში მოხვდა (2:1 გამარჯვება „ვისენტე კალდერონზე“). მერვე ტურიდან მოყოლებული მესი მუდამ სიმბოლურშია. სტუმრად „სარაგოსასთან“ დუბლს „სევილიას“ წინააღმდეგ გაბრწყინება მოჰყვა. შემდეგ მესიმ „ხეტაფეს“ ორი გოლი გაუტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა, ახლა კიდევ მორიგი დუბლი „ვილიარეალის“ კარში...

კრიშტიანო რონალდო სიმბოლურ ნაკრებში ოთხჯერ მოხვდა. სეზონის სტარტი ვერც მას გამოუვიდა კარგი, სიმბოლურში კი პირველად მეოთხე ტურში შეიყვანეს - გოლი და საგოლე პასი „ესპანიოლის“ წინააღმდეგ. შემდეგ ზედიზედ მე-7, მე-8 და მე-9 ტურებში მადეირელი სიმბოლურში ვიხილეთ. ყველაზე მეტად მან „რასინგი“ გაამწარა, რომელსაც პოკერი შეუსრულა.

## რომელი უკეთეს სეზონს ატარებს ლა ლიგაში?

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| წუთები | 849 | 1041 |
| გოლები | 10 | 11 |
| პენ. | 0 | 3 |
| საჯარიმო | 0 | 0 |
| პირველი გოლი | 5 | 2 |
| კარში დარტყმა | 44 (24) | 82 (31) |
| საგოლე პასი | 3 | 5 |
| პასი | 553 | 520 |
| ზუსტი პასი | 462 | 382 |

მოკლედ, ჩვენ გვიჭირს გამარჯვებულის გამოვლენა და ჯერი თქვენზეა. დავძენთ მხოლოდ, - მიუხედავად იმისა, რომ რონალდოს 1 გოლით, ხოლო მის გუნდს 1 ქულით მეტი აქვს, ოდნავ წინ მაინც მესია...

სიმბოლური ნაკრები

# დიეგო ფორლანის დაბრუნებაა

დროა, მე-11 ტურის სიმბოლურ ნაკრებს (GOAL.COM-ის ვერსიით) გავეცნოთ, რომელიც 4-3-3 სქემით არის შედგენილი.

### მეკარე

**იკერ კასილიასი:** ხიხონში ისე წარიმართა მატჩის ბოლო წუთები, რომ დიდი შანსი იყო, „რეალს“ ქულები (შეიძლება სამივე) დაეკარგა, რომ არა მისი კაპიტანი იკერ კასილიასი. ის, თუ როგორ მოიგერია გოლკიპერმა თითქმის კარის ხაზიდან **დავიდ ბარალის** დარტყმული, დღესაც ძნელად ასახსნელია. სწორედ ასეთი გმირობების გამო ეძახიან მას კლუბსა და ნაკრებში სან იკერს.

### მცველები

**ხესუს გამესი** (მალაგა): „ბოკერონესის“ ახალმა თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** სადებიუტო მატჩი მოიგო. ის, რომ „მალაგამ“ კარი მშრალად შეინახა და ცხრილის ბოლო სამეულიდან ამოაღწია, გამესის დამსახურებაა - მცველის, რომელსაც ერთ დროს ესპანეთის ნაკრებში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი კარიერა ვერ წარიმართა სათანადოდ.

**გრეგორი არნოლინი** (სპორტინგი): ფრანგმა მცველმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ „რეალის“ ფორვარდებს თავი არ გამოეჩინათ. საბოლოოდ, ძალამ აღმართი მოხნა, მაგრამ გრეგორის თავდადება მაინც აღსანიშნავია.

**დავიდ ნავარო** (ვალენსია): ის, რომ „ლოს ჩემ“ ბოლო 4 ტურში პირველად მოიგო, დიდწილად ტანმაღალი სტოპერის დამსახურებაა. მან მადრიდელთა კარში მეორე გოლი გაიტანა.

**დომინგო სისმა** (რასინგი): სისმა ბრწყინვალედ აკონტროლებდა ფლანგს, კანტაბრიელებს იქიდან ხიფათი არ ემუქრებოდათ, დროდადრო მცველი ბრწყინვალედ ერთვებოდა შეტევებშიც. სისმა მოიპოვა პენალტი (რომელიც შემდეგ **ნაუელპანმა** ვერ გაიტანა). წესით, „რასინგი“ გამარჯვებასაც იმსახურებდა.

### ნახევარმცველები

**ტინო კოსტა** (ვალენსია): „სეზონის საუკეთესო გოლი“ ასე შეაფასეს არგენტინელის გოლი „ხეტაფეს“ კარში. ის მართლაც ფანტასტიკური იყო, ტინომ დაუშვებლად ისე დაარტყა, რომ სტუმართა გოლკიპერს თავზე გადაუგდო ბურთი. ნავაროსაც ტინო კოსტამ გაატანინა.

**როისტონ დრენტე** (ერკულესი): ალიკანტეში გადასული ჰოლანდიელის სახეცვლილებაზე უკვე ბევრჯერ დავწერეთ. დრენტე უბრალოდ კარგად კი არ თამაშობს, ის „ერკულესის“ ნამდვილი ლიდერი და საუკეთესო ფეხბურთელია. დრენტემ გამარჯვების გოლი გაიტანა ბასკთა კარში. მოკლედ, „რეალისა“ და „ერკულესის“ საიჯარო ხელშეკრულება სამივე მხარისთვის (ორი გუნდი და თავად ფეხბურთელი) მომგებიანი აღმოჩნდა.

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა): ინიესტას საგოლე პასი **დავიდ ვილიას** მისამართით სრულყოფილების ნიმუში იყო. ძალზე საყურადღებო იყო ერთი ეპიზოდი, როცა ინიესტამ გადაწყვიტა, არ დაეკარგა ბურთი და რამდენიმე ოპონენტთან ბრძოლაში მან ეს შეძლო. როცა ინიესტა და მესი ფორმაში არიან, „ბარსელონასთვის“ „ვილიარეალის“ დარი გუნდები საშიში აღარ არის.

### თავდასხმელები

**ლიონელ მესი** (ბარსელონა): მორიგი ტური, მესის მორიგი გაბრწყინება. ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. „ვილიარეალის“ კარში დუბლით ლეომ 10-მდე გაზარდა ლა ლიგაში გოლების რიცხვი.

**დიეგო ფორლანი** (ატლეტიკო): და აი, ისიც: მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელმა სეზონი კარგად დაიწყო, ერთი-ორჯერ ახლოსაც იყო სიმბოლურში მოხვედრასთან, მაგრამ გოლი ვერა და ვერ შეაგდო და სასტარტო შემადგენლობიდანაც კი ამოვარდა. „ოსასუნას“ ფორლანმა ორი გოლი გაუტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

**ანტუან გრიზმანი** (რეალ სოსიედადი): დროა, ამ ბიჭს მეტი ყურადღება მივაქციოთ. 19 წლის ფრანგი მართლაც უნიჭიერესია. „ერკულესის“ კარში მან ახლო მანძილიდან გოლიც გაიტანა, მაგრამ ეს არ არის მთავარი, გრიზმანი ასაკის კვალობაზე დალვინებულ ფეხბურთს თამაშობს. გრიზმანი ასფურცელასავითაა, ყოველკვირეულად „იზრდება“.

სხვები, რომელთაც ცოტა დააკლდათ სიმბოლურში მოსახვედრად: **კარლოს კამენი** (ესპანიოლი), **დანიელ არანსუბია** (დეპორტივო), **დავიდ ტრეზეგე** (ერკულესი), **ალვარო ნეგრედო** (სევილია), **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **გონსალო იგუაინი** (რეალი) და **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო).



ურუგვაელი ტურის საუკეთესო ფეხბურთელია

კლასიკოს ბარომეტრი

# 10 დებიუტანტი და, რა თქმა უნდა, ჟოზე

ვაგრძელებთ „ელ კლასიკოს“ თემაზე წერას. ამჯერად 29 ნოემბრის დიდი მატჩის დებიუტანტებს შევეხებით. „ბარსელონასა“ და „რეალის“ დაპირისპირება მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის არაოფიციალური ფინალივითაა. ბუნებრივია, ამ დაპირისპირებაში პირველად მონაწილეებს განსაკუთრებული გრძნობები უჩნდებათ.

„სამეფო კლუბს“ 7 ასეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც ესპანურ დერბიში მონაწილეობა ჯერ არ მიუღიათ: **რიკარდო კარვალიო, ანხელ დი მარია, სერხიო კანალესი, პედრო ლეონი, მესუთ იოზილი, სამი ხედირა** და **მატეოსი**. მაგრამ არ დაგვავიწყდეს მთავარი დებიუტანტი - **ჟოზე მოურინიო!** „ბარსელონაში“ სულ სამი ფეხბურთელია ისეთი, რომელთაც „ელ კლასიკოს“ გამოცდილება არ აქვთ: **ადრიანო, ხავიერ მასკერანო** და **დავიდ ვილია**. ჯამში 10 ფეხბურთელი და მწვრთნელი.



მოურინიოს ზეიმი კამპ ნოუზე ცუდად ახსოვთ

განსაკუთრებით ჟოზე მოურინიოს ელიან კატალონიაში. არავის ავიწყდება იქ მოზეიმე პორტუგალიელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის შემდეგ.

მართალია, ისინი დებიუტანტებად შევრაცხეთ, მაგრამ ბევრ მათგანს აქვს გამოცდილება პრინციპული მეტოქის წინააღმდეგ თამაშის, ოღონდ სხვა კლუბის მაისურით. პედრო ლეონს „ხეტაფეში“ თამაშისას, ხოლო სერხიო კანალესს „რასინგში“ ყოფნისას მოუწიათ „ბარსელონასთან“ რკენა. რიკარდო კარვალიოსაც უთამაშია „ბარსელონას“ წინააღმდეგ. საპირისპირო მხარეს, დავიდ ვილიას იკერ კასილიასის კარშიც გაუტანია, მასკერანოს „ენფილდზე“ 4:0 ჰყავს განადგურებული „რეალი“. ასე რომ, „ნამდვილ“ დებიუტანტთა რიცხვი კიდევ უფრო მცირეა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, „ელ კლასიკოს“ მონაწილე 10 ფეხბურთელი და 1 მწვრთნელი არ ყოფილა...

ამბები

## კარვალიოს კოჭმა უმტყუნა

„რეალს“ შეიძლება ძვირი დაუჯდეს ხიხონში მოპოვებული სამი ქულა. ამ თამაშში ტრავმა მიიღო **რიკარდო კარვალიომ**. მოგეხსენებათ, „ელ კლასიკო“ ახლოვდება და ახლა დაცვის ხაზის ერთ-ერთი ბურჯის გამოკლება დიდი დანაკლისი იქნება. კარვალიომ ასტურიაში კოჭი დაიზიანა. „რეალის“ ექიმები დღეს საფუძვლიანად გამოიკვლევენ პორტუგალიელი მცველის კოჭს. სავარაუდოდ, კარვალიოს ბილბაოს „ატლეტიკთან“ თამაშის გამოტოვება მოუწევს. სეზონის წინ დამატებულმა კარვალიომ ძალიან გაუმართლა **მოურინიოს**, მან **პეპესთან** საიმედო წყვილი შექმნა „სამეფო კლუბის“ დაცვის ცენტრში.

## პეპი, როგორც... მაჰათმა განდი

„ბარსელონას“ ექსფორვარდმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** აღნიშნა, რომ მას ყოფილი თავკაცი **პეპ გვარდიოლა მაჰათმა განდის** აგონებს. აი, რა თქვა სკანდინავიურ ტვ-10-თან ინტერვიუში შვედმა: *„ჩაცმით და ლაპარაკით ყოველთვის ცდილობს ფილოსოფოსივით გამოიყურებოდეს. როცა გუნდი სავარჯიშოდ გაჰყავს, რაღაცით მაჰათმა განდისაც მაგონებს. ხალხი ამბობს, მან ერთ სეზონში 6 ტიტული მოიგოო, მაგრამ ამას მეც კი შევძლებდი, „ბარსა“ რომ ჩემთვის ჩაებარებინათ - ის ხომ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია“.*

## კასილიასს და ვილიას კოლეგები ბედს ანდობენ

„რეალის“ გოლკიპერი **იკერ კასილიასი** და „ბარსელონას“ ფორვარდი **დავიდ ვილია** ესპანეთის ფეხბურელთა ასოციაციის პრეზიდიუმში აირჩიეს. *„გახარებული ვარ ამ არჩევით. დიდი პატივია ჩემთვის კოლეგების ამხელა ნდობა. ვიმედოვნებ, რომ ასოციაციისთვის, ფეხბურთელებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს შევძლებ“*, - განაცხადა „სამეფო კლუბის“ მსოფლიოს ჩემპიონმა მეკარემ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ვინ ვის ეზოშია მაგარი?

იმას, რაც კვირას „სანდერლენდთან" შეხვედრაში ნახა, „ჩელსის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** მისი „სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობის პერიოდში ყველაზე ცუდი თამაში უწოდა. მოგეხსენებათ, პრემიერლიგის მე-13 ტურში ინგლისის ჩემპიონმა და მიმდინარე პირველობის ლიდერმა **სტივ ბრუსის** გუნდთან 3:0 წააგო. დასავლეთლონდონელთა კარში გოლები გაიტანეს **ნედუმ ონუოჰამ, ასამოა გიანმა** და **დენი უილბეკმა**. ამავე დღეს გაიმარჯვა „არსენალმა" - ლივერპულში „ევერტონს" 2:1 აჯობა, რის გამოც პირველ და მეორე ადგილებს შორის სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. ერთი სიტყვით, ის შთამბეჭდავი უპირატესობა, რომელიც „ლურჯებს" ცხრილში რამდენიმე ტურის წინ ჰქონდათ, ქარმა წაიღო და იტალიელი მწვრთნელი პრესკონფერენციაზე გაბრაზებული და შეფიქრიანებული დატოვა. ანჩელოტიმ თქვა:

*„ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. „სანდერლენდი" პირიქით, ფანტასტიკური იყო, შემართული და საბრძოლო სულისკვეთებით. მეტოქეს თამაშისადმი მენტალურად სწორი დამოკიდებულება ჰქონდა. თუკი გამარჯვებისადმი სწრაფვას არ ამჟღავნებ, რასაკვირველია წააგებ, ამაში გასაკვირი არაფერია. თქვენ მეკითხებით, რაც „ჩელსის" მწვრთნელი ვარ გუნდმა დღეს ყველაზე ცუდად თუ ითამაშა? ვფიქრობ, დიახ, დღეს ყველაზე ცუდად ვითამაშეთ. მართლაც საშინელება იყო, მაგრამ ფეხბურთში ასე ხდება. თუ არც ფორმაში ხარ და მონდომებასაც აკლებ, დამარცხდები".*

მკითხველს მოეხსენება, რომ ამ თამაშამდე სამი დღით ადრე, ხუთშაბათს, „ჩელსიში" უცნაური რამ მოხდა – რეზერვისტთა თამაშის შესვენებისას, მოულოდნელად სამსახურიდან ანჩელოტის ასისტენტი **რეი უილკინსი** გაუშვეს. გაჩნდა ეჭვი, რომ უილკინსის გაშვება და „სანდერლენდთან" მარცხი კლუბში მიმდინარე ერთი ფარული პროცესის ორი გამოვლინებაა, მაგრამ იტალიელმა ეს უარყო. მან აგრეთვე თქვა, რომ „სანდერლენდთან" შეხვედრაში **ჯონ ტერის** არყოფნაც უბრალო დამთხვევაა. „ჩელსის" კაპიტანმა შაბათს ვარჯიშზე ორთავა კუნთი იტკინა და ოთხშაბათს ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას.

და თუკი „ჩელსის" თავკაცისთვის კვირა მისი სამსახურში ყოფნის უარესი დღე იყო, გამარჯვებულთა მწვრთნელი სტივ ბრუსი სიხარულისგან ბრწყინავდა და ამბობდა, რაც „სანდერლენდში" ვმუშაობ ასე ამაყი არასდროს ვყოფილვარო.

*„განა ხშირად უგებს ვინმე „ჩელსის" მისსავე ეზოში 3:0-ის? ასეთ რამეს კიდევ ვინ ან როდის მოახერხებს? დარწმუნებული ვარ, ეს დიდი ხნის მერე თუ მოხდება. ძალიან ვამაყობ ბიჭებით. მათ საოცრად ითამაშეს. რამდენჯერ ვმჯდარვარ აქ, ამ საპრესკონფერენციო ოთახში მეტოქისგან „გატყეპილი", დღეს კი, თქვენთან შესახვედრად რომ მოვემართებოდი ჩემს ასისტენტს ერიკ ბლექს ვუთხარი, რომ აშკარად რაღაც განსაკუთრებული გავაკეთეთ".*

ძალიან გახარებული გახლდათ „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერიც**, რომელმაც თქვა, რომ ისეთ ფეხბურთს, როგორიც მისმა ბიჭებმა „გუდისონ პარკზე" ითამაშეს მხოლოდ ჩემპიონები თუ თამაშობენ. გეხსომებათ, „მეთოფეებმა" ამ თამაშამდე ერთი კვირით ადრე შინ წააგეს „ნიუკასლთან" 1:0, მაგრამ ამას შემდეგ შვიდ დღეში ზედიზედ ორი მოგება მოაყოლეს, „ვულვერჰემპტონთან" და „ევერტონთან". თან, „ევერტონს" მანამდე ზედიზედ შვიდი თამაშიდან ერთიც არ წაეგო...

მატჩის შემდეგ „არსენალის" თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა: *„რა ხანია ვამბობ, რომ ყველა ის თვისება გვაქვს, რომელიც ჩვენ „გუდისონ პარკზე" გამოვავლინეთ. ესენია: გამარჯვების ჟინი, თავდადება, სათამაშო დისციპლინა, ერთსულოვნება და 90-წუთიანი კონცენტრაციის უნარი. ბოლო კვირის განმავლობაში სტუმრად გვქონდა ორი ძნელი თამაში და ორივე მოვიგეთ. არადა, ერთი კვირის წინ, „ნიუკასლთან" რომ წავაგეთ, გულდაწყვეტილები ვიყავით. საბედნიეროდ, არ გავტყდით. ჩვენ საბრძოლო სულისკვეთება საკმარისზე მეტი აღმოგვაჩნდა, ხოლო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში სწორედ ის თვისებებია გადამწყვეტი, რომლებიც ჩამოვთვალე".*

*„კვირას, „გუდისონ პარკზე" „არსენალი" მთელი 60 წუთის განმავლობაში ისე სჯობდა მეტოქეს, რომ ეჭვიც კი გაჩნდა, ამავე სტადიონზე გასულ სეზონში, 15 აგვისტოს მოგებული 6:1 არ გაიმეორროსო.* თუმცა, ვენგერმა თავის გუნდს ხინჯიც უპოვა:

*„როდესაც 2:0 გახდა, შევნიშნე, რომ ანგარიშის შენარჩუნება არასწორი ხერხით დავიწყეთ და სწორედ ამიტომ დავისაჯეთ - „ევერტონმა" გოლი გაგვიტანა. ჩვენ მეკარემ გვიშველა, რამდენიმე ეპიზოდში ჩინებულად ითამაშა".*

ბოლოს კი ჟურნალისტებმა მწვრთნელს **ნიკლას ბენდტნერის** ამბავი ჰკითხეს. დანიელი თავდამსხმელი, რომელიც „გუდისონ პარკზე" სათადარიგოთა სკამზეც კი არ იყო, რამდენიმე დღის წინ დაიმუქრა, თუ აღარ მათამაშებენ, წავალო. ამაზე ვენგერმა უპასუხა:

*„ჩემთვის ეს ძალიან უსიამოვნო და რთული მდგომარეობაა. დღეს ბენდტნერი იმიტომ არ იყო, რომ საზარდული აწუხებს და მისი დასვენება გადავწყვიტეთ. რაც შეეხება ზოგადად მის მომავალს, ამაზე ასე გიპასუხებდით: მას „არსენალთან" კონტრაქტი კიდევ სამი წელიწადი აკავშირებს და, შესაბამისად, პერსპექტივაც აქვს".*

# ჰოჯსონი შეიძლება გააგდონ

**როი ჰოჯსონმა** აღიარა, რომ „ლივერპულში" მისი დარჩენა მასზე აღარ არის დამოკიდებული – მოგეხსენებათ, მერსისაიდელებმა ბოლო ტურში „სტოკთან" 2:0 წააგეს და „ენფილდ როუდის" ყველაზე გავლენიანმა ტრიბუნამ, „კოპმა" კვლავ აღმართა პლაკატები ადგილობრივი ლეგენდის, შოტლანდიელი **კენი დალგლიშის** სახმობად. რა გაგრძელება მოჰყვება ამას? დაუჯერებენ თუ არა „ლივერპულის" ახალი ამერიკელი პატრონები ფანებს და უხმობენ თუ არა საშველად დალგლიშს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს, რასაკვირველია, შეუძლებელია – და თუ გავითვალისწინებთ, რომ დალგლიშს მთავარ მწვრთნელად 2000 წლის მერე აღარ უმუშავია, სავარაუდოდ, არც დაუჯერებენ – მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები ჰოჯსონს დატოვებენ თანამდებობაზე. **რიკარდო ფულერისა** და **კინუეინ ჯონსის** გოლების წყალობით „სტოკმა" „ლივერპულთან" მიაღწია იმას, რისთვისაც საუკუნის მეოთხედის განმავლობაში არ მიუღწევია...

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ სტოკამდე მერსისაიდელები უიგანში იყვნენ და იქაც უსახური 1:1 ითამაშეს, ეს კი შესაძლოა ის წვეთი აღმოჩნდეს, რომელიც მოთმინების ფიალას ავსებს – ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, რომ „ენფილდზე" ჰოჯსონის ოთხთვენახევრიანი კარიერა დასასრულს მიუახლოვდეს.

*„ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ მე ვეღარაფერს გავაწყობ,* – თქვა ჰოჯსონმა. – *ერთადერთი, რაც შემიძლია შექმნილ პირობებში საუკეთესოს გამონწურვაა. დანარჩენი კლუბის ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ. მათ უნდა თქვან, ვინმე ახალს მოიყვანენ თუ ჩემთან გააგრძელებენ თანამშრომლობას. ფანებსაც სრული უფლება აქვთ, ვინც უნდათ, ის მოითხოვონ. მე ვერ ვინერვიულებ ყოველ ჯერზე, როდესაც ტრიბუნებიდან რომელიმე სხვა მწვრთნელის სახელს დაიძახებენ. ისინი ყოველი წაგებული შეხვედრის შემდეგ თავიანთ სიბრაზეს გამოხატავენ და მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ ამ სეზონში კიდევ მოუწევთ ამის გაკეთება, რადგან არ მჯერა, რომ „ლივერპული" ამიერიდან ყველა შეხვედრას მოიგებს".*

სტატისტიკა ასეთია: ჰოჯსონს ამ სეზონში სტუმრად 21 ქულის მოპოვება შეეძლო, მან კი მხოლოდ 5 მოიპოვა. „ენფილდ როუდს" გარეთ „ლივერპულმა" სულ ოთხი გოლი შეაგდო. საერთოდაც ამ მწვრთნელს სტუმრად თამაში მაინცდამაინც არასდროს ეხერხებოდა. იგი 1980 წლიდან საქმეშია და ამ ხნის განმავლობაში, „ბრისტოლ სიტიში", „ბლექბერნში", „ფულჰემსა" და „ლივერპულში" სტუმრად ჩატარებული 105 თამაშიდან მხოლოდ 13 გამარჯვებას მიაღწია და 35 ფრედ ითამაშა.

ამას ისიც დაემატა, რომ **გლენ ჯონსონმა**, რომელიც ჰოჯსონმა გააკრიტიკა, მწვრთნელს სიტყვა არ შეარჩინა და საჯაროდ განაცხადა, ამ კაცის ხელში „ლივერპული" საშინლად მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობსო. და არ გაინტერესებთ, რა თქვა „სტოკის" გარემარბმა **ჯერმაინ პენანტმა**, რომელიც რამდენიმე წლის წინ „ლივერპულის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშობდა? მან განაცხადა, რომ მერსისაიდელთა შემადგენლობაში ბევრი სუსტი ფეხბურთელია. პენანტმა თქვა:

*„ფანებს ძველი „ლივერპულის" ნახვა უნდათ, ეს კი შეუძლებელი მგონია. შეხედეთ გუნდს. აშკარაა, რომ მთელ რიგ უბნებზე მას ხარისხი აკლია. პრემიერლიგას იმაზე მეტი ოსტატობა სჭირდება, ვიდრე ამ გუნდის ზოგიერთ ფეხბურთელს აქვს. „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედამდე" ამ „ლივერპულს" ძალიან ბევრი აკლია".*



როი ჰოჯსონი ვერ ამართლებს

ინგლისის ნაკრებში



ენდი ქეროლმა ნაკრების სიმაღლეს უწია

# ენდი ქეროლი: ჩემპიონატიდან ნაკრებამდე!

**ენდი ქეროლმა** ჟურნალისტებს უამბო, როგორ გააკეთა სიხარულისგან მალაყი, როდესაც შეიტყო, რომ ინგლისის ნაკრებში გამოიძახეს. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს ინგლისელები ფრანგებს ხვდებიან. ეს ამხანაგური თამაშია, რომელშიც, ნიუკასლელი ახალგაზრდაც მიიღებს მონაწილეობას. ფრანგებთან მატჩი ქეროლისთვის ეროვნულ გუნდში პირველი იქნება. თუმცა, ქეროლმა შიშიც ჭამა, როდესაც შაბათს, „ნიუკასლისა" და „ფულჰემის" შეხვედრის მიწურულს საზარდული იტკინა.

თავდამსხმელი ამბობს: *„ქარაგმულად ხან ერთი მხრიდან მქონდა გაგებული და ხან მეორიდან. ყველანი მიმანიშნებდნენ, რომ შესაძლოა მალე ნაკრებში მოვხვედრილიყავი, მაგრამ სინამდვილე სხვა აღმოჩნდა: როდესაც შაბათს ოფიციალური მიწვევა მომივიდა, ვიგრძენი, რომ მსოფლიოში უბედნიერესი კაცი ვიყავი. თუმცა შაბათსვე ძალიან შევშინდი. დიდი შანსი იყო, იმავე დღეს მსოფლიოში ყველაზე დაზაფრული კაცი გავმხდარიყავი".*

არადა, ამბობენ, რომ **კაპელო** ქეროლს სასტარტო შემადგენლობაში უპირებდა დაყენებას. ახლა კი ასე რომ მოიქცეს, შესაძლოა ნატკენი საზარდული გაუმიზეზოს.

*„ნამდვილად არ ვიცი, რას აპირებდა ნაკრების მწვრთნელი,* - ამბობს ქეროლი, რომელმაც ბოლო ტურებში, პრემიერლიგაში ძალიან კარგად ითამაშა. – *ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე მინდოდა, სანაკრებო შოუში მონაწილეობაა".*

შემდეგ კი „კაჭკაჭთა" თავდამსხმელმა გაიხსენა შაბათი და ის მომენტი, როდესაც მას გული გადაუქანდა:

*„ერთ-ერთ მომენტში გოლის გასატანად წინ რომ გავიწიე, უეცრად საზარდულში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. უფრო ზუსტად ვერ გეტყვით რა მოხდა და რატომ. თამაშის შემდეგ ექიმთან მივედი, გავესინჯე და ეს ამბავი მოვუყევი. მან მითხრა, რომ კვირას, ლანჩის შემდეგაც უნდა გავესინჯე. მაშინ ვიფიქრე, რომ კარგად თუ გამოვიძინებდი, დილით ყველაფერი კარგად იქნებოდა. ადრეც მქონია რამდენჯერმე ასე: რაღაცას შევუწუხებივარ, მაგრამ კარგად გამომიძინია და პრობლემა გამქრალა. ამჯერად ასე არ მოხდა: დილით რომ გავიღვიძე თავი უარესად ვიგრძენი, მაგრამ, საბედნიეროდ, დღის განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდა".*

ასე და ამგვარად, ქეროლმა ინგლისის ნაკრების ბანაკს მიაშურა, მაგრამ ექიმებს ვერც იქ აარიდებს თავს. შემოწმებით, ეროვნული გუნდის სამედიცინო პერსონალმაც უნდა შეამოწმოს. საქმე ის გახლავთ, რომ ზუსტად ასეთი ისტორიის გამო ნიუკასლელი ერთხელ უკვე დასაჯეს. ეს ახლახან, სექტემბერში მოხდა, როდესაც თავდამსხმელმა 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი **სტიუარტ პირსი** გააბრაზა: ტრავმა ჰქონდა და ამის შესახებ ნაკრებს უბრალოდ შეატყობინა – არ ჩასულა და იქაურ ექიმებს არ ჩვენებია. ამის გამო ქეროლი დასაჯეს და ევრო 2012-ის შესარჩევში ჩრდილოეთ... ჩრნოგორიის ნაკრებთან სათამაშოდ დიდ ნაკრებში აღარ გამოიძახეს.

შეგახსენებთ, რომ ენდი ქეროლის ნაკრებში გამოძახებამ ინგლისში გარკვეული წინააღმდეგობები გამოიწვია. მიზეზი: მოედანს მიღმა სკანდალური თავგადასავლები. თავად ფეხბურთელმა ამის შესახებ, რასაკვირველია, კარგად იცის და ისიც მოეხსენება, რომ უნდა სცადოს ბრიტანულ გაზეთებს ყბაში აღარ ჩაუვარდეს.

*„ჩემი ცხოვრების შესახებ იმდენი ითქვა, რომ მინდა ეს ყველაფერი შევცვალო. მინდა ხალხს ფეხბურთის გამო ვაინტერესებდე, იმაზე ლაპარაკობდნენ, რა და როგორ გავაკეთე მოედანზე და არა იმაზე, სად ვიყავი თამაშის შემდეგ. ამ სეზონში შვიდი გოლი გავიტანე და ვფიქრობ, ნაკრებში გამოძახებას ვიმსახურებდი. ჩემს თანაგუნდელებს კი არა, შეგიძლიათ მეტოქე გუნდების მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მოუსმინოთ. ისინი მე მაქებენ. ვფიქრობ, თუ კარგ ფორმას შევინარჩუნებ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კვლავ გამომიძახებს. გულწრფელად მწამს, რომ ინგლისის ნაკრების მაისურით ბევრი გოლის გატანა შემიძლია და მინდა ამის დამტკიცების შანსი მომეცეს".*

„ნიუკასლის" თავდამსხმელმა პრემიერლიგის მაყურებელს თავისი ოსტატობა პირველად „ასტონ ვილას" კარში გატანილი სამი გოლით გააცნო. შემდეგ იყო გოლები „ვულვზისა" და „ვესტ ჰემის" კარში, გასული კვირის განმავლობაში კი „არსენალი" და „ბლექბერნი" ემსხვერპლნენ".

*„გასულ სეზონში, როდესაც 19 გოლი გავიტანე და „ნიუკასლი" პრემიერლიგაში დაბრუნდა, ხალხი ამბობდა, რომ ეს მხოლოდ „ჩემპიონატში" შევძელი პრემიერლიგაში კი იმავეს ვეღარ გავიმეორებდი. იმეორებდნენ, გამოხვალ პრემიერლიგაში და გამოჩნდება, რისი მაქნისიც ხარო. ვფიქრობ, უკვე დავამტკიცე, რომ გოლების გატანა უმაღლეს დონეზეც შემიძლია და ახლა შევეცდები იგივე ნაკრებშიც გავიმეორო. ინგლისის ნაკრებში თამაშის არ მეშინია. ვფიქრობ, ეს დიდი გამოწვევაა და თუ ახლა არ გამომვა არაფერი, კიდევ უფრო მეტი ძალითა და ლონით ვითამაშებ, რომ მომავალში დავმკვიდრდე ეროვნულ გუნდში".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის გამოხმაურება

# ორი განრისხებული მწვრთნელი

## კლოპი უკვე დაისაჯა, მაკლარენი განაჩენს ელის

ბუნდესლიგის მე-12 ტურმა, როგორც ყოველთვის, ბევრი გაახარა და ბევრიც დაამწუხრა, მაგრამ ყველაზე მეტად ორი მწვრთნელი განრისხდა. ერთი უკვე დააჯარიმეს, მეორე კი განაჩენს ჯერ კიდევ ელოდება. ვგულისხმობთ დორტმუნდის „ბორუსიას" დამრიგებელ **იურგენ კლოპს** და „ვოლფსბურგის" თავკაც **სტივ მაკლარენს.**

### კლოპის ამბავი

იურგენი „ჰამბურგთან" მატჩის 41-ე წუთზე განრისხდა და თანაც იმდენად, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ თვითონვე მოიხადა ბოდიში, რადგან მიხვდა, რომ აშკარად გადაამეტა. იმის გამო, რომ **მარიო გიოტცეს** ნაქცევისთვის (ასპროცენტიანი ჯარიმა არც ყოფილა) მსაჯმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა, იურგენმა ჯერ მთავარ არბიტრს უქნია ხელ-ფეხი, მერე კი მეოთხე მსაჯს მისდგა, სახე სახესთან მიუტანა და ისე შეუღრინა, საკვირველია, კბილები რომ არ დაიმტვრია. მატჩის შემდეგ კი კლოპმა თქვა: *„იდიოტი ვარ. მომენტი განმეორებით ვნახე და საკუთარი თავის შემეშინდა. მსაჯს ბოდიშს ვუხდი."*

საინტერესო ისაა, რომ არბიტრთა ბრიგადამ ბოდიში მაშინვე მიიღო - საჩივარი კი არ დაწერა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლოპს სასჯელი არ ემუქრებოდა. თუმცა გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ ეს ამბავი მაინც განიხილა - კლოპს 10 000 ევროს გადახდა დააკისრა.

### მაკლარენის ამბავი

„შალკესთან" თამაშის (2:2) დასრულების შემდეგ, „მგლების" დამრიგებელი მოედანზე შევარდა და მსაჯ **ვოლფგანგ შტარკს** ირონიული ღიმილით ტაშს უკრავდა. მიზეზი: გელზენკირხენელთა თავდამსხმელმა **კლაას-იან ჰუნტელაარმა** ანგარიში მას მერე გაათანაბრა, რაც ბურთი ხელით გაისწორა. მაკლარენი: *„ტაშს არ ვუკრავდი, უბრალოდ ვუჩვენებდი, რომ ჰუნტელაარს ბურთი ხელზე მოხვდა"*. ინგლისელი სპეციალისტი ამას იმიტომ ამბობს, რომ დისკვალიფიკაციის ეშინია.

ფაქტი ისაა, რომ მსაჯების დამკვირვებელმა **ლუტც-მიხაელ ფრიოლიხმა** პროტოკოლში მაკლარენის ამბავი ჩაწერა და „ვოლფების" მწვრთნელს სავარაუდოდ დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. სხვათა შორის, ამ მატჩში შტარკმა მაკლარენის ასისტენტი **პიერ ლიტბარსკი** მოედნიდან გააძევა - ტრიბუნაზე უკრა თავი. მიზეზი: ლიტბარსკი მეოთხე მსაჯს ეჩხუბებოდა. მოკლედ, მაკლარენს ან ფულს გადაახდევინებენ, თუ არა და „ვოლფსბურგის" მომდევნო მატჩის დროს (ზანკტ პაულისთან) ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა.

### პინოლამ შვაინშტაიგერს შეაფურთხა

ბავარიული დერბის შემდეგ, რომელიც „ბაიერნმა" 3:0 მოიგო, **ბასტიან შვაინშტაიგერმა** წუწუნი მორთო. მიუნხენელთა ნახევარმცველი „ნიურნბერგის" მარცხენა მცველ **ხავიერ პინოლაზე** იყო გაბრაზებული. *„თავზე დამაფურთხა! ასეთი რამ ჩემს კარიერაში პირველად მოხდა. დასაჯეთ ეს იდიოტი!"*

შვაინშტაიგერს ტელეკომპანია „სქაის" პირდაპირ ეთერში **ფრანც ბეკენბაუერმაც** აუბა მხარი. კაიზერფრანცმა ლამის იყვირა: *„მე რომ შვაინშტაიგერის ადგილზე ვყოფილიყავი, პინოლას პანღურს ამოვარტყამდი, თანაც, ისე ძლიერად, რომ სტადიონიდან გაფრენილიყო!"*

შვაინშტაიგერის პასუხი: *„მეც მინდოდა საკადრისი პასუხის გაცემა... კარგი იქნება, თუ პინოლა მეტად იაზროვნებს, მაგრამ როგორც ჩანს, უტვინოა."*

ალსანიშნავია, რომ შეფურთხებამდე შვაინშტაიგერი და პინოლა ერთმანეთს რამდენჯერმე წაეკიდნენ. „ნიურნბერგის" მენეჯერი **მარტინ ბადერი** ამბობს, დავინახე, როგორ ჩაარტყა შვაინშტაიგერმა პინოლას იდაყვით. პინოლა: „შვაინშტაიგერს შეუძლია ილაპარაკოს, რაც უნდა. მეტს არაფერს ვიტყვი." ფაქტი ის არის, რომ გამეორებაზე კარგად ჩანს, როგორ შეაფურთხა არგენტინელმა შვაინს, რის გამოც პინოლას დისკვალიფიკაცია ემუქრება.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ უშუალოდ „ბაიერნშიც" დაფიქსირდა ერთი დაპირისპირება: **ჰამით ალთინთოფი** მწვრთნელ **ლუის ვან გაალზე** გაბრაზდა. მიზეზი ის იყო, რომ ლუისმა თურქი ნახევარმცველი **თომას მიულერით** შეცვალა, რის შემდეგაც, ალთინთოფი ჰოლანდიელ სპეციალისტს დიდხანს ეკამათა. ვან გაალს კი ჰამითზე არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, **მარიო გომესი** გააკრიტიკა - თავდამსხმელი, რომელმაც დერბიში დუბლი შეასრულა და თან თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. ლუისმა თქვა: *„დაუჯერებელია, როგორ ვერ გაიტანა პენალტი. ფაქტია, რომ ამის მერე გომესს თერთმეტმეტრიანის დარტყმა დიდხანს აღარ მოუწევს."*

...და სხვათა შორის, ვან გაალმა „დორტმუნდსაც" გაჰკრა კბილი, „ბორუსიას" ამ ეტაპზე ძალიან მაგრად უმართლებსო...

### ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 4-2-2-2)

**ოლივერ ბაუმანი (ფრაიბურგი) - ფილიპ ლამი (ბაიერნი), მარკო რუსი (აინტრახტი), ნევენ სუბოტიჩი (ბორუსია დ), მარსელ შეფერი (ვოლფსბურგი) - კრისტიან ტიფერტი (კაიზერსლაუტერნი), მაიკლ ბრედლი (ბორუსია მ) - შინჯი კაგავა (ბორუსია დ), რენატო (ლევერკუზენი) - რაულ ბობადილია (ბორუსია მ), მარიო გომესი (ბაიერნი)**

12 ტურში ექვსჯერ მოხვდე სიმბოლურ ნაკრებში, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და თუ ასე განაგრძობს, დორტმუნდის „ბორუსიას" იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** აუცილებლად სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. კაგავა ყველა მატჩში უდიდესი აღმაფრენით თამაშობს და იმ ექვს ტურშიც კი, როცა სიმბოლურში ვერ მოხვდა, უმეტესად ძალიან ახლოს იყო ტურის რჩეულთა შორის მოხვედრასთან. კაგავა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის უდავოდ გამორჩეული ფეხბურთელია. მის გარდა, სიმბოლურ ნაკრებში თითქმის ყველა პირველად მოხვდა. ტურის რჩეულთა შორის ყოფნა აქამდე მხოლოდ „ფრაიბურგის" მეკარე **ოლივერ ბაუმანს** და „ბაიერნის" თავდამსხმელ **მარიო გომესს** ჰქონდათ დაგემოვნებული - ისიც თითოჯერ.

### ტურის გმირი

რაულ ბობადილია (ბორუსია მ)

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" არგენტინელმა თავდამსხმელმა როგორც იქნა, დაამტკიცა, რომ მასაც შეუძლია გოლების გატანა. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკიც ქარცეცხლში არაერთხელ იქნა გატარებული და ამას წინათ, „გლადბახის" მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ ფრონტცეკმა** ცუდი ყოფაქცევისთვის განაცხადიდანაც კი ამოიღო, მიონხენგლადბახელი ქომაგების თვალში მან „კიოლნთან" შესრულებული დუბლით სრულფასოვანი რეაბილიტაცია მოახდინა, რადგან „კიოლნი" „გლადბახისთვის" მოსისხლე მტერია და ამ გუნდის კარში გატანილი თითოეული გოლი ორმაგად ფასობს. გარდა ორი გოლისა, **ბობადილიამ** საგოლე გადაცემაც მიითვალა.

### საუკეთესო ფეხბურთელები

12 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფ. |
|---|---|---|
| 1. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.42 |
| 2. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.46 |
| 3. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.61 |
| 4. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.67 |
| 5. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.71 |
| 6. კრისტიან ვეტკლო | მაინცი | 2.71 |
| 7. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 2.73 |
| 8. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.75 |
| 9. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 2.75 |
| 10. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.75 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 11 | 2 | 13 |
| 2. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 10 | 0 | 10 |
| 3. იულიან შიბერი | ნიურნბერგი | 3 | 7 | 10 |
| 4. დემბა ბა | ჰოფენჰაიმი | 6 | 3 | 9 |
| 5. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 7 | 2 | 9 |
| 6. ედინ ჯეკო | ვოლფსბურგი | 8 | 1 | 9 |
| 7. ლუის ჰოლტბი | მაინცი | 2 | 7 | 9 |
| 8. ჩიპრიან მარიკა | შტუტგარტი | 2 | 7 | 9 |
| 9. მარიო გომესი | ბაიერნი | 7 | 1 | 8 |
| 10. გრაფიტე | ვოლფსბურგი | 7 | 1 | 8 |

გერმანიის ნაკრები

# ახალი გერმანელები

## ახლა მათი დროა ვინ ჩაჯდება ბუნდესგუნდში?

ხვალ გერმანიის ნაკრები შვედეთს ამხანაგურად გაეჯიბრება და ამ მატჩს ძალიან საინტერესოს ხდის ის ფაქტორი, რომ ბუნდესგუნდში არაერთ ახალ სახეს ვიხილავთ. ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** 2010 წლის უკანასკნელი თამაშისთვის რამდენიმე ახალი, თანაც, ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოიძახა. დორტმუნდელები **მატს ჰუმელსი, მარიო გიოტცე, მარსელ შმელცერი** და **კევინ გროსკროიტცი**, ასევე მაინცელები **ლუის ჰოლტბი** და **ანდრე შიურლე** - ისინი შეეცდებიან, დაამტკიცონ, რომ უკვე არიან გერმანიის ნაკრებში თამაშის ღირსნი.

ლიოვმა კარგად იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია შვედეთთან თამაში თითოეული ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის და ხვდება, რომ ყველას უნდა მისცეს თავის გამოჩენის შანსი. ზემოთ ჩამოთვლილი ექვსეულიდან დებიუტანტი ოთხია (18 წლის გიოტცე, 20 წლის შიურლე, 22 წლის შმელცერი და 20 წლის ჰოლტბი), მაგრამ თამამად უნდა ვთქვათ, რომ ჰუმელსი და გროსკროიტციც პირველი სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან, რადგან ექვსი თვის წინ, მალტასთან ტესტმატჩისთვის რომ იყვნენ გამოძახებულები, მაშინ მხოლოდ მესამეხარისხოვანი როლი ჰქონდათ.

გერმანიაში ამ ბიჭებზე უკვე დიდი დისკუსიაა დაწყებული - ყველა იმაზე ბჭობს, თუ რომელი ან რამდენი მათგანი მოახერხებს ლიოვისთვის თავის მოწონებას. ვინც გამოვიძახე, ყველას იმედი მაქვსო, ამბობს ლიოვი, რომლის გუნდის განაცხადი **ლუკას პოდოლსკის** ტრავმის შემდეგ 21 ფეხბურთელამდე შემცირდა. „კიკერის" ორშაბათის ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ექვსივე ახალგაზრდა მოთამაშის პერსპექტივებზეა საუბარი.



გერმანიის ნაკრებში გამოძახებული დორტმუნდელები. მარცხნიდან: მატს ჰუმელსი, მარიო გიოტცე, კევინ გროსკროიტცი და მარსელ შმელცერი

### მარიო გიოტცე

ერთადერთი საკითხი, რაშიც იოახიმ ლიოვი და მისი მტერი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** ყოველგვარი დისკუსიის გარეშე თანხმდებიან, დორტმუნდის „ბორუსიას" ახალგაზრდა ნახევარმცველის, **მარიო გიოტცეს** ნიჭიერებაა. ორივე ამბობს, რომ გიოტცე უდიდესი ტალანტია. 18 წლის ნახევარმცველს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 2 გოლი და 4 საგოლე პასი აქვს და ამას თავი რომ დავანებოთ, იმდენად კარგად თამაშობს, უკვე ძალიან ბევრის საყვარელი ფეხბურთელი გახდა.

თუკი ლიოვი ხვალ გიოტცეს ათამაშებს (და ალბათ ათამაშებს), მარიო **უვე ზეელერის** შემდეგ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში დებიუტი 17 წლისა და 345 დღის ასაკში ჰქონდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ბუნდესგუნდის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდება. გიოტცე 18 წლისა და 167 დღისაა - როგორც ხედავთ, ლეგენდარული ზეელერის რეკორდამდე ძალიან ცოტა აკლდება. ერთი რამ აშკარაა: გიოტცე ამ ექვსეულში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია.

### ლუის ჰოლტბი

„შალკედან" „მაინცში" განათხოვრებული ახალგაზრდა ნახევარმცველი სეზონის დასაწყისში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო - დიდი თუ პატარა, გერმანიაში ყველა მასზე ლაპარაკობდა. არცაა გასაკვირი: ჰოლტბის ანგარიშზე პირველ რვა ტურში ხომ ორი გოლი და შვიდი საგოლე პასი იყო. აი, ბოლო დროს კი მოუკლო და თანაც იმდენად, რომ ახლა მაინცშიც კი არ სჯერათ მისი სერიოზული წარმატებებისა გერმანიის ნაკრებში. ჰოლტბი სტატისტიკურადაც ძალიან გაუარესდა. თვითონ განსაჯეთ: ბოლო ხუთ ოფიციალურ მატჩში არც ერთი გოლი არ გაუტანია და არც საგოლე პასი გაუკეთებია, „კიკერის" საშუალო შეფასება კი ბოლო ხუთ თამაშში 4.7 ბალია. ეს ყველაფერი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ შესანიშნავი სტარტის შემდეგ, ჰოლტბის ჩავარდნა დაეწყო, რაც მოსალოდნელიც იყო. ვნახოთ, იქნებ ბუნდესგუნდში თამაშმა „შეასხას ფრთები".

### ანდრე შიურლე

ზუსტად ისე, როგორც ჰოლტბიმ, სეზონი მისმა თანაკლუბელმა **შიურლემაც** ბრწყინვალედ დაიწყო და ისიც „მაინცის" ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია, მაგრამ მანაც ჰოლტბის ბედი გაიზიარა - ისევე, როგორც მთელ „მაინცს", შიურლესაც კრიზისული პერიოდი უდგას. მიუხედავად ამისა, გერმანიაში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ანდრე შიურლესგან, რომელსაც ახალ **რუდი ფიოლერს** უწოდებენ, დიდი ფეხბურთელი დადგება. სხვათა შორის, მან უკვე გააფორმა კონტრაქტი „ლევერკუზენთან" და სეზონის დასრულებისთანავე რანგით „მაინცზე" გაცილებით დიდ გუნდში გადავა.

### მარსელ შმელცერი

დორტმუნდის „ბორუსიას" მარცხენა მცველი ბავშვობაში **დედეს** ფორმით თამაშობდა ხოლმე, მერე კი მოხდა სასწაული და შმელცერმა მისთვის სამაგალითო ფეხბურთელი „ბორუსიას" ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. შმელცერის დამსახურებაა ის, რომ დორტმუნდელ ფანებს დედეს არსებობა ფაქტობრივად აღარც კი ახსოვთ. მას უდავოდ დიდი მომავალი აქვს - მარსელის მთავარი პლუსები ორთაბრძოლებში თამამი შესვლა, სისწრაფე და საფეხბურთო აზროვნების უნარია.

ახლა კი შმელცერს გერმანიის ნაკრებში თავის დამკვიდრების მართლაც შესანიშნავი შანსი აქვს, რადგან ბუნდესგუნდში ამ პოზიციაზე თამაში განაღდებული არავის აქვს. პირიქით, ლიოვი მუდმივ ძიებაშია და დაცვის მარცხენა ფრთაზე ხან ვის ათამაშებს ხოლმე, ხანაც ვის. ხშირად კი იძულებული ხდება, რომ მარცხენა მცველად **ფილიპ ლამი** გაამწესოს, რომელსაც მარჯვნივ ურჩევნია თამაში.

### კევინ გროსკროიტცი

**გროსკროიტცი** „დორტმუნდში" უმეტესად ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე თამაშობს და შმელცერის პარტნიორია. კევინი მებრძოლი, თავდაუზოგავი ფეხბურთელია ბევრი დადებითი თვისებით, მაგრამ მისი მთავარი პლუსი მაინც უნივერსალობაა. გროსკროიტცს მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვის ცენტრშიც - როგორც საყრდენად, ისე გამთამაშებლადაც. ექვსი თვის წინ, მალტასთან ამხანაგურ მატჩში გროსკროიტცმა 33 წუთი ითამაშა და ლიოვს დორტმუნდელი ძალიან მოეწონა - კევინმა **ლუკას პოდოლსკის** ორი საგოლე პასი მისცა (გერმანიამ ის თამაში 3:0 მოიგო).

### მატს ჰუმელსი

...როგორც იქნა, მისი დროც დადგა. ეს არის ცენტრალური მცველი, რომელიც ჯერ მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ მასზე უკვე ძალიან დიდი ხანია, ლაპარაკობენ. უკვე ორი წელია, რაც ჰუმელსი მასზე გაცემულ ავანსებს ამართლებს - თამაშობს ყოველთვის, თანაც, სტაბილურად კარგად. ექსპერტების საკმაოდ დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ მატსი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას იმსახურებდა და ლიოვს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკაში წაიყვანა „შტუტგარტის" მცველი **სერდარ ტასკი** და არ წაიყვანა ჰუმელსი, რომელმაც წინა სეზონიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ახლაც შესანიშნავ ფორმაშია.

გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრში დიდი კონკურენციაა, მაგრამ თვით **პერ მერტეზაკერიც** კი აღარ არის ხელშეუხებელი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

იტალიის ნაკრები

# პრანდელიმ გუნდი დარაზმა

### კიდევ ერთი არგენტინელი აძურაში

17 ნოემბერი სანაკრებო ფეხბურთის დღეა და თავისი შეხვედრის გასამართად იტალიის ეროვნული გუნდიც ემზადება. **ჩეზარე პრანდელის** სამწყსო რუმინეთის ნაკრებს შეერკინება. მიუხედავად იმისა, რომ თამაში ამხანაგურია, იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან დიდ ინტერესს იწვევს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პრანდელის ფორმაციის „აძურა" ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და ყველა ნიუანსს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩეზარემ დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც რუმინეთთან პაექრობაში დაეყრდნობა.

**მეკარეები:** ემილიანო ვივიანო (ბოლონია), სალვატორე სირიგუ (პალერმო), ანტონიო მირანტე (პარმა).

**მცველები:** დავიდე ასტორი (კალიარი), ფედერიკო ბალცარეტი (პალერმო), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), მატია კასანი (პალერმო), დომენიკო კრიშიტო (ჯენოა), დანიელე გასტალდელო (სამპდორია), ანდრეა რანოკია (ჯენოა), დავიდე სანტონი (ინტერი).

**ნახევარმცველები:** ალბერტო აკვილანი (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), ალესანდრო დიამანტი (ბრეშა), კრისტიან ლედესმა (ლაციო), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), სტეფანო მაური (ლაციო), ანდრეა პირლო (მილანი).

**თავდამსხმელები:** მარიო ბალოტელი (მანჩესტერ სიტი), ალბერტო ჯილარდინო (ფიორენტინა), ჯამპაოლო პაცინი (სამპდორია), ფაბიო კვალიარელა (იუვენტუსი), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი).

#### დაცვა

პირველი, ვინც თვალში არ მოგვხვდა, **ჯორჯო კიელინი** გახლავთ. „იუვენტუსის" ცენტრალურ მცველს მცირე ტრავმა ჰქონდა, თუმცა ბოლო ინფორმაციით სრულად გამოჯანმრთელდა და ბევრს გაუკვირდა, რომ სინიორ ჩეზარემ მის სამსახურზე უარი განაცხადა. „გაძეტა დელო სპორტში" ეჭვი გამოთქვეს, რომ პრანდელი უკმაყოფილოა ჯორჯოს სათამაშო კონდიციით და ამად დატოვა განაცხადს მიღმა. თუმცა, ჟურნალისტთა ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს და ამტკიცებს, ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელის გამოძახებისგან თავი შეიკავა, მით უმეტეს, მის შესაძლებლობებში ბოლომდე დარწმუნებულიაო. მოკლედ, აზრი გაიყო, თავად მწვრთნელს კი ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, განაცხადშია „ჯენოას" მცველი **ანდრეა რანოკია** და დიდი შანსია, კიელინი სწორედ მან შეცვალოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბონუჩი-რანოკიას მეტად იმედისმომცემი ტანდემი უკვე ეროვნულ ნაკრებში აღდგება. შეგახსენებთ, რომ ამ ორმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა „ბარიში" ასპარეზობით გაითქვა სახელი და ბევრი მათ **ნესტა-კანავაროს** წყვილს ადარებდა.

ახალი სახეა **ფედერიკო ბალცარეტი**, რომელიც თავის კლუბში დაცვის მარცხენა ფრთაზე ასპარეზობს და ბოლო დროს, მეტად წარმატებულადაც. ანუ, შესაძლოა რუმინეთთან პაექრობაში დაცვის ფლანგებზე სიცილიელებმა იასპარეზონ: მარჯვნივ **მატია კასანიმ**, ხოლო მარცხნივ ფედერიკო ბალცარეტიმ. განაცხადშია „სამპდორიას" მცველი **დანიელე გასტალდელო**, რომელიც უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა, მას ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც. ამჯერად, სიაში ვერ ვხედავთ გამოცდილ უკანახაზელებს - მაგალითად, **ფაბიო გროსოს** და **ჯანლუკა ძამბროტას**. არადა, ეს უკანასკნელი სერბეთთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩაშლილ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო. როგორც ჩანს, ძამბროტას მაშინ მიეცემა ნაკრებში ასპარეზობის საშუალება, როდესაც იდეალურ ფორმაში იქნება.

#### ნახევარდაცვა

თითქმის ყველა იტალიურ სპორტულ გამოცემაში პირველ გვერდზე **კრისტიან ლედესმას** ფოტო იყო გამოსახული. დიახ, „ლაციოს" არგენტინელი ფეხბურთელი **ჩეზარე პრანდელიმ** განაცხადში შეიყვანა და სავარაუდოდ, რუმინეთთან მისი სანაკრებო დებიუტი შედგება. ამიტომ, ამიერიდან, უმჯობესია მასზე ვთქვათ არგენტინული წარმოშობის იტალიელი ფეხბურთელი. ვნახოთ, რამდენად წარმატებული იქნება ლედესმას სანაკრებო კარიერა - თავის დროზე, **მაურო კამორანეზიმაც** გაცვალა არგენტინა იტალიაზე და „სკუადრა აძურას" დიდი სამსახურიც გაუწია. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „აძურას" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ.

ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ **ალბერტო აკვილანის** უნდა მიელო სანაკრებო მიწვევა და ასეც მოხდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ალბერტო „იუვეში" შესანიშნავად ირჯება, თავისი თავი იპოვა და სრულიად ბუნებრივია, რომ პრანდელის ყურადღებაც მიიქცია. ვნახოთ, როგორ წარმოჩნდება ეროვნულ გუნდში. შესანიშნავ სეზონს ატარებს „ბრეშას" ნახევარმცველი **ალესანდრო დიამანტი** - მეთერთმეტე ტურში კი „იუვენტუსს" ისეთი ხმელი ფოთოლი გაუტანა, რომ ნებისმიერ ბრაზილიელს შეშურდებოდა. მოკლედ, დიამანტი ბრწყინვალე ფორმაში და შესაბამისად, ეროვნულ ნაკრებშია. არ გვიკვირს, რომ სიაში ვხედავთ **ანდრეა პირლოს, დანიელე დე როსის** და **სტეფანო მაურის**. აი, **ჯენარო გატუზო** და **მასიმო ამბროზინი** კი განაცხადს მიღმა დარჩნენ. შესაძლოა იკითხოთ, ამ უკანასკნელს როდის იწვევდნენ „აძურაშიო", მაგრამ იყო ასეთი დროც და შეგვიძლია ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი გავიხსენოთ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა ამბროზინი სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშობს და ჟურნალისტთა ნაწილი მის ეროვნულ გუნდში დაბრუნებას მოელოდა - ამაოდ.

#### თავდასხმა

ჩეზარე პრანდელიმ **ანტონიო კასანოს** სიტყვიერი მხარდაჭერა გამოუცხადა, როდესაც ის „სამპდორიას" პრეზიდენტთან კონფლიქტის გამო გუნდიდან მოკვეთეს. ამ ჟესტის შემდეგ, ბევრმა ჩათვალა, რომ ანტონიოს სანაკრებო კარიერა საფრთხეში არ იყო, თუმცა არც მთლად მასე ყოფილა საქმე. პრანდელიმ კასანო განაცხადს მიღმა დატოვა და გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნა: *„ანტონიო ბრწყინვალე ფეხბურთელია და მასზე უარის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს უთამაშებელია და ჩემი ინფორმაციით, სტაბილურად არც კი ვარჯიშობს. ასე რომ, ამ ეტაპზე მისი გამოძახებისგან თავი შევიკავე. არ გეგონოთ, რომ ანტონიოსთან კონტაქტი გავწყვიტე - პირიქით, რაც ეს გაუგებრობა მოხდა, მას შემდეგ ხშირად ვეხმიანები და არსებული ვითარებით ვინტერესდები. ვთხოვე კიდეც, რომ უწინდებურად გააგრძელოს ვარჯიში და როგორმე მოაგვაროს ის კონფლიქტი, რომელიც კლუბის პრეზიდენტთან მოუვიდა. ეროვნულ გუნდში მოუმზადებელ ფეხბურთელს ვერ გამოვიძახებ, ანტონიო კი დღეს სწორედაც რომ შორს არის ოპტიმალური ფორმისგან".*

სამაგიეროდ, იდეალურ კონდიციაშია **ჯუზეპე როსი** და შესაბამისად, ეროვნულ გუნდშიც მოხდა. კასანოს არყოფნაში მისი საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა და პრანდელიმ ზედმეტი ფიქრის გარეშე გამოიძახა. ეს ჩვენი ვარაუდი არ გეგონოთ, თავად პრანდელიმ თქვა: ერთადერთი თავდამსხმელი, ვინც ფიქრის გარეშე შევიყვანე სიაში, როსი გახლავთო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს გოლების გატანას უკლო **ჯამპაოლო პაცინიმ**, ისიც რჩეულთა შორის მოხვდა. არ გვიკვირს, რომ პრანდელიმ კვლავ უხმო **ალბერტო ჯილარდინოს** და **ფაბიო კვალიარელას**. აი, **მარიო ბალოტელისთან** დაკავშირებით კი დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი - ჟურნალისტები კარგა ხანია ამტკიცებენ, პრანდელისა და ბალოტელის შორის შავმა კატამ გაირბინა და ეს უკანასკნელი ნაკრებში გამოძახებას ვერ ეღირსებაო. თუმცა, ეს ყველაფერი მონაჩმახი აღმოჩნდა: მარიო განაცხადშია და თუ მის სათამაშო კონდიციას გავითვალისწინებთ, შესაძლოა ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშოს.



ლედესმა გაიტალიელდა

დერბის გამოხმაურება

# ბენიტესმა ეტოოც კი გაიმეტა

### ესპანელი არაადეკვატურია



რაფაელ ბენიტესი

„ინტერს" ცუდი დროება უდგას - ბოლო მატჩებში უხვად დაკარგა ქულები და ყველა სიკეთესთან ერთად, მილანური დერბიც წააგო. მოკლედ, **რაფაელ ბენიტესს** კრიტიკა არ აკლია და ისიც იძულებულია, თავი იმართლოს. „მილანთან" განცდილი მარცხის შემდეგ, საპრესკონფერენციო დარბაზში მისვლა იოლი საქმე არ იყო, მაგრამ ესპანელმა გაბედა და შემდეგი განაცხადა:

*„არა მგონია, რომ ხასიათის სიმტკიცე ვერ გამოგვეჩინა, უბრალოდ, „მილანმა" სწრაფი გოლი გაგვიტანა და შემდეგ, თამაში თავისი კარნახით წარმართა. საშუალო დონის გუნდებთანაც კი ძნელია ანგარიშის გათანაბრება, როდესაც მთელი გუნდით თავს იცავს მეტოქე და მით უმეტეს, „მილანთან", რომელსაც შესანიშნავი უკანახაზელები ჰყავს. მარკო მატერაციმ მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და ისიც გაშვებულ გოლად დაგვიჯდა, დროის დარჩენილ ნაწილში უმაღლეს დონეზე იასპარეზა. ასე რომ, მასზე უარის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ. მარცხის მიზეზებზე უფრო დეტალურად საუბარი დღეს გამიჭირდება, თუმცა რამდენიმე პრობლემა მართლაც თვალში საცემი გახლდათ. ძალიან ხშირად ვკარგავდით ბურთს მოედნის ცენტრში და ბოლო პასის გაკეთება გვიჭირდა. ამას ბევრი მიზეზი აქვს, პირველ რიგში კი ფეხბურთელთა არცთუ სახარბიელო სათამაშო კონდიცია უნდა აღვნიშნოთ. გასულ სეზონში, ვესლი სნეიდერი, დიეგო მილიტო და სამუელ ეტოო ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდნენ, ამ სეზონში კი უჭირთ საუკეთესო თვისებების გამოვლენა".*

ბენიტესის ამ სიტყვებს იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ესპანელმა **სამუელ ეტოოსაც** დაუწუნა სათამაშო ფორმა. არადა, კამერუნელი მართლაც რომ ბრწყინვალე ფორმაშია და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ წინა სეზონის ეტოოს არაფრით ჩამოუვარდება. **მასიმო მორატი** ბევრად უფრო ადეკვატური გახლდათ: *„ძალიან ცუდად ვითამაშეთ და რა დასამალია, უკმაყოფილო ვარ. თუ ასე გავაგრძელეთ ასპარეზობა, არა მგონია, რომ ამ სეზონში რაიმე ღირებულს მივაღწიოთ. „მილანმა" ნორმალურად ითამაშა, მაგრამ არა იმდენად კარგად, რომ მეტოქის კართან სახიფათო მომენტიც კი ვერ შეგვექმნა. ვფიქრობ, „ინტერი" არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე და სწორედ ამის გამო აილო „როსონერიმ" ასე საჭირო სამი ქულა".*

ბენიტესის თემას უნდა დავუბრუნდეთ, რადგან ესპანელი სპეციალისტი ყოველმხრივ განხილვის საგანია. იტალიელი ჟურნალისტები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ „ინტერის" თავკაცი მთელი შეხვედრის განმავლობაში უჩვეულოდ ნერვიულობდა, ამასთან დაბნეული იყო. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ორჯერ შეცვალა გადაწყვეტილება და მოედანზე გასაყვანი, დამოძღვრილი ფეხბურთელები კვლავ სათადარიგოთა სკამზე მიაბრუნა. ასე მოხდა მაშინ, როდესაც **ობი** დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა - თავდაპირველად **ესტებან კამბიასო** გაამზადა მოედანზე შესაყვანად, თუმცა შემდეგ უკან მიაბრუნა არგენტინელი და **კოუტინიო** ჩართო თამაშში. ანალოგიური განმეორდა **მარკო მატერაცის** ტრავმის დროს - უკვე გამოცვლილი, დარიგებულ-დამოძღვრილი **დავიდე სანტონი** სკამზე დასვა და თამაშში **ჯონათან ბიაბიანი** ჩართო. რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? - ასეთი გამოცდილების მქონე სპეციალისტი უჩვეულოდ დაბნეული და არაადეკვატურია, რაც „ინტერის" თამაშზეც შესაბამისად აისახება.

ძალიან გახარებული გახლდათ **მასიმილიანო ალეგრი**, რაც მისი კომენტარიდან კარგად ჩანს: *„სწრაფი გოლი გავიტანეთ, მეტოქე მდევრის როლში ჩავაყენეთ, რაც ასეთ მნიშვნელოვან პაექრობაში დიდი წნეხია. სანამ ათნი დავრჩებოდით მოედანზე, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, შემდეგ კი დაცვაზე გადავეწყვეთ და ამ ამოცანასაც წარმატებით გავართვით თავი. ყველაზე მეტად დაცვის კარგმა თამაშმა გამახარა, რადგან ამ მხრივ სერიოზული პრობლემები გვქონდა. გამარჯვება დაშავებულ ფეხბურთელებს: ფილიპო ინძაგის და ალეშანდრე პატოს ეძღვნებათ. განსაკუთრებით პიპოს, რომელმაც სტადიონზე მოსვლაც კი ვერ შეძლო. მადლობა ყველას, ვინც ამ დიდ გამარჯვებაში წვლილი შეიტანა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გრაფიტეს გალაში?

## ბრაზილიელი, შესაძლოა, მიშიმოვიჩს მიჰყვეს

თურქული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, „გალათასარაის“ „ვოლფსბურგის“ ბრაზილიელი თავდამსხმელის, ბუნდესლიგის 2008/2009 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, **გრაფიტეს** გადაბირება უნდა. როგორც ირკვევა, თურქებმა გერმანელებთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს. მათი მიზანია, რომ გრაფიტემ „გალათასარაის“ იანვარში მიაშუროს.

როგორც იცით, ზაფხულში „გალათასარაიმ“ „ვოლფსბურგიდან“ ბოსნიელი გამთამაშებელი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** იყიდა, ახლა კი, თურქებს გრაფიტეს წაყვანაც უნდათ. ბრაზილიელის ყიდვა „გალას“ ხელმძღვანელებისთვის ყველაზე პრიორიტეტული ტრანსფერია, რადგან თურქულ გრანდს მთავარი გოლეადორი **მილან ბაროში** მძიმედ დაუშავდა. ისე, ბაროშს დიდი ხანია, ტრავმები აწუხებს და მისმა მორიგმა დაშავებამ კლუბის ბოსები სერიოზულად დააფიქრა. მთავარ მწვრთნელ **გეორგე ჰაჯის** ბაროშის შემცვლელი არ ჰყავს. მაგალითად, გასულ უქმეებზე ჰაჯიმ ბაროშის ადგილზე ნახევარმცველი **ხუან პაბლო პინო** ათამაშა. მართალია, „გალათასარაიმ“ ზაფხულში „ბუკადან“ ნიჭიერი **მეჰმეთ ბატდალი** იყიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ ზედმეტად გამოუცდელია იმისათვის, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ათამაშონ.



გრაფიტე და ზვიეზდან მიშიმოვიჩი ისევ თანაგუნდელები გახდებიან?

„ვოლფსბურგი“ კი გრაფიტეს 5 მილიონ ევროდ აფასებს. აღსანიშნავია, რომ „გალათასარაის“ გრაფიტეს გადაბირება იმ დროიდან უნდა, როცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ფრანგულ „ლე მანში“ თამაშობდა.

**გოტფრიდ ლენცი**

# პირველი წრე დამთავრდა

„ჰამბურგის“ ნახევარმცველი **გოიკო კაჩარი** პარასკევს, ბუნდესლიგის მე-12 ტურის მატჩში (დორტმუნდის „ბორუსიასთან“, 0:2) დაშავდა და ექიმების დიაგნოზი მისთვის ძალიან არასახარბიელოა: სერბი ნახევარმცველისთვის გერმანიის ჩემპიონატის I წრე უკვე დამთავრებულია, კაჩარი ლაზარეთში მინიმუმ ერთ თვეს დაყოფს. ამრიგად, „ჰამბურგს“ კიდევ ერთი საკადრო პრობლემა დაემატა და ჩრდილოგერმანული კლუბის მდგომარეობა უფრო მეტად დამძიმდა. დღესდღეობით „ჰამბურგის“ მწვრთნელ **არმინ ფეჰს** არაერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დამტვრეული, მათ შორის პირველი მეკარე **ფრანკ როსტი**, გოლეადორი **რუუდ ვან ნისტელროი**, მარცხენა მცველი **მარსელ იანსენი** და გარემარბი **ელჯერო ელია**.

**გოტფრიდ ლენცი**

# დაგვიბრუნეთ შიბერი!

„შტუტგარტის“ სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** აცხადებს, რომ შვაბები მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ აუცილებლად დაიბრუნებენ თავდამსხმელ **იულიან შიბერს**, რომელიც ახლა განათხოვრების წესით „ნიურნბერგში“ თამაშობს. ეს უკანასკნელი კარგად თამაშობს: განვლილ 12 ტურში სამი გოლის გაიტანა და შვიდი საგოლე პასის გაკეთება მოასწრო. „ნიურნბერგის“ მენეჯერი **მარტინ ბადერი** ბედს შეგუებულია და აცხადებს, ის ხომ მაინცაა კარგი, რომ ზაფხულამდე საკმარისი დრო გვაქვს, რათა შიბერის ღირსეული შემცვლელი ვიპოვოთო. ერთ-ერთი კანდიდატი მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „აუგსბურგის“ თავდამსხმელი **შტეფან ჰაინია**.

**გოტფრიდ ლენცი**

# ბაიერნი ბოსინგვას აკვირდება

ამ უქმეებზე „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** კიდევ ერთხელ თქვა, იანვარში მაღალი კლასის მარჯვენა მცველი უნდა ვიყიდოთ, ჯერ ერთი, **ფილიპ ლამის** შემცვლელი არ გვყავს და მეორეც, მე მინდა, რომ ფილიპი დაცვის მარცხენა ფლანგზე გადავიყვანოო. ამიტომაც იმყოფებოდა „ბაიერნის“ მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** ლონდონში, სადაც „ჩელსისა“ და „ფულჰემის“ მატჩს დაესწრო. ნერლინგერი **ჟოზე ბოსინგვას** აკვირდებოდა. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის შეძენა მიუნხენელებს შარშანაც სურდათ. პორტუგალიელმა მარჯვენა მცველმა მოედანზე 89 წუთი გაატარა და მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია. მას ჯერ კიდევ ეტყობა იმ ტრავმის კვალი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი გამოატოვებინა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მიუნხენელები „ბორდოს“ მარჯვენა მცველ **ბენუა ტრემულინაზეც** სერიოზულად ფიქრობენ.

**გოტფრიდ ლენცი**

### ნიოპლიასი წავიდა

„ლარისასთან“ ნათამაშები ფრის (1:1) შემდე „პანათინაიკოსი“ დატოვა მისმა მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოს ნიოპლიასმა**. როგორც ჩანს, მან მოვლენებს დაასწრო, თორემ ბოლოდროინდელი შედეგების გამო კლუბის ხელმძღვანელობა ისედაც დაითხოვდა. ნიოპლიასი ათენელებს გასული წლის ზაფხულიდან წვრთნიდა და მისი ხელმძღვანელობით „პანათინაიკოსმა“ საბერძნეთის ჩემპიონატი და თასი მოიგო. გუნდს დროებით ნიოპლიასის თანაშემწე **იაცეკ გმოხი** ჩაიბარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### სამი თვით ლაზარეთში

„ტოტენჰემის“ ნახევარმცველმა **ტომ ჰადლსტოუნმა** მუხლი სერიოზულად დაიზიანა და მოედანზე გასვლას უახლოესი სამი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. ექიმები მას ოპერაციის გაკეთებას ურჩევენ. მიმდინარე სეზონში 23 წლის ჰადლსტოუნმა 10 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კი ოთხივე შეხვედრაში ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ბარსელონა და ეინდჰოვენი შეთანხმდნენ

იანვრიდან ჰოლანდიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **იბრაჰიმ აფელაი** „ბარსელონაში“ ითამაშებს, ამის შესახებ მედიას თავად ფეხბურთელის აგენტმა განუცხადა. „ბარსელონა“ და „ეინდჰოვენი“ სატრანსფერო თანხაზე უკვე შეთანხმდნენ (რომლის ოდენობაც ჩვენთვის უცნობია) და ახლა დასაზუსტებელი მხოლოდ პირადი კონტრაქტია. *„როგორც კი პერსონალური კონტრაქტის საკითხიც მოგვარდება, ტრანსფერის შესახებ ჩვენი საიტიდან შეიტყობთ“*, - განაცხადა აგენტმა **რობ იანსენმა**, რომელიც „სპორტ პრომოუშენ კონსულტანსის“ წარმომადგენელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

INTERNATIONAL BUDO SPORT FEDERATION OF GEORGIA

სიახლე!!!
პირველად საქართველოში!!!

სპეციალური, უნიკალური სავარჯიშო სისტემის მეშვეობით, დროის მოკლე მონაკვეთში რეალურად აიმაღლებთ როგორც ფიზიკური სხეულის, ასევე, ემოციონალურ-მენტალურ თვისობრივ მახასიათებლებსაც, რითაც, შეუდარებლად უფრო დახვეწილი სხეულის ფორმირებისთვის გარანტირებული ხელშეწყობის გარდა, უპირობოდ დადებითად იმოქმედებთ თქვენი შრომის ნაყოფიერებისა და კომუნიკაბელურობის ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც! იმავდროულად, მრავალსაუკუნოვან ტრადიციათა მქონე ამ სისტემით, ორგანიზმის ქოლესტერინისგან გაწმენდის გარდა, უზრუნველჰყოფთ ცხიმთა წვის გააქტიურებული პროცესის შენარჩუნებას სხეულის თვით მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნი დროსაც კი! გარანტირებული ეფექტის კიდევ უფრო დასაჩქარებლად, თქვენი სურვილის შემთხვევაში, ცალკე გათვალისწინებულია სპეციალური მასაჟის კურსის გავლაც!

მობ: 899 58 48 59








სპორტ-კომპლექსი „ლაგუნა-ვერე“




შეგასწავლით კარატეს უფასოდ!!!
ნებისმიერი თქვენთაგანი ოფიციალურად გაწევრიანდება საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო ფედერაციაში და შესაბამისად, მასზედ გაიცემა ინდივიდუალური საერთაშორისო ბუდო-პასპორტი!
მობ: 899 584859

侍

მოყვარულთათვის!



www.geofight.ge
E-mail: geo.fight@yahoo.com მობ: 899 58 48 59

ფიგურული ციგურაობა

# მეორე ადგილი აის ჩელენჯზე



ელისონ რიდი და ოთარ ჯაფარიძე

**ელისონ რიდისა** და **ოთარ ჯაფარიძის** ქართულმა წყვილმა სეზონში პირველ წარმატებას მიაღწია - ავსტრიის ქალაქ გრაცის ტრადიციულ „აის ჩელენჯ 2010-ში" მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირი 9-14 ნოემბერს გაიმართა. ყინულზე ცეკვებში სულ 13 წყვილი მონაწილეობდა. მოკლე პროგრამაში ჩვენებურებმა 48,11 ქულა მოაგროვეს. ელისონი და ოთარი კვალში ბრიტანელებს **ლუის უოლდენს** და **ოუენ ედვარდს** ჩაუდგნენ, რომელთაც ქულანახევრით ჩამორჩებოდნენ. თავისუფალი პროგრამის შემდეგ ბრიტანელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ლიდერობა და საბოლოოდ 121,52 ქულით მოიგეს ტურნირი. არც ქართველებს ჰქონდათ მეორე ადგილის შენარჩუნების პრობლემა - 119,43 ქულით მათ მესამეზე გასულ გერმანელებს (**ტანია კოლბე, სტეფანო კარუზო**) თითქმის 10 ქულით აჯობეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გედევანიშვილი ფინალური გრან პრის მიღმა

მოკლე პროგრამის ჩაფლავების შემდეგ **ელენე გედევანიშვილმა** ოდნავ უკეთ იასპარეზა თავისუფალ პროგრამაში და „სკეიტ ამერიკა" მე-7 ადგილზე დაასრულა. რა თქმა უნდა, ეს ის შედეგი არ არის, რომელსაც იმიჯშეცვლილი ქართველი მოციგურავისგან ველით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრან პრის სერია ელენემ ჩააგდო. **რობინ ვაგნერთან** ერთად ახალშემუშავებული პროგრამები (ეს განსაკუთრებით მოკლე პროგრამაზე ითქმის) არ გამოადგა.

გრან პრის სერიის 6 ტურნირიდან თითოეულ სპორტსმენს ორ შეჯიბრებაში ეძლევა გამოსვლის უფლება. ამ ორში უნდა მოახერხო და იმდენი ქულა დააგროვო, რომ ფინალურ გრან პრიზე მოხვდე. ამის პატივი ელენეს კარიერაში ჯერ არ ჰქონია. გადაწყვეტილია, რომ გედევანიშვილი ვერც 9-12 დეკემბერს იასპარეზებს პეკინში ფინალურ გრან პრიზე.

ჩვენებურს წილად NHK ტროფი და „სკეიტ ამერიკა" ერგო. სწორედ იაპონიაში შედგა ელენეს ახალი პროგრამების დებიუტი: მოკლეში „ჩიკაგოს" საუნდტრეკი, თავისუფალში - „ოპერის მოჩვენება". ნაგოიაში გედევანიშვილმა ძალიან ცუდად ისრიალა მოკლე პროგრამაში (44,51 ქულა, მე-9 ადგილი) და ძალიან კარგად - თავისუფალში (97,01 ქულა, მე-3 ადგილი). ჯამში იაპონიაში მე-6 ადგილით (141,52 ქულა) დაკმაყოფილდა, 180-ათასიანი საპრიზო ფონდიდან არაფერი ერგო (მხოლოდ პირველი ხუთეული ჯილდოვდება), მაგრამ 5 სარეიტინგო ქულა შეიმატა.

ელენესგან პორტლენდში იაპონური შედეგის გაუმჯობესებას ველოდით, რადგან იქ შედარებით სუსტი შემადგენლობა იყო თავმოყრილი, ვიდრე ნაგოიაში. მაგრამ „სკეიტ ამერიკამაც" გული დაგვწყვიტა: ელენეს მოკლე პროგრამა ისევ უნიათო გამოდგა (45,27 ქულა, მე-8 ადგილი), გუშინწინ კი, გვიან ღამით თავისუფალში გედევანიშვილმა 94,09 ქულა მიიღო (იაპონური შედეგი გაუარესდა) და საბოლოოდ 139,36 ქულით მეშვიდე ადგილს დასჯერდა. შედარებისთვის გეტყვით, რომ ელენეს საუკეთესო მონაგარი ორი პროგრამის ჯამში 164,54 ქულაა. ამ ქულებით იანვარში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, საქართველოსთვის ისტორიული. პორტლენდში გედევანიშვილმა 4 ქულა მიიღო, ჯამში 9 ქულით კი ფინალური გრან პრის მიღმა დარჩა, რადგან უკვე 13 მოციგურავე უსწრებს, არადა, წინ კიდევ ორი ტურნირია, მოსკოვისა და პარიზის.

„სკეიტ ამერიკა" კი 16 წლის იაპონელმა **კანაკო მურაკამიმ** მოიგო, რომელიც მოკლე პროგრამის შემდეგ მეორე იყო. მურაკამის გამარჯვებას ხელი **კაროლინა კოსტნერის** ძალიან ცუდმა სრიალმა შეუწყო, ევროპის სამგზის ჩემპიონმა ლიდერობა ისე უმოწყალოდ გაანიავა, რომ საბოლოოდ ამერიკელმა **რეიჩელ ფლეტმაც** გაასწრო.

**სკეიტ ამერიკა, ქალები**

საბოლოო მდგომარეობა

| | | |
|---|---|---|
| 1. კანაკო მურაკამი | იაპონია | 164,93 |
| 2. რეიჩელ ფლეტი | აშშ | 162,86 |
| 3. კაროლინა კოსტნერი | იტალია | 154,87 |
| 4. ჯოში ჰელგესონი | შვედეთი | 146,90 |
| 5. ამელი ლაკოსტი | კანადა | 146,68 |
| 6. ვიქტორია ჰელგესონი | შვედეთი | 142,26 |
| 7. ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 139,36 |
| 8. მაე მეიტე | საფრანგეთი | 137,05 |
| 9. კაროლინ ჟანგი | აშშ | 132,49 |
| 10. ჯენა მაკკორკელი | ბრიტანეთი | 127,76 |
| 11. მინ-იეონ კვაკი | კორეა | 125,21 |
| 12. ალექს ჯილსი | აშშ | 122,46 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ელენე გედევანიშვილი

დებიუტანტი



## თარაშ კანდელაკი

(მსოფლიოს ჩემპიონ გიორგი კანდელაკის ვაჟი)

(კრივი)

დაიბადა: **1998 წლის 22 ოქტომბერს, გორში**

**ვარჯიშობს** თბილისის გიორგი კანდელაკის სახელობის კლუბ „ჩემპიონში" 2006 წლიდან

**პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი:** მინდია ნოზაძე

**მიღწევები:** უმცროსი ასაკის მოკრივეთა 12 ტურნირიდან 10-ჯერ მოიპოვა გამარჯვება. ამას წინათ, გორში გიორგი კარელიძის მემორიალში დაისაკუთრა პირველობა.

**მიზანი:** ასახელოს მამა და სამშობლო, გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი.

**ჰობი:** ფეხბურთი, კომპიუტერული თამაშები.

**ვასილ ბალახაძე**

**დავით ასპანიძის ფოტო**

ხმამაღალი ფიქრები

# SOS!

## როდემდე უნდა ვიყოთ უპატრონოდ?!

სამწუხაროდ, ქართულ ველოსპორტს ვერც ფედარაციის ახალი პრეზიდენტის მოსვლამ უშველა. პრობლემები კვლავ უამრავია. გულისტკივილს „ლელოს" უზიარებს ველოკლუბ „იბერიას" მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ალბერტ თავაძე**.

– სამწუხაროდ, ყურადღებას აღარავინ გვაქცევს. ეჭვი მაქვს, რომ სპორტის სამინისტროში დადის გავლენიანი ხალხი და თავიანთთვის საინტერესო სპორტის სახეობის განვითარებისთვის ზრუნავს. – გვითხრა ბატონმა ალბერტმა. – კი ბატონო, ვინ არის წინააღმდეგი, რომ განვითარდეს ფეხბურთიც, კალათბურთიც, წყალბურთიც, რაგბიც, ჭიდაობაც და ნებისმიერი სახეობაც, მაგრამ რა დააშავა ველოსპორტმა, რომელსაც ასეთი დიდი ტრადიციები ჰქონდა. ვერავის დავაძალებთ, თუ არ უნდათ, თქვან და დახურონ, მაგრამ რა ვუყოთ მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან პირველ მსოფლიოს ჩემპიონს სპრინტში ომარ ფხაკაძეს, უამრავ მსოფლიო რეკორდსმენს, სსრ კავშირის ჩემპიონებს, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულებს... მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოში პირველი სპორტული ნაგებობა ახლანდელ უზნაძის ქუჩაზე მდებარე ველოტრეკი იყო, რომლის ტრიბუნები მუდამ სავსე იყო გულშემატკივრებით.

ავად თუ კარგად, რალაც ტრეკი აშენდა. შენახვა აღარ უნდა?! უამრავი ფული დაიხარჯა და დამიჯერეთ, სამ წელიწადში ეს ტრეკი აღარ იქნება. უკვე დაიწყო ფიცრებმა გაშავება, ლპობა. რისგან ლპება? მცხუნვარე მზისგან და წვიმისგან. ბიჭები ზედა ვირაჟებზე რომ დადიან, ლარტყები უკვე ხმაურობს, ესე იგი, უკვე გახმა და გამოსაცვლელია. ამიტომ გადახურვაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ახლა სატრეკო შეჯიბრებები ზამთარში გადაიტანეს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროპაში აიგო ორმოცი დახურული ტრეკი — აღარავინ ზის და ელოდება, როდის გადაიღებს წვიმა და როდის გაშრება საფარი. უწინ ზოგჯერ ღამის 2 საათზე ატარებდნენ ხოლმე შეჯიბრებას, როცა წვიმა გადაიღებდა და ტრეკი გაშრებოდა.

**მირონ ბარამია** იყო მსოფლიო ველოსპორტის ფედერაციის კოორდინატორი ტრეკზე და ატლანტის ოლიმპიადის პერიოდში გააფრთხილა ამერიკელები, გადახურეთ თქვენი ტრეკი, თორემ მერე უფრო ძვირი დაგიჯდებათო. ოკეანისგაღმელებმა არ დაიჯერეს და მერე მწარედაც ინანეს. წვიმების დროს შეჯიბრების გადასაღებად მისული ტელეკომპანიები საათობით რომ გაცდნენ, გვარიანი ჯარიმა გადაახდევინეს.

ამის მერე დადგინდა, რომ ყველა დიდი მასშტაბის ტურნირი, ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო თასის ეტაპები და ფინალი ჩატარდება ხის დახურულ ტრეკზე. ზომებიც დაადგინეს. ტრეკი 250 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ყველაზე დიდი დახურული ტრეკი მოსკოვშია, კრილატსკოეზე, 350-მეტრიანია.

არის ევროპაში ნაკლები ზომის ტრეკები, მაგრამ იქ ტარდება მხოლოდ არაოფიციალური და კომერციული ტურნირები.

ოფიციალური შეჯიბრებები ნოემბრიდან მარტამდე უნდა მოესწროს. ევროპის ელიტარული ჩემპიონატი ახლა ტარდება პოლონურ პრუშკოვში, მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი 2-5 დეკემბერს მელბურნში გაიმართება, 15 დეკემბერს კოლუმბიაშია იმავე ტურნირის მეორე ეტაპი, მესამე ეტაპი გაისად იანვარში პეკინში ჩატარდება, ბოლო, მეოთხეს თებერვალში მანჩესტერი უმასპინძლებს. მარტში კი ჰოლანდიაში ელიტარული მსოფლიო ჩემპიონატია.

საქართველოში ეს ერთადერთი ტრეკიღა შემოგვრჩა და მას უნდა მოვუაროთ. გავიგე, თითქოს მფლობელს გადაწყვეტილი აქვს ფედერაციას გადაულოცოს ეს ტრეკი. მაგრამ ფედერაცია რას შეინახავს, ისევ ჯობია, მეპატრონე მერია გახდეს, უფრო მოუვლის.

რაც შეეხება საბურთალოს ტრეკს, იმაზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს, გავერანებული და მომსპარია, ახლა იქ ფეხბურთის მოედანს თუ გააკეთებენ, ტრიბუნები ხომ შენარჩუნებულია. ამის დაკარგვაც ფედერაციის ძველი პრეზიდენტის ბრალია. ვეუბნებოდი, ჩავატაროთ ვარჯიშები, შეჯიბრებები-მეთქი და ტრეკიც შეგვინარჩუნდებოდა. საქმე ისაა, რომ ვინც ის ტრეკი იყიდა, ხელშეკრულებაში ეწერა, პროფილის შენარჩუნება. რომ არავინ მივიდა, არაფერი ჩაატარა და გავერანდა. უზნაძეზე მდებარე ტრეკი კი უკვე გაყიდულია და სანამ ახალი მფლობელი არ გამოგვყრის, რალაცას ვაკეთებთ, ბავშვებს ვავარჯიშებთ, დაოსტატებულ სპორტსმენს იქ ვერ გაიყვან.

ამას წინათ, **როდიკო მეიშვილი** და **დათო ასკურავა** სანკტ-პეტერბურგში რომ იყვნენ, ევროპის ასაკოვან ჩემპიონატზე, შეკრებილან ძველი ნაცნობები. ცნობილმა უცხოელმა მწვრთნელებმა საქართველო მოინატრეს, წლის ნებისმიერ დროს ყველაზე კარგად ვარჯიში თქვენთან შეიძლებაო, ოღონდ გზატკეცილზე. ტრეკზე მომზადების პარალელურად გზატკეცილზეც ხომ უნდა იარო, უმაგისოდ არ გამოვა. ჰოდა, ტრეკი თუ გადაიხურა, დილით გზატკეცილზე ივარჯიშებ, საღამოს – ტრეკზე. ზამთარში ღია ტრეკზე ვერ ივარჯიშებ, თუ თბილად ჩაიცვი და ჩაიფუთნე, ველოსიპედზე ვერ დაჯდები. მეორე უბედურება ის არის, რომ ახალი ტრეკი ისეთ ადგილზე ააშენეს, სადაც სულ ქარია. რამდენჯერმე დავაპირეთ ვარჯიში, მაგრამ ისეთი ქარი იყო, გამოვბრუნდით და ისევ გზატკეცილზე გავედით. იქ ვარჯიშს სხვა ფუნქცია აქვს, ტრეკზე – სულ სხვა. ასე რომ, რამდენჯერმე დაგვერღვა მზადების რიტმი, რამაც, ბუნებრივია, ერთგვარი ჩამორჩენა გამოიწვია.

მილანის 396-მეტრიანი ტრეკი აშენებულია 1896 წელს, ისეთივე ხისგან, როგორიც საბურთალოს ტრეკზე იყო, და ის ტრეკი დღესაც მოქმედებს, იმიტომ, რომ დამცავი საფარი ჰქონდა გაკეთებული.

ამიტომ ახლავე უნდა მიეხედოს ჩვენს ტრეკს, თორემ სულ ისე დავრჩებით. არადა, საქართველო ყოველთვის იყო ტრეკის ქვეყანა, სპრინტერული დისტანციები ჩვენთვის არის ზედგამოჭრილი.

დავით ასკურავა დღეისთვის საქართველოში ლიდერია სატრეკო ველორბოლაში. რადგან ტრეკზე მუშაობის საშუალება არა გვაქვს, ვარჯიშების 300 პროცენტი გზატკეცილზე მოდის, მით უმეტეს, ზამთრის პერიოდში. არც იმას ფიქრობს ვინმე, რითი დადის ასკურავა ამ გზატკეცილზე – ან ტრანსპორტი არ გინდა, ან ბენზინი?! ვისი ჯიბიდან მიდის ეს ფული?! ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად რომ იბრძვის სპორტსმენი, იმას განსაკუთრებული კვება, მედიკამენტები, რეჟიმი არ სჭირდება?!

ხელმძღვანელობა მხოლოდ იმას გვეკითხება, მედალი იქნებაო? კი, მაგრამ რომელ მედალზე ლაპარაკობ, როცა ერთი თეთრი არაფერში დაგიხარჯავს. მედალს პირობები უნდა – ინვენტარი, შეკრებები, შეჯიბრებებზე სიარული უნდა, ჰაერიდან არ მოდის მედალი. ათასობით ტურნირი ტარდება, ჩვენ მხოლოდ რამდენიმეში მონაწილეობას თუ ვითხოვთ. მაგის ფული სადა გვაქვსო, გაიძახიან. მედალი კი, იცოცხლე, უნდათ. ორი-სამი შეჯიბრება არ ჰყოფნის სპორტსმენს. უზარმაზარი კონკურენციაა.

ომარ ფხაკაძე ტალანტი იყო, სულ საკავშირო შეკრებებზე დადიოდა, მაგრამ რადგან მუდმივად არ ჰყავდა საბჭოთა კავშირში კონკურენტი, მხოლოდ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

მთელი ჩვენი სპორტსმენები ზამთრობით ბორჯომ-ბაკურიანში დადიან შეკრებებზე. სამი წელიწადია დათო უმაღლეს დონეზე გამოდის და ერთი შეკრებაც არ ახსოვს?!

ახლა, მაგალითად, 10 დღითაც რომ ჩავიდეს ბაკურიანში საერთო ფიზიკური მომზადებისთვის, მთელი წელიწადი ეყოფა, იმდენად სასარგებლო და სპეციფიკური ჰაერია იქ. როგორც ვხედავ, ჩვენს ფედერაციას ამის საშუალება არა აქვს. მაშინ, რატომ ვითხოვთ სპორტსმენისგან ან მედალს ან ოლიმპიადის საგზურს?!

სამედიცინო მომსახურება ხომ ნულზეა. სპორტსმენების ექიმი ვიცით, რომ **ზურაბ კახაბრიშვილია.** ოლიმპიური კომიტეტიდან კი პასუხი მივიღეთ, ექიმი არა გვყავს, კახაბრიშვილი მოჭიდავეებთან არის მიმაგრებულიო. რალაც სამედიცინო ცენტრი ხომ უნდა გვქონდეს, რომ წელიწადში ორჯერ საფუძვლიანად გამოიკვლიონ სპორტსმენები? მახსოვს, **კარლო შენგელია** რომ ნაკრებს ამზადებდა თბილისში, ექიმების კომპლექსური ბრიგადა ჰყავდა მოყვანილი საბურთალოს ტრეკზე. გამოცდილებით, ჩემი ინტუიციით ვავარჯიშებ სპორტსმენებს, მაგრამ რომელი ექიმი მე ვარ, რალაც შეცდომა რომ მომივიდეს, მერე რა ვქნა?!.

აი, ახლა, ევროპის ჩემპიონატზე იყო დათო, არ იკითხავთ, რა ველოსიპედით? სამი-ოთხი წლის წინათ ბაბუამისის შეძენილით, რომელიც, უკვე რამდენი ხანია ამორტიზებულია. ახლა ბაბუამ ჩაფხუტი შეუძინა - 450 ევრო გადაიხადა! უცხოეთიდან მიღებული ველოსიპედი კი, საქართველოს ჩემპიონატი რომ დამთავრდა, ფედერაციამ მაშინ გადასცა, ისიც სულ დაშლილი! თანაც ჩვენი დისციპლინებისთვის კი არა, გამოდევნებითი რბოლისთვის განკუთვნილი. რომელი თავმოყვარე ფირმა გამოგზავნის დაშლილ ველოსიპედს?! ესე იგი, აქ დაშალეს, და უნდა ვიფიქროთ, რომ რალაც ნაწილები შეცვალეს კიდეც. აბა, სხვა რატომ უნდა დაეშალათ?! ან კიდევ, რაღა შეჯიბრების შემდეგ გამოაჩინეს. მოდი და ნუ იტყვი, რატომ?...

ჩაიწერა

**დავით ჭელიძემ**

● ველოსპორტი

# ველიკი მხოლოდ სტალინი იყოო...



ველიკი ჯონჯოლიანი (მარჯვნივ) და ოთარ დადუნაშვილი

**დრო ულმობელი რამაა. თითებზე ჩამოსათვლელნილა დაგვრჩნენ ჩვენი ლამაზი სპორტული წარსულის მშენებელნი, ჩვენი დიდებული სპორტსმენები, ისინი, ვინც ამ საქმის პიონერები იყვნენ, ვის მხრებზეც გადავიდა სამამულო სპორტის გარიჟრაჟზე არსებული პრობლემები, პირველი ხნულის გავლების სირთულეები.**

**დღეს „ლელოს" სტუმარია 84 წლის ველოსიპედისტი ველიკი ჯონჯოლიანი, რომელიც ასე ემადლიერება თავის მეგობრებსა და ყოფილ მონაფეებს, ვინც სიცოცხლეს უხანგრძლივებს მოხუც ადამიანს. თუმცა მისი რჩევებიც კარგად მახსოვს და მის მიერ გამოთქმული ბრძნული მოსაზრებებიც. ის არც ერთ შეკრებასა თუ თათბირს არ აკლდება, რომელიც პერიოდულად ქართული ველოსპორტის სატკივარის გამო ინიშნება ხოლმე.**

– სოხუმში დავიბადე. მამაჩემი მთიდან, სვანეთიდან ჩამოსული კაცი იყო სოხუმში, დედა კი მეგრელი გახლდათ. მერე აბაშაში, საგვაზაოში გადავედით საცხოვრებლად (დედა გვაზავას ქალი იყო) და იქ დავამთავრე შვიდწლედი.

სოფელში ქართულსაც ვჭიდაობდი, ბოქსიორიც ვიყავი და მძლეოსანიც. სოხუმში წამიყვანეს დასავლეთ საქართველოს პირველობაზე მძლეოსნობაში და მოვიგე, რის შემდეგაც თბილისში გამომაგზავნეს, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. მაშინ ვაკის სტუდქალაქი იყო ქალაქში ბოლო შენობა. იქიდან ავიღეთ სტარტი, ახლანდელ „მიხეილ მესხის" სტადიონამდე უნდა გვერბინა და უკან. სტუდქალაქში დაჭრილი ნაფრონტალი ხალხი ცხოვრობდა და არ დამავიწყდება, ყველა, როგორც ერთი, დაირაზმა და ამ შეჯიბრების საყურებლად გამოეფინა ქუჩაში.

სტარტზე უფეხსაცმელოდ დავდექი, ფეხშველა, კედები სად მქონდა. გახურებულმა ასფალტმა ფეხის გულები დამწვა. ეს იყო ჩემი პირველი შეჯიბრება...

**– ქართულს კარგად ჭიდაობდით?**

– არა უშავს. ჩვენთან ნესტორ ესებუა ღია მინდორში მართავდა საჭიდაო საღამოებს. ბავშვები ხეებზე ავცოცდებოდით ხოლმე და იქიდან ვუყურებდით ამ დევგმირის ჭიდაობას. დიდი ვაჟკაცი, ღონიერი კაცი იყო. მრავალი ფანდი იცოდა. მისი მიმბაძველობით ვჭიდაობდით ხოლმე...

1945 წელს ჩამოვედი თბილისში და ფიზკულტურის ტექნიკუმში მოვეწყვე. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე.

ტექნიკუმში სწავლის პერიოდში, 1947 წელს მოსკოვში, ფიზკულტურელთა საკავშირო პარადში მივიღე მონაწილეობა. ყოფილ ლენინის დარბაზში მოგვაწყვეს ბიჭები და სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ალიოშა ფარულავამ რამდენიმე ბიჭთან ერთად მეც დამადო ხელი და ასე აღმოვჩნდი მოსკოვში. ეს იყო ჩემი პირველი ჩასვლა მოსკოვში. არ დამავიწყდება, სტალინმა ახლოს რომ ჩამიარა. მაშინ სტალინის ნახვა ღმერთის გამოცხადების ტოლფასი იყო.

ასეა თუ ისე, პირველი თანრიგი ისე არ მომცეს, სანამ მშთ კომპლექსის ნორმატივები არ ჩავაბარე. ახლა ბევრს გაუკვირდება, რა არის ეს მშთ. ეს ნიშნავს, „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისთვის". კომპლექსში ხუთი სავალდებულო და ერთი ამორჩევითი სპორტის სახეობა შედიოდა. მეექვსეში, ამორჩევითში იყო თხილამურობა და ველოსპორტი. აბა, აბაშაში თხილამურები სად მექნებოდა ნანახი, ველოსიპედზე კი მთელი სამტრედია და აბაშა იყო შემომჯდარი და მეც ველოსპორტი ავირჩიე. მშთ-ს ყველა სახეობა რომ ჩავაბარე (მძლეოსნობა, კრივი, ცურვა და ასე შემდეგ), რადგან ველო ავირჩიე, მაშინდელი კამოს ქუჩის ტრეკზე გამიშვეს. მაშინ ტრეკი პირველად ვნახე, მაგრამ ველოსიპედს ხომ ვიცნობდი და ამიტომ ესეც ჩავაბარე და ასე მომანიჭეს პირველი თანრიგი. ეტყობა, ტრეკზე მოვეწონე და შემიჩნდნენ, გინდა თუ არა, ჩვენთან დარჩი და მოსკოვშიც წაგიყვანთ და ქვეყანასაც მოგატარებთო.

მართლაც დავრჩი. ჩემი მწვრთნელი იყო არკადი ხაბურზანია. 1949 წელს ჩავირიცხე ფიზკულტურის ინსტიტუტში. იმავე წელს წამიყვანეს მოსკოვში, ოღონდ უველოსიპედოდ, იქ, შეჯიბრების წინა ღამეს მომიტანეს ტაოტიანი ველოსიპედი. მთელი ღამე იმ ტაოტს ვაცლიდი, მეორე დილას კი უძინარი გავედი შეჯიბრებაზე და ვერაფერიც ვერ გავაკეთე.

მაგრამ თბილისში დაბრუნებისთანავე ხან ერთი შეჯიბრება მოვიგე, ხან მეორე, ტულაში, სსრ კავშირის ბევრ ქალაქში მოვიგე სხვადასხვა ტურნირი სპრინტში. საბოლოოდ, სამჯერ დავამყარე საბჭოთა კავშირის რეკორდი, საკავშირო პროფკავშირების მრავალგზის რეკორდსმენი ვარ, შევდიოდი საბჭოთა კავშირის ხუთეულში. სპორტის ოსტატობის ნორმატივიც შევასრულე, მერე ოსტატიც გავხდი.

სპორტს ადრე მივანებე თავი, მცირე ტრავმის შემდეგ. ვიყავი მაშინდელი ტონო-ს, შემდეგ „ბურევესტნიკის" უფროსი მწვრთნელი, სადაც ჩვენი ლეგენდარული ფეხბურთელი ბორია პაიჭაძე იყო თავმჯდომარე. 70-იანი წლების ბოლოს კი სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი ვიყავი ველოსპორტში, ბევრი ოსტატი გავზარდე, ძირითადად ქალთა გუნდს ვხელმძღვანელობდი, როგორც უნივერსიტეტისას, ისე ქვეყნის ნაკრებს.

**– ამდენ ქალთან გქონდათ საქმე და ასე ბერბიჭად როგორ დარჩით?**

– სად იყო მაშინ პირობები. ეს ბინა მივიღე, როცა სპორტიდან პროფკავშირებში წავედი სამუშაოდ, ოცი წელიწადი №13 ტრესტის მშენებელთა პროფკავშირების თავმჯდომარე ვიყავი. მართალი გითხრათ, პროფკავშირებში ბინის გამო გადავედი, სპორტიდან ბინას ვერ ვეღირსე.

**– ცხოვრებას ემდურით?**

– არავითარ შემთხვევაში, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი წარსულით, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მარტო მოვდივარ. მამაჩემი პურის მცხობელი კაცი იყო, კარგი სპეციალისტი, მაგრამ ხაბაზს რა შეეძლო... კარგი ცხოვრება არ მქონდა, რაღაცას ვახერხებდი, თუ არ დაიზარებდი, ყველა ხელს გიწყობდა.

დასაწყისში ბავშვების ერთ ჯგუფს ვავარჯიშებდი, პირველი ხელფასი იქ მივიღე – 24 მანეთი.

**– აბაშიდან ყველანი წამოხვედით თბილისში?**

– არა, ყველა იქ დარჩა, მე ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი კონსტიტუციის ქუჩაზე. მაშინ იქ იყო ტექნიკუმი და იქვე ვცხოვრობდი. ვარჯიში რომ დავიწყე, მესამე წელს დავამყარე ორი საკავშირო რეკორდი, რისთვისაც საკავშირო სპორტკომიტეტმა სამი ათასი მანეთი გადმომცა, რამაც წელში გამმართა. იმ დროს ეს დიდი ფული იყო. ბინაც ვიქირავე, ტანზეც ჩავიცვი, საჭმელიც გამიჩნდა.

**– ცხოვრებაში არაერთი კურიოზი შეგხვდებოდათ...**

– არც იმდენი, რეჟიმის დარღვევა არ მიყვარდა, სულ ფორმაში ვიყავი. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთახიდან არ გავდიოდი. თუმცა, კურიოზია, აბა რა – საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს ვავარჯიშებდი, გაგრაში გვქონდა შეკრება. ვარჯიშის დროს, ფსოუს ხიდზე მოტოციკლეტით ბოძს შევეჯახე და ფეხი მოვიტეხე, არადა, კიევში, შეჯიბრებაზე წასვლამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი. ვის უნდა შევეცვალე და გუნდს ყავარჯნებიანი გავყევი.

**– სახელი ვინ შეგირჩიათ?**

– ოო, ეს საინტერესო ისტორიაა, სოხუმში მაშინ საავადმყოფოები სად იყო ან იმის თავი ვის ჰქონდა. სახლში დავიბადე, ეზოში ერთმა სომეხმა ბებიაქალმა დაიძახა, ველიკი გაჩნდაო და თვითონვე ეს სახელი ჩააწერინა მმაჩ-ბიუროში, დედმამამ წერა-კითხვა არ იცოდა და დამრჩა ეს სახელი. თუმცა შინ, მეზობლები ოთარს მეძახდნენ. სკოლაში კი, მეტრიკა რომ მომთხოვეს, ველიკი ჩამიწერეს...

პროფკავშირებში რომ გადავედი, პარტიულობა მომთხოვეს და პარტიაში მისაღებად მამზადებდნენ. საბურთალოს პარტრაიკომის მეორე მდივანი ქალი იყო და თავი მოიკლა, გინდა თუ არა, შეიცვალე სახელი, ველიკი მხოლოდ სტალინი იყოო. მაინც მიმიღეს...

**დავით ჭელიძე**

● ძიუდო

# ტურაშვილმა მარბელაში იმარჯვა

იმ დროს, როცა ქართველი ძიუდოისტები შინაური ჩემპიონატისთვის ემზადებიან, **დიმიტრი ტურაშვილმა** ესპანეთში ევროპის თასზე იმარჯვა. ტურაშვილი ერთი იმათგანია, 2005 წელს ეგრეთ წოდებული მოჭიდავეების გამოსვლებისას რომ დააპატიმრეს, მაგრამ აქტიური სპორტი სასჯელის მოხდის შემდეგაც არ მიუტოვებია. აქამდე მის კარიერაში ყველაზე წონადი მედალი 2003 წელს თბილისის მსოფლიოს თასზე მოპოვებული ვერცხლი იყო. მაშინ ის 100 კილოგრამში გამოდიოდა და ფინალამდე იაპონელი **არატა კოჯიმა** მართლაც ჩინებულად დაამარცხა, მაგრამ ფინალში ევროპის ჩემპიონთან, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორთან, ებრაელ **არიელ ზეევთან** ვერაფერს გახდა.

ამჯერად ტურაშვილი ესპანეთის ზღვისპირა კურორტ მარბელაში ჩატარებულ ტურნირზე მძიმე წონაში გამოვიდა. მსგავსი რანგის შეჯიბრებები სიძლიერით ბევრად ჩამოუვარდება მსოფლიოს თასებს და ისინი უფრო სათადარიგო მონაწილეთა გამოსაცდელადაა განკუთვნილი, ან ისეთი ფალავნებისთვის, ვისაც სატურნირო პრაქტიკა აკლია. მაინცდამაინც ძლიერი არც მარბელური შეჯიბრება ყოფილა – ქალ-ვაჟიანად 140 მონაწილე გამოდიოდა 10 ქვეყნიდან, ამათგან კი 115 ესპანელი იყო. მასპინძელთა შემდეგ ყველაზე „დიდი" გუნდები პორტუგალიას (8) და დიდ ბრიტანეთს (6) ჰყავდათ.

მარბელაში ჩვენგან მხოლოდ ტურაშვილი მონაწილეობდა და ისიც საკუთარი ხარჯით წავიდა. მან წინასწარ ეტაპზე მასპინძელი **ხესუს პორას დიგუესი** პირწმინდად დაჩაგრა - ჯერ ვაზარი აართვა, დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე კი იპონზე დააგდო. ნახევარფინალშიც მასპინძელი **ანხელ პარა** დაამარცხა - და ისიც იპონით, ფინალში კი მორიგი წმინდა გამარჯვება ისლანდიელ **ტორმოდურ იონსონთან** მიითვალა. ამ



დიმიტრი ტურაშვილი

შეხვედრაში ჩვენებური იუკოს იგებდა, მაგრამ მეტოქე გაფრთხილებებით მოახსნევინა. ვიმეორებთ, რომ ტურნირი არც ისე ძლიერი გამოდგა, მაგრამ ეს არ არის ტურაშვილის პრობლემა - მან თავისი შანსი მშვენივრად გამოიყენა. თან, არც ურიგო მოჭიდავეებს მოუგო - პარა ამ წონაში ესპანეთის ნაკრების ლიდერია, ისლანდიელს კი რამდენჯერმე ჩვენი მძიმეწონოსნებიც გაუმწარებია.

**ირაკლი თავაძე**

● სუმოს სამყარო

# სამი ქართული გამარჯვება

## დიდი ჩემპიონი 63-ზე გააჩერეს

ქართველი სუმოისტები ასე იოლად არ ნებდებიან - პირველი უილბლო დღის შემდეგ ჩვენმა სამეულმა იმარჯვა, თუმცა ჯერ მთავარზე ვთქვათ - გუშინ ბოლო მოეღო დიდი ჩემპიონის მოგებათა სერიას! ზედიზედ 63 ორთაბრძოლის მოგების შემდეგ **ჰაკუჰო** იაპონელთა „იშვიათმა ტალანტმა" **კისენოსატომ** დააგდო, რომელიც კიუშუს ბაშოზე პირველი მაეგაშირას სტატუსით ასპარეზობს. ლეგენდარული იოკოძუნას, **ფუტაბაიამას** ფანტასტიკური რეკორდი (ზედიზედ 69 მოგება) ხელუხლებელი დარჩა...

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომუსუბის რანგში მოჭიდავე **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** გამარჯვება მონღოლ ჩემპიონ **ჰარუმაფუჯისთან.** სუმოს გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, რომ სანამ ჰარუმაფუჯი ოძეკი გახდებოდა, **ამას** სახელით ასპარეზობდა. ტოჩინოშინისა და მონღოლი ოძეკის მეშვიდე დაპირისპირება მეოთხედ დასრულდა ქართველის სასარგებლოდ. ტოჩინოშინმა მეტოქე სუკუინაგეს ილეთით დააგდო. ლევანი, რომელიც კარიერაში მეორედ გამოდის კომუსუბის რანგში, დღეს კიდევ ერთ ჩემპიონს, **კაიოს** დაუპირისპირდება. ტოჩინოშინი დამსახურებულ ვეტერანს პირველად შარშან შეხვდა დოჰიოზე და იორიკირით დამარცხდა. წლეულს კი ხუთივე ბაშოზე მოუწია მასთან შერკინებამ და ორჯერ მოუგო კიდეც. ასე რომ, ქართველი უშანსოდ სულაც არ არის.

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ოშიდაში გაიხსენა, — მძლავრი რიტმული მიწოლა, რომელიც მის არსენალში ერთ-ერთი მთავარი იარაღია და ღონის წყალობით აჯობა მე-7 მაეგაშირა **კოტოკასუგას**. 29 წლის ქართველი 2004 წლის იანვრის ბაშოდან უმაღლეს დივიზიონშია და მას მერე ერთხელაც არ გავარდნილა. ამ ხნის განმავლობაში 296 ორთაბრძოლა მოიგო, ოთხი გამარჯვებაც და კოკაი „300-იანთა კლუბში" შევა. „შავი ზღვა" დღეს დასავლეთის მე-7 მაეგაშირა **კიმურაიამას** (1-1) გამოცდის. ეს მათი მეათე დაპირისპირებაა, კოკაი 5:4-ს იგებს.

ოშიდაშით მოიგო **თეიმურაზ ჯუღელმაც (გაგამარუ)**. ელიტის უმძიმესმა სუმოისტმა ერთი ამოსუნთქვით გაწდევნა დოჰიოს რკალიდან მე-10 მაეგაშირა **ტოსაიუტაკა**. დღეს გაგამარუ **შიმოტორის** (1-1) ძლევას შეეცდება.

**კიუშუს ბაშო. 14-28 ნოემბერი. ფუკუოკა (იაპონია)**

II დღე (სულ 8 ილეთი).

**იორიკირი (7):** კისენოსატო-ჰაკუჰო, კაკურიუ-ასასეკირიუ, ტოკუსეგავა-ვაკანოსატო, კიოკუტენჰო-ტამავაში, სოკოკურაი-ტაკამისაკარი, გოეიდო-კორიუ, ოკინოუმი-კასუგაო.

**ოშიდაში (7):** ამინიშიკი-კოტოოშუ, ჰომაშო-ტოჩიოძანი, **კოკაი**-კოტოკასუგა, კიმურაიამა-შიმოტორი, **გაგამარუ**-ტოსაიუტაკა, ტოჩინონადა-მიაბიამა, შოტენრო-შირონორიუ.

**ჰიკიოტოში (2):** კიტატაიკი-ტაკეკაძე, ტოიონოშიმა-მოკონამი.

**ჰარიმანაგე (1):** ბარუტო-არანი.

**სუკუინაგე (1):** ტოჩინოშინი-ჰარუმაფუჯი.

**ცუკიოტოში (1):** კაიო-კოტოშოგიკუ.

**იორიტაოში (1):** იოშიკაძე-ჰაკუბა.

**ჰატაკიკომი (1):** ტოკიტენკუ-ბუშუიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● კალათბურთი. ლეგიონერები

# აქეთ მარკოიშვილი, იქით ლავრინოვიჩი

## სანიკიძე კოჭმა შეაფერხა

იტალიის სერია A-ში ზედიზედ მეოთხე გამარჯვებასთან ახლოს იყო **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ"...

*- ბოლომდე ვიბრძოლეთ, თითოეულმა კალათბურთელმა ბევრი იშრომა და „მონტეპასკის" დიდი სხვაობით დაწინაურების უფლება არ მივეცით. თუმცა ბოლო წამებზე მეტოქემ ჩვენზე უკეთ ისროლა და გამარჯვებაც ხელიდან გამოგვგლიჯა. „მონტეპასკის" დონის გუნდთან ასეთი კარგი თამაშის შემდეგ უფლება არ მაქვს, ჩემი შეგირდებით უკმაყოფილო ვიყო,* - განაცხადა „კანტუს" თავკაცმა **ანდრეა ტრინჩიერიმ**.



მატჩის იტალიურ მიმოხილვებში ორი კალათბურთელია გამორჩეული - სიენელთა მხრიდან საუკეთესო **ლავრინოვიჩი** (24 ქულა) იყო, „კანტუს" მხრიდან - მარკოიშვილი. მანუმ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მოედანზე შესვლისთანავე სამქულიანს ორიანი მიაყოლა და 4-ქულიანი დეფიციტი +1-ად აქცია - 17:16. მან შეხვედრის ბოლო წუთზეც მოიპოვა საჯარიმოების ტყორცნის უფლება, მაგრამ მისი გუნდი უკვე 4 ქულის სხვაობით აგებდა და მას მერე თამაშის შემოტრიალება ველარ მოახერხა. მანუმ 6-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 17 ქულა „კანტუს" სნაიპერობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მან რამდენიმე შეტევა იმდენად ეფექტურად დააგვირგვინა, რომ შეხვედრის საუკეთესო ეპიზოდებს შორის მისი ოთხი იერიში მოხვდა.

ქართველმა უკანახაზელმა „მონტეპასკის" თავკაც **სიმონე პიანიჯანის** კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ მაღალი კლასის კალათბურთელია. სხვათა შორის, ზაფხულში პიანიჯანი მანუს კონტრაქტზე ესაუბრა, თუმცა უთხრა, ახლა სხვა ვარიანტზე ვმუშაობ და რომ დავასრულებ, ხელშეკრულება მერე გავაფორმოთო. მანუჩარმა ლოდინს „კანტუში" დარჩენა ამჯობინა. ვფიქრობთ, არც შემცდარა, რადგან ბოლო ტურშიც გამოჩნდა, რომ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ქართველი კი - ამ კლუბის ლიდერი..

■ ■ ■

„კასერტასთან" სტუმრად გასამართი მატჩის წინ **ვიქტორ სანიკიძემ** გვითხრა:

*- ამ შეხვედრისთვის გუნდი აქტიურად ემზადება, მე ვერ ვვარჯიშობ, რადგან ფეხი მაწუხებს. არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა „კასერტას" წინააღმდეგ.*

მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** ვიქტორი მატჩის განაცხადში მაინც შეიყვანა და მოედანზე პირველი პერიოდის ბოლოს შეუშვა. 6 წუთში ქართველის ანგარიშზე 1 მოხსნა იყო. მეორე ტაიმში მას აღარ უთამაშია, რასაც ორი მიზეზი უნდა ჰქონოდა: პირველი - კოჭის ტრავმა, რომლის გამიზეზებასაც მწვრთნელი მოერიდა და მეორე - მატჩის მსვლელობა. ვირტუსელებმა შეხვედრა თავიდან ბოლომდე დამაჯერებლად ჩაატარეს და მწვრთნელს ვიქტორის საქმეში ჩართვა აღარ დასჭირვებია. ვფიქრობთ, მეოთხე პერიოდში ბოლონიელებს რომ გასჭირვებოდათ, სანიკიძე თამაშში ჩაერთვებოდა. „ვირტუსმა" 71:63 მოიგო.

ბოლონიელებს სერია A-ში ხუთიდან ოთხი მატჩი აქვთ მოგებული და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მილანის „არმანის" (5 გამარჯვება) ჩამორჩებიან. 3 მოგებით და 2 წაგებით მე-7 ადგილზეა „კანტუ". დღეს მანუჩარის თანაგუნდელები ევროთასის პირველ მატჩში ბერძნულ „პანელინიოსს" მიიღებენ.

■ ■ ■

იტალიის მეორე ლიგაში მოულოდნელად წააგო ლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა „კრაბსმა". რიმინიში **ნიკა მეტრეველის** თანაგუნდელებმა „უმანას" უმასპინძლეს და ბოლო წამებზე 64:67 დამარცხდნენ.

ნიკას 10 წუთში კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია. მის ანგარიშზე 2 მოხსნა და 1 ჩაჭრაა.

ამ წაგების შემდეგ „კრაბსი" მეორიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა - 5 მოგება და 2 წაგება აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# თორნიკე შენგელია: უნდა მოგვეგო!

**თორნიკე შენგელიას „პეპინსტერმა" ბელგიის ჩემპიონატში მეექვსე მატჩი ჩაატარა და მეოთხედ დამარცხდა. პეპინსტერელები „გენტს" გამარჯვების იმედით ესტუმრნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე 67:77 დამარცხდნენ. თორნიკემ 10 წუთში 5 ქულა ჩააგდო, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მას მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ...**

- მწვრთნელმა მოედანზე პირველი პერიოდის შემდეგ შემიშვა. მეორე ათწუთეულში 4 წუთი ვითამაშე, დანარჩენი - მეორე ტაიმში.

**- გენტელებს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავთ?**

- არა, მოსაგები თამაში იყო, იმ დონის მეტოქე არ არის, სტუმრად ვერ გვემარჯვა, მაგრამ არ გამოგვივიდა. გენტში იმედიანად ჩავედით, რადგან მანამდე ამ გუნდისთვის მათ ჰქონდათ მოგებული, ვისაც ჩვენ ვაჯობეთ - „ანტვერპენსა" და „ლიეჟს".

**- მწვრთნელი რა ამპლუაში გათამაშებს?**

- მეოთხე და მესამე ნომრების პოზიციებზე — მძიმე და მსუბუქ ფორვარდად.

**- ბელგიის ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- ძლიერი პირველობაა. ყველა კლუბში 5-6 ამერიკელია, თანაც მაღალი დონისანი. ფიზიკურადაც ძლიერები არიან და ტექნიკურადაც.

**- ფიზიკურად შენც კარგად ხარ მომზადებული...**

- მთელი გუნდი ბევრს ვარჯიშობს და ნელ-ნელა ვუმატებთ. თამაშს კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ. ეს სატურნირო ცხრილზეც აისახება.

**- შემდეგ ტურში „ლუვიენს" ეთამაშებით.**

- საშინაო შეხვედრაა და ვეცდებით, გულშემატკივარი არ გავაწბილოთ. საინტერესო თამაში იქნება და იმედი მაქვს, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# გიორგი შერმადინი: ვემზადებით ვალენსიისთვის

ადრიატიკის თასზე ბოსნიური „შიროკის" ძლევის (107:70) შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა სლოვენიური „ოლიმპია". **გიორგი შერმადინის** გუნდს 5 მოგება და 2 წაგება აქვს.



ბოსნიელებთან 216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 13 წუთში 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 10 ქულას 2 დაფარება და თითო ჩაჭრა-პასი მიამატა.

*- „შიროკი" ლიგის ფავორიტი ნამდვილად არ არის. ასეთ გუნდთან კი საშინაო მატჩის მოგება არ უნდა გაგვჭირვებოდა. ასეც მოხდა, დიდი სხვაობით გავიმარჯვეთ. ჩემს თამაშზე კი რა უნდა ვთქვა, რითაც შემეძლო, გუნდს იმით დავეხმარე.*

ბოსნიელებთან მატჩი ერთგვარი მოთელვა იყო ევროლიგაზე მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ: ოთხშაბათს „ოლიმპია" ესპანურ „ვალენსიას" მიიღებს.

*- ვალენსიელების ძლევის შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის საკითხს ფაქტობრივად დადებითად გადავწყვეტთ. ამიტომ მეტად მობილიზებულები ვართ და ვფიქრობ, გავიმარჯვებთ კიდეც. ამის იმედს ის თამაში მაძლევს, რაც ევროლიგის საწყის სამ ტურში ვუჩვენეთ.*

გასულ ოთხშაბათს „ოლიმპია" მოსკოვს სტუმრობდა და პირველ პერიოდში იმდენად ჩამორჩა, რომ მატჩის ბოლომდე დაწევა ველარ მოახერხა. იმ მატჩში გიორგიმ 5 წუთი ითამაშა...

*- საწყის 10 წუთში 5 ქულა ჩავაგდეთ, საიდანაც 2 ჩემს ანგარიშზე იყო. სულ 5 წუთი ვითამაშე, ცოტა მეტი დრო რომ მქონოდა, გუნდს მეტ სარგებელს მოვუტანდი. თუმცა, იმ დღეს ცსკა-სთან ძალიან გაგვიჭირდა.*

გიორგის **ვლადიმერ ბოისას** ამბავიც ვკითხეთ. მოგეხსენებათ, ვოვა მუხლის ტრავმას მკურნალობს.

*- ბოისა რეაბილიტაციის პროცესს გადის. იგი სავარაუდოდ იანვრის დასაწყისში შემოგვიერთდება და სერიოზულადაც გაგვაძლიერებს,* - დასძინა გიორგი შერმადინმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ჩოგბურთი

# ბასილაშვილი კვლავ ტაილანდშია

გუშინ გამოქვეყნებულ ვაჟთა რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 30 ქულით 636-ე (-5) პოზიციაზეა, ხოლო **ლადო ჩიძლაძე** 11 ქულით 849-ეა (-4). ნიკამ წლის განმავლობაში 17 სარეიტინგო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, ლადომ კი - მხოლოდ სამში. აი, სულ ეს არის ჩვენი ვაჟთა ჩოგბურთი...



ორი კვირაა, ნიკოლოზ ბასილაშვილი შორეულ ტაილანდშია, სადაც 10-ათასიან ტურნირებში გამოდის. ნონტაბუნიში მე-6 ნომრად განთესილი ქართველი საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ ზელანდიელ **მეტ სიმპსონს** (1634) ეთამაშება. წყვილთა ბადეში ნიკა ესტონელ **დანილ პროსკურასთან** ერთად ასპარეზობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ნაკრები


ესპანეთი-კანადა 22:60

# ახალი მეთაურების ახალი წესები

საქართველოს ნაკრებმა კანადის ეროვნულ გუნდთან მატჩისთვის მზადება დაიწყო. მწვრთნელთა ახალი შტაბის ხელმძღვანელობით „ბორჯღალოსნებმა" პირველი ვარჯიში გამართეს. ჩვენი ნაკრები, რომელიც „ქორთიარდ მერიოტში" დაბანაკდა, ვარჯიშებს დიდ დილომში, „ვისოლის" სარაგბო სტადიონზე ატარებს.

ახალმა მწვრთნელებმა ახლებურად დაიწყეს მუშაობა. მათი გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრები მხოლოდ ორ ღია ვარჯიშს გამართავს, რომლებზეც მხოლოდ ჟურნალისტებს შეეძლებათ დასწრება. სხვა დღეებში წვრთნა დახურული იქნება და გუნდთან კონტაქტი მხოლოდ თამაშის წინადღეს გამართული პრესკონფერენციისას მოხერხდება. წინა წლებისგან განსხვავებით, გვპირდებიან, რომ სამატჩო განაცხადი, როგორც წესი, თამაშამდე 48 საათით ადრე გაცხადდება.

**რიჩი დიქსონმა** და კომპანიამ შეკრებაზე 42 მორაგბეს უხმეს. გამოძახებულია თითქმის ყველა უძლიერესი ქართველი მორაგბე. ნაკრებში არ არიან მხოლოდ ორნი, ტრავმირებული **ილია ზედგინიძე** და დისკვალიფიცირებული **მამუკა გორგოძე.** დიქსონმა არ გამოიძახა ასევე ახალგაზრდა პირველხაზელები, **ანტონ ფეიქრიშვილი, ვასილ კაკოვინი** და **ბექა შეყლაშვილი,** რომლებსაც ეროვნულ გუნდში სხვადასხვა დროს უთამაშიათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყველაზე დიდი კონკურენცია საქართველოს ნაკრებში სწორედ პირველ ხაზშია.

ეროვნულ გუნდში დაბრუნების შანსი აქვს ქუთაისის „აიას" მოთამაშე მწვრთნელ **ბესიკ ხამაშურიძეს.** მასთან ერთად დიქსონი თავის გამოჩენის შანსს აძლევს საკმაოდ ბევრ ახალგაზრდა მორაგბეს. მათ შორის გამოსარჩევია, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ლიდერი **კონსტანტინე მიქაუტაძე.**

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), გოდერძი შველიძე, გიორგი ჟღენტი (ორივემონპელიე), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი\ყოჩები), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), დავით დადუნაშვილი (პერიგო).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი), შალვა სუთიაშვილი (მასი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი).**

მესამე ხაზი: **გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (მაკონი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), გელა შალამბერიძე (აია), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო).**

№9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული), გიორგი როხვაძე (აია), გიორგი კაჭარავა (ლელო), გიორგი ბეგაძე (ვისოლი\ყოჩები).**

№10: **ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი).**

№12-13: **თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი), ირაკლი გიორგაძე (ლავორი), გიგა კორკელია (ლელო), რატი ხუციშვილი (ლოკომოტივი), რეზო გიგაური (ფიჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო)**

№15. **ბესიკ ხამაშურიძე (აია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო)**

■ ■ ■

კანადის ნაკრები სასტუმრო „რედისონში" დაბინავდა და „ბორჯღალოსნებთან" მატჩისთვის ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ემზადება.

**ესპანეთი-კანადა 22:60**

ესპანეთი (15-9) **მიულერი, ენსუნსე, ერედია, ანგულო (რუე 61), სანჩესი, გრატონი, რიგა. (1-8) პრადალი, სიდრი (გონსალესი 75), როდრიგესი (მარტინესი 73), რეკუერდა, ელგოიენი (ბარერა 58), გიბუინი (კუკი 61), ასენა, ნეგრილო.**

*2ლ: პრადალი, ბელსუნსე. 4ს: რიგა*

კანადა (15-9) **პრიტჩარდი, პარისი, ფან დერ მერვე (ბლევინსი 49), მაკკინზი, კოკერი, ჰირნი, ვაითი. (1-8) პლეტჩი (ტკაჩუკი 40), რიორდანი, მარშალი, ჯეკსონი (ფილანი 50), ჰოტსონი, ოტოოლე (სინკლერი 41), კლიბერგერი, კარპენტერი (სტივენი 49).**

*8ლ: რიორდანი, პარისი (2), ოტოოლე, კარპენტერი, ფან დერ მერვე, მარშალი, სტივენი. 7გ,2ს: პრიტჩარდი.*

**პორტუგალია-აშშ 17:22**

პორტუგალია (15-9) **ლეალი, ლიმა (ფორო 50), ოლივეირა (მირა 65), სილვა, აგილარი, გარდნერი (კაბრალი 70), ჟ.პინტუ. (1-8) სპაშუკი, კორეია (კამპერუ 55), ალვესი (მორაიში 70), გ.უვა, სევერინო (დორეი 55), ვ.უვა, ბარდი, ჟირაო.**

*ლ: ვ.უვა. 4ს:გარდნერი*

აშშ (15-9) **ვოლესი, ნგვენია, ტუილევუკა (ემერიკი 40), სუნიულა, სვირნი, მალიფა, უსასზი (პეტრი 72). (1-8) მოეაკიოლა (მაკდონალდი 60), თეილი (ბლერი 72), პიტმანი, ლავალა, ფან დერ გიესენი (ბასაური 28), სტანფილი, კლევერი, ჯონსონი.**

*3ლ: ნგვენია, სუნიულა, ემერიკი. ს,გ: მალიფა.*

■ ■ ■

2011 წლის მსოფლიო თასის ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეოთხე მეტოქის გამოსავლენი, რეპეშაჟის პირველი მატჩი ურუგვაისა და რუმინეთის ნაკრებებს შორის მონტევიდეოში ფრედ - 21:21 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ რუმინელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ და მასპინძლებმა გათანაბრება მხოლოდ თამაშის ბოლოსლა მოახერხეს.

განმეორებითი შეხვედრა 27 ნოემბერს ბუქარესტში გაიმართება.

**ურუგვაი-რუმინეთი 21:21**

ურუგვაი: **2ლ - მიერესი, დე ფრეიტასი. 3ს,გ - აროსენა.**
რუმინეთი: **2ლ - მანტა, ბალანი. 3ს,გ - დუმბრავა.**

ტესტები

# იღბლიანი ბოკე და გადათელილი ნარშავები

ნოემბრის ტესტების მეორე სათამაშო დღე ავსტრალიის ნაკრებისთვის უიღბლო გამოდგა. თუ პირველი დღე ბობოლა სამხრეთულმა სამეულმა უდანაკარგოდ ჩაიარა, ამჯერად „ვოლაბებმა" ლონდონში, „თვიქნემზე" წაიფორხილეს, „ბოკე" კი ბეწვზე გადარჩა კარდიფში „მილენიუმზე". ერთადერთი, ვინც გაილაღა, ახალი ზელანდიის ნაკრებია. „ოლ ბლექსმა" ედინბურგში, „მერიფილდზე" შოტლანდიის ნაკრები გაანადგურა - 49:3.

ცხადია, რაგბის ქართველი ქომაგისთვის ყველაზე დიდ ინტერესს სწორედ „ნარშავების" დაპირისპირება იწვევდა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან. საინტერესო იყო, რას წარმოადგენს რეალურად მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე.

„შოტლანდიის ნაკრებმა ცუდად ითამაშა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კაცები, ანუ ახალზელანდიელები ბავშვებს ეთამაშებოდნენ", - ეს კომენტარი საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების შოტლანდიელ მწვრთნელ **მარკ დიქსონს** ეკუთვნის.

„სკოტებმა" აღმავლობის გზაზე მდგარ მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს. „ოლ ბლექსმა" მასპინძლებს შვიდი უპასუხო, ერთიმეორეზე უკეთესი ლელო გაუტანა და მეტოქის გაყოყოჩებულ ინგლისელ თავკაცს **ენდი რობინსონს** დაანახა, რომ მის შეგირდებს ჯერ კიდევ ბევრი ვარჯიში სჭირდებათ. რობინსონი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე დიდ გულზე იყო და ახალზელანდიელთა დამარცხებაზე ოცნებობდა.

„ნარშავების" შემდეგი მეტოქე კრიზისში მყოფი სამხრეთ აფრიკის ნაკრებია, რომელმაც ნოემბრის ტესტების ორივე მატჩი დიდი გაჭირვებით მოიგო. მართალია, ძლიერებს უმართლებთ, მაგრამ ამ თამაშებში „ბოკე" ძლიერი არ იყო და აშკარად გაუმართლა.

უელსელებმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს. გამორჩეულები გარემარბი **შეინ ვილიამსი** და მგეზავი **სტივენ ჯოუნზი** იყვნენ. ცალკე აღნიშვნის ღირსია მასპინძელთა თვრამეტი წლის დებიუტანტის **ჯორჯ ნორსის** თამაში. უელსური რაგბის ამომავალმა ვარსკვლავმა დებიუტი ორი ლელოთი აღნიშნა. ახალგაზრდა მორაგბისთვის ბრწყინვალე დასაწყისია, მით უფრო, რომ მეტოქე, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკის ნაკრები იყო.

„ბოკემ" მეორე ტაიმში მაინც შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. ამის მიზეზი ალბათ შეინ ვილიამსის ტრავმაში უნდა ვეძებოთ. უელსელთა „ყოჩი" „ბოკეს" შუამარბმა **ფრანსუა სტეინმა** მიწაზე ისე დაანარცხა, რომ მარცხენა მხარი ამოუგდო. უშეინოდ კი უელსი სულ სხვა გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წუთი „ბოკე" თავის ჩათვლის მოედანს მიაჯაჭვეს, მასპინძლებმა გამარჯვების ლელო მაინც ვერ გაიტანეს - 25:29.

შესანიშნავად, დიდოსტატურად ითამაშა ინგლისის ნაკრებმა. „პომებმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ივნისში სიდნეიში ავსტრალიის ნაკრების ძლევა შემთხვევითი არ იყო. **მარტინ ჯონსონის** ბიჭები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და ავსტრალიას გამარჯვების იოტისოდენა შანსიც არ მისცეს - 35:17.

გუნდის ლიდერ **ჯონი ვილკინსონის** არყოფნაში შესანიშნავად ითამაშა „პომების" ახალგაზრდა მგეზავმა **ტობი ფლუდმა.** მან მეტოქეს შვიდი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაუტანა (25 ქულა), რაც ასპროცენტიანი შედეგია. ინგლისელთა შესანიშნავ გუნდში კიდევ ერთი გამორჩეული გარემარბი **კრის ეშტონი** იყო, რომელმაც „ვოლაბებს" ორი ლელოთი დაამწუხრა.

ავსტრალიის ნაკრები მეტოქესთან შედარებით ბევრად სუსტი ჩანდა. თუმცა, ცხადია, მსოფლიო დონის მორაგბეები ამ გუნდშიც საკმარისად არიან და სწორედ ისინი განსაზღვრავენ კიდეც **რობი დინსის** გუნდის თამაშის მანერას. ინგლისელებთან მატჩში ფულბეკმა **ქართლი ბეილიმ** გაიბრწყინა, რომელმაც ორი ლელო კი გაიტანა, მაგრამ თხუთმეტი ინგლისელის წინააღმდეგ მარტო ვერას გახდა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნების" მეტოქე. „პომები" ნელ-ნელა ძალას იკრებენ და ახალ ზელანდიაში, სავარაუდოდ, ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოგვევლინებიან.

ნოემბრის ტესტები ფიჯისთან თამაშით გახსნა საფრანგეთის ნაკრებმა. „ლე ბლემ" ექსპერიმენტული შემადგენლობით მეტოქეს ნანტში უმასპინძლა და 34:12 მოუგო. ნაყოფიერად გაისარჯა ფრანგთა ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი,** რომელმაც ხუთი საჯარიმო და ორი გარდასხვა გაიტანა (19 ქულა).

**მარკ ლივერმონის** ბიჭებს მთავარი გამოცდა ამ უქმეებზე ელით არგენტინის ნაკრებთან, რომელსაც დიდი ხანია, ველარ უგებენ. მანამდე კი „პუმებმა" ვერონაში, ლათინთა დერბიში იტალიის ნაკრებს მოუგეს 22:16.

სტუმრებს მგეზავ **ფელიპე კონტეპომის** ფეხჩუბინობამ მოაგებინა. **დავით ქუბრიაშვილის** თანაგუნდელმა იტალიელ ვიზავი **მირკო ბერგამასკოზე** ორით მეტი საჯარიმო გაიტანა.

**იტალია-არგენტინა 16:22**

იტალია: **ლ - საჯარიმო. 3ს,გ - მ.ბერგამასკო**
არგენტინა: **ლ - როდრიგესი. 5ს,გ - კონტეპომი**

**ირლანდია-სამოა 20:10**

ირლანდია: **2ლ - ჰისლიპი, ოგარა. 2ს,2გ: ოგარა**
სამოა: **ლ - ტუილაკი . გ,ს - ვილიმასი**

**უელსი-სამხრეთ აფრიკა 25:29**

უელსი: **3ლ - ნორსი (2), ჰუკი. 2ს,2გ: ს.ჯოუნზი**
სამხრეთ აფრიკა: **2ლ - ალბერტსი, მეტფილდი. 5ს,2გ - მ.სტეინი**

**საფრანგეთი-ფიჯი 34:12**

საფრანგეთი: **3ლ - მარტი, მედარი, საჯარიმო. 5ს,2გ; იაშვილი**
ფიჯი: **4ს - ბაი**

**შოტლანდია-ახალი ზელანდია 3:49**

შოტლანდია: **ს - პარქსი**
ახ.ზელანდია: **7ლ - გეარი (2), კართერი, მულიაინა (2), ელისი, სმითი. 7გ - კარტერი (5), დონალდი (2).**

**20 ნოემბერი**

**უელსი-ფიჯი, ინგლისი-სამოა, შოტლანდია-სამხრეთ აფრიკა, ირლანდია-ახალი ზალანდია, იტალია-ავსტრალია, საფრანგეთი-არგენტინა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


კივებმა ნარშავები გადათელეს

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი




რეინჯერსი-ედმონტონი

# იხვების შეწყვეტილი სერია

ყოველმხრივ სანახაობრივი მატჩი გაიმართა ნიუ იორკში, სადაც მაყურებელმა 10 გოლი და უამრავი ჩხუბი იხილა. მესამე მეოთხედში ამტყდარი ხელჩართული ჩხუბის შემდეგ, ორივე გუნდის მოთამაშეებმა ჯამში 126 (!) საჯარიმო წუთი მიიღეს. მატჩის გმირად კი სამართლიანად აღიარეს **მარიან გაბორიკი**, რომელმაც სამ შაიბას ერთი საგოლე პასი დაუმატა. ამ მოგებით „რეინჯერსმა" 19 ქულა დააგროვა და თავის დივიზიონში მეორე ადგილზე გადაინაცვლა, „ედმონტონისთვის" კი ეს იყო ზედიზედ მეოთხე წაგება და გუნდი ბოლო ადგილზე დარჩა დასავლეთ კონფერენციაში.

„მინესოტამ" პირველ პერიოდში ექვსჯერ დაარტყა „ტამპა ბეის" კარის მიმართულებით და სამი გოლი გაიტანა. **მარტინ ჰავლატის** სამმა შედეგიანმა პასმა და **ნიკლას ბექსტრიომის** 37-მა მოგერიებამ „უაილდს" ბოლო სამ მატჩში პირველი გამარჯვება მოუტანა. „ტამპას" ლიდერმა **სტივენ სტემკოსმა** ზედიზედ მეოთხე მატჩში მოიპოვა ქულა, მაგრამ ეს გუნდს არ შველის - „ლაითნინგი" უკვე სამი მატჩია ვერ იგებს.

პირველი პერიოდის შემდეგ „ვაშინგტონი" 3:1-ს უგებდა „ატლანტას" და თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა გამარჯვების მოპოვება, მაგრამ სტუმრებმა შემოაბრუნეს თამაშის ბედი და ახლა უკვე **ოვეჩკინსა** და კომპანიას მოუწიათ მატჩის გადარჩენაზე ზრუნვამ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდი, რომელშიც დედაქალაქელებმა შაიბა არ გაუშვეს, თავად კი ორი გოლი შეაგდეს და აგრძელებენ ლიდერობას აღმოსავლეთში.

„ჩიკაგო" საკუთარ მოედანზე „ანაჰაიმს" იღებდა. სტენლის თასის მფლობელი სამმატჩიანი წაგებათა სერიით შეხვდა ამ შეხვედრას, თავის მხრივ, „იხვებს" ექვსი შეხვედრა არ წაეგოთ. მასპინძლებმა მესამე წუთზე გახსნეს ანგარიში - **შარპის** დარტყმის შემდეგ შაიბა ბარიერმა აისხლიტა და პირდაპირ **კეინს** მიუვიდა, რომელმაც უპრობლემოდ გაუტანა **ჰილერს**, მაგრამ „ჩიკაგოს" სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ზუსტად ერთ წუთში **კორი პერიმ** გაათანაბრა ანგარიში. შემადგენლობების შეცვლისას ფორვარდმა მოედანზე შესვლისთანავე „ჩიკაგოს" ზონაში ჩაჭრა გააკეთა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე პერიოდში „ბლეკჰოქსი" შტურმზე გადავიდა. რვა წუთში მან შვიდი უპასუხო დარტყმა შეასრულა. უნდა აღინიშნოს იონას ჰილერის შესანიშნავი თამაში, რომელმაც რამდენჯერმე გადაარჩინა თავისი გუნდი, მაგრამ პერიოდის ბოლომდე ვერ გაძლო. **მარიან ჰოსამ** რიცხობრივი უპირატესობისას დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში 2:1 გახდა. პერიოდის ბოლომდე „იხვებმა" ვერ შეძლეს მეტოქის ზონაში დამკვიდრება, თუმცა ერთხელ **ბობი რაიანმა** ძელს გაარტყა შაიბა.

მესამე პერიოდის მეოთხე წუთზე „ანაჰაიმმა" მაინც გაათანაბრა ანგარიში. პერიმ შორეულ ცხრიანში დარტყმით დუბლი შეასრულა. მეათე წუთზე **დანკან კეიტს** შეეძლო შორეული დარტყმით „ბლეკჰოქსის" დაწინაურება, მაგრამ შაიბა ძელს მოხვდა. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე **ჯონათან ტეივზმა** ააცილა მას შემდეგ, რაც ჩიკაგოელები ორი ერთზე გავიდნენ მცველთან. 50 წამით ადრე კი მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს და „ჩიკაგოს" კიდევ ჰქონდა მატჩის მოგების შანსი, მაგრამ ჰილერმა იყოჩაღა.

ოვერტაიმი უფრო აქტიურად „ანაჰაიმმა" დაიწყო და რომ არა **კროუფორდი**, „ჩიკაგოს" ზედიზედ მეოთხედ წააგებდა. ყველაფერი ბულიტების სერიებამდე მიდიოდა, მაგრამ 30 წამით ადრე „ჩიკაგომ" მაინც გაიტანა. კეიტის პასის შემდეგ **სტალბერგმა** უძლიერესი დარტყმით წერტილი დაუსვა შეხვედრას. „ანაჰაიმს" ჰილერის 40-მა მოგერიებამ ვერ უშველა და ამ გუნდმა ბოლო რვა მატჩში პირველად წააგო.

**რეინჯერსი-ედმონტონი 8:2**

1:0, 4:2, 3:0

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-1 (კრისტენსენი-3, ფროლოვი-5), 1:1 რ. ჯონსი-4 (ებერლე-7, სემ განიე-6), 1:2 ჰორკოფი-5 (პეკჰემი-4, რაიან უიტნი-14), 2:2 გაბორიკი-2 (კრისტენსენი-4), 3:2 ბ. ბოილი-8 (ფედოტენკო-6, პრუსტი-4), 4:2 ანისიმოვი-6 (სტეპანი-3, შ. ეივერი-8), 5:2 ფროლოვი-3 (კრისტენსენი-5, გაბორიკი-3), 6:2 ფროლოვი-4, 7:2 ფედოტენკო-3 (სტეპანი-4, გილროი-1), 8:2 გაბორიკი-3 (ფროლოვი-6).

**ტამპა ბეი-მინესოტა 1:4**

1:3, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კლატერბეკი-6 (კულენი-11, ჰავლატი-10), 1:1 სენტ ლუისი-7 (ბ. კლარკი-4, სტემკოსი-13), 1:2 მადენი-3 (ჰავლატი-11, ჟიდლიცკი-5), 1:3 მიეტინენი-4 (ბრუნეტი-6, მ. კოივუ-12), 1:4 ნისტრიომი-1 (ჰავლატი-12, მადენი-1).

**ვაშინგტონი-ატლანტა 6:4**

3:1, 1:3, 2:0

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-10 (ბექსტრიომი-15, სლოუნი-4), 2:0 მ. გრინი-5 (ფერი-4, ნუბლი-5), 2:1 პევერლი-3 (ენსტრიომი-13, ანტროპოვი-4), 3:1 სიომინი-13 (ოვეჩკინი-15, სლოუნი-5), 3:2 ლედი-7 (ბერგფორსი-8), 4:2 ჰენდრიქსი-3 (მ. გრინი-8, შულცი-5), 4:3 ლიტლი-2 (ე. კეინი-5, ე. სტიუარტი-6), 4:4 ლიტლი-3 (ლედი-11), 5:4 ერსკინი-2 (შტეკელი-2, ბრედლი-3), 6:4 შტეკელი-2.

**ჩიკაგო-ანაჰაიმი 3:2 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პ. კეინი-7 (შარპი-9, მარიან ჰოსა-5), 1:1 პერი-7, 2:1 მარიან ჰოსა-8 (პ. კეინი-10, სიბრუკი-8), 2:2 პერი-8 (ფაულერი-6), 3:2 სტალბერგი-6 (კეიტი-12, ბ. კემპბელი-3).

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სპურსი სტუმრად არ აგებს

სულ უფრო უიმედო ხდება „ნიუ იორკ ნიქსის" მდგომარეობა. გუნდს ვერ შველის **ამარე სტაუდმაიერის** დამაჯერებელი თამაში, რომელიც მარტო ცდილობს „ნიქსის" კრიზისიდან გამოყვანას. **მაიკ დ'ანტონის** გუნდმა ზედიზედ მეხუთე მატჩი შინ „ჰიუსტონთან" წააგო, რომელიც სასტარტო კრიზისის შემდეგ თანდათან გონს მოდის. პირველ ნახევარში მასპინძლები დიდი მონდომების ხარჯზე აჩერებდნენ მეტოქეს, მაგრამ მესამე მეოთხედში მათი თამაში საბოლოოდ მოიშალა. **რაიმოდ ფელტონის** სამქულიანის შემდეგ „ნიქსი" დიდხნიანი პაუზის შემდეგ წინ გავიდა - 71:70 და სწორედ აქედან დაიწყო „ჰიუსტონის" ხანგრძლივი სპურტი, რომელიც 26:6 დასრულდა. გამარჯვებულის საკითხიც მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან.

*„ასეთ კალათბურთს მიჩვეული არ ვარ. გასაკვირია, რატომ არ ინდომებს გუნდი და რატომ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენთვის მატჩის საბოლოო შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საკუთარ თავს ვარწმუნებ იმაში, რომ ყოველ მატჩში ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ხუთმატჩიანი მოგებათა სერიის ნაცვლად, ზედიზედ ხუთი შეხვედრა გვაქვს წაგებული"*, - გაკვირვებას ვერ მალავდა სტაუდმაიერი.

ოკლაჰომაში გაგრძელდა ერთი სერია. არადამაჯერებელი სტარტის შემდეგ (ერთი მოგება და ერთი წაგება), „სან ანტონიომ" ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო, თანაც „სპურსს" ჯერ გასვლითი შეხვედრა არ წაუგია. „თანდერთან" მატჩში „სან ანტონიო" ახლო იყო დამარცხებასთან, მაგრამ სტუმრები **მეტ ბონერმა** გადაარჩინა - მატჩის ბედი მისმა სნაიპერულმა თვისებებმა გადაწყვიტა. ბონერმა შვიდიდან შვიდი სამქულიანი ჩააგდო და სწორედ ის იყო მეოთხე მეოთხედში 18:8 გაქცევის ინიციატორი. **დურანტი** და კომპანია პირველი სამი მეოთხედი ღირსეულად ებრძოდნენ **პარკერისა** და **ჯინობილის** დუეტს, მაგრამ ბოლოს „სპურსის" რეზერვისტს ვერაფერი მოუხერხეს. ამას დაემატა **ჯეფერსონისა** და **ჰილის** ბრწყინვალე დაცვა და მასპინძლებს უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეეძლოთ. „სან ანტონიომ" ზედიზედ მეოთხედ მოუგო „ოკლაჰომას", რომელიც ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს საკუთარ მოედანზე.

ცენტრალური მატჩი გაიმართა დასავლეთი კონფერენციის შარშანდელ ფინალისტებს შორის. „ლეიკერსმა" სეზონში პირველი მარცხის შემდეგ სიტუაციის გამოსწორება და საშინაო მოგებათა სერიის გაგრძელება სცადა, მაგრამ საბრძოლო განწყობა არც „ფინიქსს" აკლდა. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში სწრაფ ტემპში და შედეგიანად მიდიოდა და ვერც-ერთი გუნდი ვერ ახერხებდა სოლიდური უპირატესობით წინ გასვლას. „ლეიკერსი" კარგად იყენებდა „ფინიქსის" სუსტ წერტილს, დომინირებდა მეტოქის ფარქვეშ და თითქმის ყველა მოხსნას იღებდა. მაგრამ „სანზი" მზად იყო მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის და ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. **რიჩარდსონმა** და „ფინიქსის" სხვა სნაიპერებმა სამქულიანებზე გადაიტანეს აქცენტი.

სტუმრებმა მეორე მეოთხედში ჩაუყარეს საფუძველი მომავალ გამარჯვებას. მარტო პირველ ნახევარში „ფინიქსმა" 12 სამქულიანი ჩააგდო და შორეული ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი უფრო მაღალი ჰქონდა, ვიდრე საშუალო დისტანციიდან. აქ „ლეიკერსმა" აშკარა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა - მან თავის საფირმო დაცვაზე უარი თქვა და ასევე სამქულიანებზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ მასპინძლების სიზუსტე ახლოსაც ვერ მივიდოდა სტუმრებისაზე. რიჩარდსონმა ათიდან შვიდი სამქულიანი ჩააგდო, **ფრაიმ** - ცხრიდან ხუთი, **დრაგიჩმა** - ხუთიდან სამი, **ნეშმა** - სამიდან ორი და **თურქოგლუმ** - შვიდიდან ხუთი. სწორედ ამ ხუთეულმა დაამყარა საკლუბო რეკორდი და აჩვენა მეორე შედეგი ლიგის ისტორიაში - 22 ზუსტი სამქულიანი. NBA-ის რეკორდი „ორლანდოს" ეკუთვნის - 23 შორეული ტყორცნა.

მოქმედი ჩემპიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო „ფინიქსის" დაწევა და საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე სხვაობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა. მაგრამ მასპინძლებისთვის სამწუხაროდ, საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი ნეშმა, რომელმაც მარტომ გაიფორმა 8:2 გაქცევა და ამას თურქოგლუს საკონტროლო სამქულიანი მოჰყვა - 30 წამით ადრე. ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. ჯარიმების ტაქტიკამ და **ბრაიანტის** გიჟურმა შორეულმა ტყორცნებმა სიტუაციას ვერ უშველა.

**ატლანტა-მინესოტა 111:105**

30:27, 30:25, 23:20, 28:33

**ა:** ჰორფორდი (28+9 მოხსნა+3 დაფარება), სმიტი (23+10 მოხსნა), ჯონსონი (17+5 პასი), კროუფორდი (11).

**მ:** ბიზლი (25), ლავი (22+17 მოხსნა), ტელფეირი (18+8 პასი), ტოლივერი (13), ბრიუერი (11), ჯონსონი (10).

**საკრამენტო-დეტროიტი 94:100**

19:22, 26:28, 27:25, 22:25

**ს:** ევანსი (20), ლენდრი (19+8 მოხსნა), ჰედი (13), ტომპსონი (10+5 მოხსნა).

**დ:** სტაკი (17+7 პასი), გორდონი (16), პრინსი (14), ჰემილტონი (13), ვილანუევა (11), უოლასი (4+10 მოხსნა).

**ოკლაჰომა-სან ანტონიო 104:117**

35:30, 31:31, 14:21, 24:35

**ო:** დურანტი (23+7 მოხსნა), უესტბრუკი (19+8 პასი), ჰარდენი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), იბაკა (13+5 მოხსნა+3 დაფარება), გრინი (12), მეინორი (12+5 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (24+5 მოხსნა), ჯინობილი (21), ბონერი (21), ჯეფერსონი (18), ბლეირი (9+11 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ჰიუსტონი 96:104**

27:26, 25:32, 23:26, 21:20

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (25+8 მოხსნა), ჩენდლერი (17+7 მოხსნა+3 დაფარება), ფელტონი (15+5 პასი), გალინარი (14), ფილდსი (12+6 მოხსნა).

**ჰ:** მარტინი (28+5 მოხსნა), სკოლა (24+8 მოხსნა+5 პასი), ლი (12).

**ლეიკერსი-ფინიქსი 116:121**

25:23, 28:33, 31:36, 32:29

**ლ:** გასოლი (28+17 მოხსნა), ბრაიანტი (25+9 მოხსნა+14 პასი), ოდომი (22+11 მოხსნა), არტესტი (13), ბრაუნი (12).

**ფ:** რიჩარდსონი (35+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნეში (21+13 პასი), ფრაი (20+6 მოხსნა), თურქოგლუ (17+5 პასი).




შეტევაში ტონი პარკერი

ამბები

## გოლდენ სტეიტი გაიყიდა

უახლოეს მომავალში „გოლდენ სტეიტი" მფლობელს შეიცვლის. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მმართველმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი კლუბის გაყიდვას ინვესტორთა ჯგუფისთვის, რომელსაც სათავეში **ჯო ლეიკობი** და **პიტერ გუბერი** უდგანან. მათ ეს გარიგება 450 მილიონი დოლარი დაუჯდებათ.

## ნეში ცოლს ეყრება

„ფინიქსის" კანადელი გამთამაშებელი **სტივ ნეში** მეუღლე **ალეხანდრას** ეყრება, რომელმაც გასულ პარასკევს ვაჟიშვილი **მატეო ჯოელი** გააჩინა. როგორც ESPN წერს, განქორწინების პროცესი უკვე დაწყებულია. ამ წყვილს ტყუპი გოგონები ჰყავთ - **ლოლა** და **ბელა**. სტივმა და ალეხანდრამ 2005 წლის ივნისში იქორწინეს.

*„ალეხანდრას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მე ახლა იმაზე ვფიქრობ, ჩემი შვიდი წლის შვილები როგორ აღიქვამენ ამ ახალ ამბავს და როგორ შეეგუებიან ცვლილებებს. მათ იციან, რომ ორივე მშობელს ისინი ძალიან უყვარს. და კიდევ, ყველას ვთხოვ, რომ პატივი სცეს ჩვენს პირად ცხოვრებას. აღარ მსურს ამ თემაზე ლაპარაკი"*, - ამბობს ნეში.

## სუპერმენი ერთი პირობით დარჩება

„ორლანდო მეჯიქის" ლიდერმა **დუაიტ ჰოვარდმა**, შესაძლოა, არ გააგრძელოს კონტრაქტი თავის ამჟამინდელ კლუბთან. „სუპერმენის" ხელშეკრულებას 2011-12 წლების ბოლოს ეწურება ვადა და მომავალ ზაფხულს მისი გაგრძელება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ „მეჯიქი" შემადგენლობის გასაძლიერებლად რომელიმე ვარსკვლავს შეიძენს, რომელიც კლუბს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება. ასეთია დუაიტის პირობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოების ტრიუმფით დასრულდა



ლოებმა 62-ედ მოიგო

რალის მსოფლიოს ჩემპიონატი მეორე ადგილისთვის ფანტასტიკური ბრძოლით დასრულდა. ბოლო ეტაპამდე ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ **სებასტიან ოჟიეს** უპრობლემოდ უნდა გაეფორმებინა ვიცე-ჩემპიონის ტიტული. ფრანგმა ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „სიტროენის" მეორე გუნდში გამოსვლამ არ მისცა მას ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება. მოკლედ, ახალგაზრდა პილოტისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მხოლოდ ბოლო ეტაპამდე...

შაბათს ოჟიე ტრასიდან გადავარდა და მისი მცირედი უპირატესობა **პეტერ სოლბერგსა** და **ლატვალაზე** სადღაც გაქრა. სკანდინაველებმა ეს რალი კარგ დონეზე ჩაატარეს და ზუსტად ის ქულები მიიღეს, რომელიც ფრანგის გასასწრებად იყო საჭირო. სამწუხაროდ, ოჟიემ საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეოთხე ადგილი მოიპოვა - შესაძლოა, ეს მკაცრი სასჯელია ერთი დასანანი შეცდომის გამო, მაგრამ ქულები ითვლება ყველა ეტაპის ჯამში და არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მეტოქეები ასევე ვერ ახერხებდნენ ფინიშამდე მისვლას.

საბოლოოდ, სწორედ ლატვალამ და სოლბერგმა გამართეს მეორე ადგილისთვის ბრძოლა. ეს არათანაბარი დაპირისპირება იყო, რადგან სოლბერგს ლოების გასწრება სჭირდებოდა ამ ლოკალურ დუელში გასამარჯვებლად. ფრანგმა არ გაატარა ნორვეგიელი, თავის მხრივ კი პეტერმა ვერ გაბედა მსოფლიოს ჩემპიონთან ბრძოლა, რადგან რისკზე წასვლას საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი ამჯობინა - რბოლიდან რომ გავარდნილიყო, მესამე პოზიცია ოჟიეს შეხვდებოდა.

ლატვალამ ბრიტანეთის რალი მესამე ადგილზე დაასრულა. ბევრს გაუჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ **მიკო ჰირვონენმა** გაატარა თანაგუნდელი. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ჰირვონენს შარშანდელი სეზონის გამო ლატვალას ვალი ჰქონდა, გარდა ამისა, წელს „ფორდის" მთავარი ვარსკვლავი სწორედ იარი-მატი გახლდათ. მართალია, სეზონის წინ ის ოფიციალურად გამოაცხადეს მეორე ნომრად, მაგრამ შემდეგ ყველაფერი განსხვავებული სცენარით წარიმართა.

ლატვალამ თავისი კლასი ბრიტანეთის რალიშიც დაამტკიცა - ბრძოლა გაუმართა სამივე „სიტროენს" და სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა ეტაპში გამარჯვებაზე, მაგრამ საბურავის დაზიანებამ ეს შანსი მოუსპო და მხოლოდ ჰირვონენთან მეოთხე ადგილისთვის ბრძოლა შერჩა ხელთ. სხვათა შორის, ლატვალას თავადაც შეეძლო თანაგუნდელის გასწრება, რადგან პირველ დღეს მათ შორის ძალიან დიდი სხვაობა იყო. ასე რომ, „ფორდის" მხრიდან გუნდური ტაქტიკის გამოყენება სულაც არ არის დამტკიცებული.

რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ეტაპის გამარჯვებულ სებასტიან ლოებს, რომლისთვისაც ეს 62-ე ტრიუმფი იყო კარიერაში. უელსში ფრანგმა კვლავ უშეცდომოდ იარა - მასზე მეტოქეთა მხრიდან ზეწოლამაც ვერ იმოქმედა.

### XIII ეტაპი. ბრიტანეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:14.54,0; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +19,1; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +1:35,3; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - +1.53,3; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - +2:12,2; 6. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +6.26,5; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - +8.37,8; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - +10.27,9...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 276 ქულა; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 171; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 169; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 167; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - 150; 6. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - 126; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - 74; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 45; 9. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 36; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 25...

## სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# სლალომისტებმა დაიწყეს

სამკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა მსოფლიოს თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. პრაქტიკულად ყველა წამყვანი მოთხილამურე ფინეთის კურორტ ლევიში შეიკრიბა, სადაც პირველობა სლალომის დისციპლინაში გათამაშდა.



მარლის შილდი

ქალებში პირველი ცდის შემდეგ ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მარია რიშმა**. გერმანელი კონკურენტებზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა და წესით, იოლად უნდა მოეპოვებინა სეზონში პირველი გამარჯვება. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია ავსტრიელი **მარლის შილდი**, რომელიც შარშანწინდელი მძიმე ტრავმის (ფეხის მოტეხილობა) შემდეგ მძიმედ შედიოდა ოპტიმალურ ფორმაში. შილდი 2007 და 2008 წლებში სწორედ სლალომში ფლობდა მსოფლიოს თასს, მაგრამ ტრავმამ დაღი დაასვა მის კარიერას. ავსტრიელმა ვანკუვერში ვერცხლი მოიპოვა, ახლა კი დიდხნიანი შესვენების შემდეგ პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია.

არადა, პირველი ცდის შემდეგ ავსტრიელის ტრიუმფი ძნელი წარმოსადგენი იყო, რადგან რიშთან 81 მეასედ წამს აგებდა და მხოლოდ მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ იდეალურად შესრულებული მეორე ცდის შემდეგ ავსტრიელი სათავეში ჩაუდგა კლასიფიკაციას. მის შემდეგ კიდევ ოთხი მოხილამურე უნდა გამოსულიყო, თუმცა ვერც ერთმა შეძლო შილდის დროის გაუმჯობესება. ყველაზე ახლოს ავსტრიელთან რიში აღმოჩნდა, რომელიც საბოლოოდ 3 მეასედი წამით ჩამორჩა გამარჯვებულს, თუმცა 125 ქულით სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს თასის ჩათვლას. მეორეა ფინელი **ტანია პოუტიაინენი** 110 ქულით, მესამე - შილდი 100 ქულით.

მსოფლიოს თასის ბოლო გათამაშების ტრიუმფატორი **ლინდსი ვონი** მეექვსეზე გავიდა, თუმცა სლალომი ამერიკელის სტიქია არ არის. მას სულ მალე მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება, როცა მსოფლიოს თასზე ჩქაროსნულ დისციპლინებში გათამაშდება პირველობა.

■ ■ ■

კაცებს შორის ფრანგი **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** დომინირებდა. ამ მოთხილამურემ 2009 წელს სლალომში მსოფლიოს თასი მოიგო, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა და ახლა, როგორც ჩანს, მზად არის ამ დისციპლინაში პირველობის დასაბრუნებლად.

გრანჟმა მოიგო პირველი ცდა, მეორეში კი მეორე დრო აჩვენა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ეტაპის მოსაგებად. ფრანგს სერიოზული კონკურენცია მხოლოდ შვედმა **ანდრე მიურერმა** გაუწია, თუმცა სკანდინაველს ცუდმა პირველმა ცდამ გაუფუჭა საქმე. ვანკუვერის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა მეორე ცდა კი მოიგო, მაგრამ პირველში მხოლოდ მეოთხე შედეგი ჰქონდა, რაც საბოლოოდ გრანჟთან 33 მეასედი წამის ჩამორჩენად დაუჯდა.

ლევიში ტრასა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რის გამოც ბევრმა ფავორიტმა ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა. ამერიკელი **ბოდე მილერი** პირველ ცდაზე გამოეთიშა ბრძოლას, მისი ბედი გაიზიარა სლალომში მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა, ავსტრიელმა **რაინფრიდ ჰერბსტმა**, მისმა თანამემამულემ **ბენამინ რაიხმა** და მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იტალიელმა **ჯულიანო რაცოლიმ**.

რაც შეეხება გრანჟს, მან 2009 წლის შემდეგ პირველად მოიგო სლალომში მსოფლიოს თასის ეტაპი.

### ლევი (ფინეთი)

### ქალები. სლალომი

1. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 1:52.84 (56.94+55.90); 2. **მარია რიში** (გერ) - 1:52.87 (56.13+56.74); 3. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 1:53.18 (56.88+56.30); 4. **სუზან რიში** (გერ) - 1:53.58 (57.50+56.08); 5. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:53.68 (56.87+56.81); 6. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:53.79 (57.05+56.74).

### კაცები. სლალომი

1. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 1:46.64 (52.32+54.32); 2. **ანდრე მიურერი** (შვედ) - 1:46.97 (52.84+54.13); 3. **ივიცა კოსტელიცი** (ხორ) - 1:47.61 (53.09+54.52); 4. **კრისტიან დევილი** (იტა) - 1:47.89 (52.76+55.13); 5. **მანფრედ პრანგერი** (ავსტრია) - 1:47.99 (52.82+55.17); 6. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 1:48.11 (52.91+55.20).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| პესკარა-ასკოლი | 1:2 |
| სიენა-გროსეტო | 3:1 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| სპეცია-მონცა | 3:0 |

#### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-კორდობა | 2:1 |

#### გერმანია

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰერტა-ბოხუმი | 2:0 |

#### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სედანი-აიაჩო | 4:1 |

#### ჰოლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ემენი-იგლზი | 1:1 |

#### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კრინსი-ვოლენი | 2:0 |

#### კვიპროსი

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი (ა)-აელ | 0:0 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| ასტერასი-კავალა | 0:1 |
| ირაკლისი-არისი | 1:0 |
| პანსერაიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნაგენისი-ვერია | 2:3 |
| ოფი-დოქსა | 2:1 |
| ეთნიკოსი-ლევადია | 1:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 1:3 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| გლორია-კლუჟი | 0:3 |

#### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-პირინი | 1:0 |

#### ისრაელი

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ფ-თ)-ბნეი სახნინი | 0:1 |

### კალათბურთი

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პერისტერი-ირაკლისი | 69:53 |

#### ისრაელი

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) | 102:63 |

### ჰოკეი

#### დანია

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ოდენსე | 6:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| სლოვანი-სკალიცა | 2:6 |

## TV პროგრამა

### 16 ნოემბერი. სამშაბათი

**მზე**

**14:30** იმედის ფსონი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:40** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**07:10** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:05** საერთაშორისო პანორამა.
**09:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ნაპოლი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**15:10** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:10** საერთაშორისო პანორამა.
**17:10** ახალი ამბები.
**17:30** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:30** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**20:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:20** ახალი ამბები.
**21:45** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:45** სასტვენი.
**23:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:40** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
**01:30** ახალი ამბები.
**01:50** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**03:40** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**05:30** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**EUROSPORT**

**11:30** ძიუდო. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. სტამბოლი. თურქეთი.
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. კაცები. ლევი. ფინეთი.
**12:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**13:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
**14:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**15:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
**15:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**16:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**17:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
**18:30** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ირლანდია-რუსეთი.
**19:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**20:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ესპანეთი.
**21:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**21:45** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვეიცარია-უელსი.
**22:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:40** ოლიმპიზმი. ლონდონი 2012. ტელეჟურნალი.
**22:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:30** პროფესიული კრივი.
**00:15** პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ანტონიო ტარვერი (აშშ)-ნეგი აგილერა (დომინიკის რესპუბლიკა). აშშ.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-შვედეთი.
**03:15** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. მიმოხილვა.
**04:15** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

## ჩოგბურთი. რეიტინგები

### ATP-ის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 11 450 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 645 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5 635 |
| 4(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 5 380 |
| 5(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 360 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 755 |
| 7(7). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 735 |
| 8(8). ენდი როდიკი (აშშ) | 3 665 |
| 9(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 240 |
| 10(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 920 |
| 11(12). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 785 |
| 12(14). გაელ მონფილსი (საფ) | 2 485 |
| 13(13). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 345 |
| 14(15). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 300 |
| 15(16). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 160 |
| 16(18). მარდი ფიში (აშშ) | 1 991 |
| 17(17). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1 965 |
| 18(20). სემ კუერი (აშშ) | 1 860 |
| 19(19). ჯონ ისნერი (აშშ) | 1 850 |
| 20(21). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1 785 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 7 711 998 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 5 068 289 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 418 857 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 3 186 805 |
| 5. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 3 091 527 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 2 198 353 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 2 009 122 |
| 10. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 1 843 334 |
| 9. ენდი როდიკი (აშშ) | 1 797 612 |
| 8. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 701 365 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 655 349 |
| 12. გაელ მონფილსი (საფ) | 1 303 546 |
| 13. სემ კუერი (აშშ) | 1 252 096 |
| 14. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1 251 619 |
| 15. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 205 538 |
| 16. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 166 151 |
| 17. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 1 151 955 |
| 18. ბობ ბრაიანი (აშშ) | 1 088 970 |
| 18. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 1 088 970 |
| 20. ჯონ ისნერი (აშშ) | 1 066 839 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# გზა ჩემპიონობისკენ



ფეტელის დამსახურებული შამპანური

სეზონის ბოლოს ეტაპის მოგების შემდეგ, **სებასტიან ფეტელი** ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. ბრიტანული ჟურნალი Autosport იხსენებს გერმანელის საჩემპიონო გზის უმნიშვნელოვანეს მომენტებს.

## ტექნიკური პრობლემა ბაჰრეინში

სეზონის სტარტზევე ფეტელმა ყველას მიანიშნა, რომ მისი „რედ ბული" სერიოზული ბრძოლისთვის იყო განწყობილი: ბაჰრეინში პირველ ეტაპზე პოული მოიპოვა, რბოლის დიდი ნაწილი ლიდერობდა და დამაჯერებლად უგებდა „ფერარის" წყვილს, მაგრამ მისმა ძრავამ მოულოდნელად სიმძლავრე დაკარგა და გერმანელი მხოლოდ მეოთხე მივიდა ფინიშთან.

## დამაჯერებელი მოგება მალაიზიაში

მელბურნში კიდევ უფრო დიდი იმედგაცრუების შემდეგ (სებასტიანი ისევ ლიდერობდა, მაგრამ ბრძოლა საბურავთან დაკავშირებული პრობლემის გამო შეწყვიტა), ფეტელმა „სეპანგზე" გამოიყენა სისწრაფეში უპირატესობა. კვალიფიკაციაში მესამე პოზიციის მოპოვების შემდეგ, მან კვირას პირველივე მოსახვევში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გერმანელი აკონტროლებდა რბოლას და ბოლოს და ბოლოს, მოიგო სეზონში პირველი ეტაპი.

## შეჯახება უებერთან

„სეპანგზე" სებასტიანის გამარჯვების შემდეგ, ინციატივა **მარკ უებერის** მხარეს გადავიდა და ავსტრალიელმა ზედიზედ ორი რბოლა მოიგო - ესპანეთსა და მონაკოში. მარკი თურქეთშიც ლიდერობდა, მაგრამ ფეტელი კვალში ედგა. ბოლოს გერმანელმა შეტევა გადაწყვიტა, რომელიც ორი „რედ ბულის" ავარიით დასრულდა. სებასტიანი დისტანციას ჩამოშორდა, უებერმა კი ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ წინ გაუშვა „მაკლარენების" წყვილი. ამ ავარიის შემდეგ ავსტრიულ საჯინიბოში სიტუაცია დაიძაბა...

## დაბრუნება ვალენსიაში

მონრეალის ტრასა სტილით არ შეესაბამებოდა „რედ ბულის" ბოლიდებს და სებასტიანმა ჩააგდო კანადური ეტაპი. სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ ვალენსიაში დაკარგული აინაზღაურა - პოული და შემდეგ რბოლა მოიგო, მის თანაგუნდელს კი ესპანური ეტაპი საკუთარი ბოლიდის „გაფრენით" დაამახსოვრდა.

## პირველი წრე სილვერსტოუნში

„რედ ბულში" დაძაბულობამ კულმინაციას ბრიტანეთში მიაღწია, როცა გუნდმა უშუალოდ კვალიფიკაციის წინ გადაწყვიტა ერთადერთი მოდიფიცირებული ანტიფრთის უებერის ბოლიდიდან ფეტელის მანქანაზე გადატანა. სებასტიანმა პოული მოიპოვა, მაგრამ სტარტი წააგო მარკთან. შემდეგ ლიდერობის დაბრუნება სცადა, თუმცა საბურავი გაუსკდა და რბოლის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. ფეტელი მხოლოდ მეშვიდე მივიდა ფინიშთან.

## კონტრაქტი ბატონთან

სპაზე სებასტიანი დიდი ხანი მესამე ადგილზე იყო - ის კვალში ედგა **ჯენსონ ბატონს**. შეტევაზე წასულმა გერმანელმა მართვა დაკარგა და ინგლისელი ტრასიდან გადააგდო. ბატონმა რბოლის გაგრძელება ვერ შეძლო, ფეტელი კი ტრასაზე დაბრუნდა, მაგრამ **ვიტანტონიო ლიუცისთან** შეჯახებამ მხოლოდ მე-15 ადგილი მოუტანა. ბელგიური უქმეების შემდეგ სებასტიანი ჩემპიონატის ლიდერ უებერთან 31 ქულას აგებდა.

## ზედიზედ მეორე მოგება სუზუკაზე

მონცაზე მეოთხე და სინგაპურში მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ, სებასტიანი, როგორც იქნა, დაბრუნდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. ფეტელმა ზედიზედ მეორედ მოიგო იაპონიის გრანპრი, რისი წყალობითაც უებერთან ჩამორჩენა 14 ქულამდე შეამცირა - ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე გერმანელს ტიტულის მოგების პერსპექტივა გაუჩნდა.

## დრამა კორეაში

კორეის გრანპრის დიდი ნაწილის განმავლობაში ისე ჩანდა, რომ სებასტიანი სეზონში პირველად შეძლებდა საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადასვლას. წინა დღეს მან პოული მოიპოვა და რბოლას სტარტიდანვე ლიდერობდა, უებერმა კი მანქანა ეტაპის სტარტზევე დაამტვრია. მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე ფეტელის ბოლიდის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და გერმანელი უქულოდ დარჩა.

## გამარჯვება ბრაზილიაში

„ინტერლაგუშის" რბოლის სტარტზევე ფეტელმა გაასწრო პოულის მოულოდნელ მფლობელ **ნიკო ჰიულკენბერგს**, რის შემდეგაც უპრობლემოდ მოიპოვა უებერზე სოლიდური უპირატესობა. მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა - გამოიყენებდა თუ არა „რედ ბული" გუნდურ ტაქტიკას და თუ გადაიტანდა აქცენტს მარკ უებერის წარმატებაზე? მაგრამ ავსტრიელებმა პრინციპებს არ უღალატეს - სებასტიანმა რბოლა მოიგო და ტიტულის შანსი შეინარჩუნა - ბოლო რბოლის წინ ლიდერ **ფერნანდო ალონსოსთან** 15 ქულას აგებდა.

## ტრიუმფი აბუ დაბიში

ფეტელს აუცილებლად უნდა მოეგო სეზონის ფინალური ეტაპი და მან ეს გააკეთა. მისი მთავარი კონკურენტები - ალონსო და უებერი ადრეულ პიტ-სტოპზე შევიდნენ და **ვიტალი პეტროვის** უკან ჩარჩნენ. ალონსოსთვის გასაკვირად, რუსი არ აპირებდა ტიტულის პრეტენდენტთა გატარებას. სებასტიანს აწყობდა მოვლენათა ამგვარი განვითარება - და მან სეზონში მეექვსე მოგებით პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

# ნიკო უილიამსს დაშორდა

დაახლოებით კვირა-ნახევრის წინ **ნიკო ჰიულკენბერგმა** სან პაულუში „უილიამსის" ბოლიდით პოული მოიპოვა, მაგრამ გუშინ გერმანელმა ოფიციალურად დაადასტურა ბრიტანულ გუნდთან გამოთხოვება.

*„მოხარული ვიქნებოდი გუნდში დარჩენით, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა დავადასტურო, რომ ვტოვებ „უილიამსს". მინდა მადლობა გადავუხადო ამ გუნდს წლევანდელი სეზონისთვის და წარმატებები ვუსურვო მომავალში"*, - განაცხადა ჰიულკენბერგმა.

ახალგაზრდა გერმანელის მენეჯერი **ვილი ვებერი** დარწმუნებულია, რომ ჰიულკენბერგი გააგრძელებს კარიერას ფორმულა 1-ში.

*„რამდენიმე გუნდთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. ნიკოს ექნება კონტრაქტი 2011 წელს"*, - ამბობს ვებერი.

ჭორების მიხედვით, ჰიულკენბერგმა მომავალი სეზონი HRT-ში უნდა გაატაროს, რომელთანაც „უილიამსმა" ტექნიკური პარტნიორობის შეთანხმება გააფორმა. სხვა ვარიანტებიდან სახელდება - „ფორს ინდია" და „ლოტუსი".

„უილიამსთან" **რუბენს ბარიკელოს** კონტრაქტის დეტალები შეთანხმებულია. სავარაუდოდ, ვეტერანი ბრაზილიელის მეწყვილე **პასტორ მალდონადო** იქნება.



ნიკო ჰიულკენბერგი

ჩოგბურთი

# მარიას სამი მარცხი

## დანიელი კაროლინ ვოზნიაცკი მსოფლიოს ჩოგბურთის ახალი სექსსიმბოლო გახდება

ჯერჯერობით **მარია შარაპოვა** სათავეში უდგას ყველაზე მდიდარი ქალი სპორტსმენების სიას, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე დასრულდება ის ხანგრძლივი პერიოდი, როცა თავისი სექსუალური გარეგნობის წყალობით რუსი ჩოგბურთელი ათობით მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა. მუდმივი ტრავმებითა და ხშირი მარცხით დაღლილ მარიას მსხვილმა დასავლურმა კომპანიებმა უკვე მოუნახეს შემცვლელი - ეს გახლავთ მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**.

სან ფრანცისკოს აეროპორტის სტუმრები უჩვეულო სურათის მოწმენი გახდნენ - სახელგანთქმული მარია შარაპოვა მთელი 20 წუთის განმავლობაში საპასპორტო კონტროლის რიგში იდგა. არადა, სულ რაღაც ნახევარი წლის წინ რუსი მთელ მსოფლიოში კერძო თვითმფრინავებით მოგზაურობდა და VIP-დარბაზებში გადიოდა ფორმალურ შემოწმებებს.

ახლა ცხადი გახდა, რომ 2010 წლის ამერიკის ღია პირველობაზე ვოზნიაცკისთან წაგება უბრალოდ ტურნირიდან გამოვარდნა არ ყოფილა - ამ მარცხმა შარაპოვას კარიერასა და ბიზნესზე უარყოფითი გავლენა იქონია. იმ საღამოს მარიამ წააგო ორთაბრძოლა ჩოგბურთში ნომერ პირველ სექსსიმბოლოს პოსტზე თავის პოტენციურ შემცვლელთან და მილიონიანი სარეკლამო კონტრაქტებისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტთან.

ევროპული სპონსორების ჯგუფმა, რომელიც ძვალმსხვილ და დაკუნთულ **სერენა უილიამსსა** და მოდელის ფიგურის მქონე მარია შარაპოვას შორის აკეთებდა არჩევანს, ალტერნატივა მონახა - ჩოგბურთელი, რომელიც ჩვეულებრივ გოგონას ჰგავს და არა Vogue-ის გარეკანზე გამოსახულ სახეს.

თავიდან კონკურენტად **ანა ივანოვიჩს** ასახელებდნენ, რომელმაც მყისვე დაიპყრო მამაკაცი გულშემატკივრების გულები. მაგრამ სერბმა ლამაზმანმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას - ტრავმებისა და სასიყვარულო რომანების გამო სულ მალე დაკარგა სარეკლამო ღირებულება. სწორედ ამ დროს მიაქციეს ყურადღება სპონსორებმა ვოზნიაცკის - პოლონური წარმოშობის დანიელს, რომელიც შარაპოვაზე ათი სანტიმეტრით დაბალია და სერენაზე - რვა კილოგრამით მჩატე.

დანიელი ცნობილმა ბრიტანელმა დიზაინერმა **სტელა მაკარტნიმ** აღმოაჩინა. სერ **პოლ მაკარტნის** უფროს ქალიშვილს მობეზრდა ლოდინი - როდის შევიდოდა მისი საუკეთესო მოდელი **მარია კირილენკო** რეიტინგის საუკეთესო ათეულში. გასული წლის ბოლოს ინგლისელმა გაწყვიტა კონტრაქტი რუსთან, მიუხედავად იმისა, რომ მას რუსეთის ყველაზე ლამაზ ჩოგბურთელად მიიჩნევდა.

მაშინ ვოზნიაცკი ჯერ კიდევ იმედის მომცემ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. მას ზედმეტი წონა აწუხებდა და ჩაცმის სტილიც უბრალო ჰქონდა. მაგრამ სტელას დაჟინებული თხოვნით, კაროლინმა ამ ნაკლოვანებების გამოსწორებაზე დაიწყო მუშაობა. გახდა, გალამაზდა და რაც მთავარია, რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე მოექცა. ამერიკის ღია პირველობაზე ვოზნიაცკი კორტზე ისეთი თამამი კაბით გამოჩნდა, რომ მის ფონზე შარაპოვა კათოლიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული გეგონებოდათ. ეს მარიას მეორე მარცხი იყო.



მარია და კაროლინი ამერიკის ღია პირველობაზე

მესამედ შარაპოვა დანიელთან კორტის მიღმა დამარცხდა. პირველად მრავალი წლის განმავლობაში მარიამ დათმო პირველი ადგილი ამერიკული ტურნირების სერიის დროს გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობით. შარაპოვას ანგარიშზე იყო 8 მილიონად შეფასებული სამი ხელშეკრულება, დანიელმა კი ხუთი ფირმა „დაითრია", რითაც მისი საბანკო ანგარიში 11 მილიონით შეივსო.

ამასობაში, რუსი ჩოგბურთელის ექიმები პესიმისტურ პროგნოზს აკეთებენ - მათი აზრით, მარია ვერ მოახერხებს ტრავმირებული მხარის ბოლომდე მორჩენას. ასე რომ, რეიტინგის პირველ საფეხურზე დაბრუნების შანსი თითქმის ნულის ტოლია. როგორც ამბობენ, ამ მიზეზით მარია ღრმა დეპრესიაში ჩავარდა, ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს და ინტერნეტში თავის ბლოგს აღარ ანახლებს. ის სულ უფრო ხშირად ფიქრობს ჩოგბურთიდან წასვლაზე. როგორც იქნა, შარაპოვას გაუჩნდა თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრების სურვილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**